ჩვენს ამერიკელ მეგობრებს, რასაკვირველია აინტერესებთ არჩევნების დემოკრატიულობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, მაგრამ არანაკლებ აინტერესებთ მისი შედეგი.

პოზიცია

საზღვარი — პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადება საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შესახებ

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ახალი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი უმნიშვნელოვანეს მიჯნაზე დგას. საბოლოოდ უნდა განისაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პრიორიტეტები და მოისპოს იმის ილუზია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობა წარუმატებელი იდეაა.

ერთ-ერთი უპირველესი მიმართულება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრა, გახლავთ საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ჩამოყალიბება და მეზობელ სახელმწიფოებთან მიმდინარე მოლაპარაკებების შეძლებისდაგვარად მოკლე დროში დამთავრება.

ჩვენ წლების განმავლობაში ვადევნებთ თვალყურს აღნიშნულ პროცესს და მსოფლიოში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით კარგად ვაცნობიერებთ, თუ რა სირთულეებთან არის დაკავშირებული მსგავსი მოლაპარაკება.

ის. მე-3 გვ.

თვალსაწიერი

მარქაფად რაღა გვრჩება — მამა ღმერთის სქემა თუ ღვთისმშობლის წილხვედრობა?

ამერიკის პრეზიდენტის წარმოგზავნილის ჯეიმს ბეიკერის დესპანობით, ანუ მის მიერ ოკეანის გაღმიდან ჩამოტანილი სქემით, ჩვენი ოპოზიცია ერთობ კმაყოფილი დარჩა.

ყოველთვის მოწუწუნე, უნდო და ყველაფრის უარმყოფელი ოპოზიცია ერთი წუთით შედედდა და ერთ სულ და ერთ ხორც იქმნა.

მან ჩათვალა, რომ გაიმარჯვა!

მაგალითად, შალვა ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ აწი თუნდაც ქვა-ქვაზე არ დარჩენილა: ეუთოს მიერ ცესკოს ხელმძღვანელის გამოყოფის (ან დაახლოებით ამის მსგავსი) იდეა ხომ მისია!

ხოლო დანარჩენი „მთელი სამეფო მხედრობა" იმით არის ძალამოცემული, რომ „ბეიკერის ინსტრუქციები" მას ხელს შეუწყობს არ დაუშვას არჩევნების გაყალბება! ოპოზიცია განსაკუთრებით აღფრთოვანებულია, რომ ამერიკის მთავრობა აქტიურად ერევა საქართველოს შიდა პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაში (?!).

ის. მე-3 გვ.

ვიზიტი

ევროკავშირი სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების გადაჭრის გზებს განიხილავს

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის საქმეში ევროკავშირის როლის მკაფიო განსაზღვრასა და ამ პროცესებში ევროპული გაერთიანების აქტიურ მონაწილეობას ისახავს მიზნად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ევროკავშირის „სამეულის" ოფიციალური ვიზიტი. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში „სამეული", რომელსაც ამჟამად იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მარგარიტა ბონივერი თავმჯდომარეობს, 8 ივლისს, საღამოს, საქართველოში ბაქოდან ჩამოვა. 14-კაციანი დელეგაციის შემადგენლობაში არიან ევროკომისიისა და ევროკავშირის სამდივნოების წარმომადგენლები.

9 ივლისს ევროკავშირის „სამეული" საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს შეხვდება. ასევე გაიმართება შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრთან ირაკლი მენაღარიშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან გიორგი წერეთელთან და პარლამენტის ფრაქციის თავმჯდომარეებთან.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მარტში დაგეგმილი „სამეულის" ვიზიტი ერაყში განვითარებული მოვლენების გამო გადაიდო, ხოლო მეორედ, ივნისში ვიზიტის გადადების მიზეზი თავად ევროკავშირში დატვირთული სამუშაო გრაფიკი გახდა.

9 ივლისს, საღამოს, ევროკავშირის „სამეული" თბილისიდან ერევანს გაემგზავრება.

საქინფორმი.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..."

„საქართველოს რესპუბლიკა" ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

სს „საქართველოს რკინიგზა"
The Georgian Railway Ltd

საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №178 (4557) სამშაბათი, 8 ივლისი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

„ამ ვიზიტით და ჯეიმს ბეიკერის საგანგებო მისიით კიდევ ერთხელ დასტურდება, თუ რა დატვირთვას ანიჭებს ვაშინგტონი, ამერიკის ამჟამინდელი ადმინისტრაცია, მისი პრეზიდენტი საქართველოსთან თანამშრომლობას"

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 7 ივლისის რადიოინტერვიუ

— გასულ კვირას საქართველოში იმყოფებოდა ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, რომელთანაც თქვენ დიდი ხნის ურთიერთობა გაკავშირებთ. ბატონმა ბეიკერმა გადმოგცათ პრეზიდენტ ბუშის წერილი, ხოლო თბილისში გამართული კონსულტაციებისას განიხილებოდა როგორც აფხაზეთის პრობლემა, ასევე მომავალი საპარლამენტო არჩევნების გამჭვირვალობისა და დემოკრატიულობისათვის აუცილებელი პირობები... ჟურნალისტის ნატო ონიანის თხოვნით ამ თემაზე საუბრით დაიწყო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავისი ტრადიციული ორშაბათის რადიოინტერვიუ:

ის. მე-2 გვ.

პრეზიდენტი

„მადლობას მოგახსენებთ „დიდი პროექტების" რეალიზების საქმეში გამოჩენილი მალისხმევისათვის"

— ამ სიტყვებით მიმართა 7 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს ევრაზიის საკითხებში ელიზაბეტ ჯონსს და მას ბაქო-თბილისი- ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენისა და შაჰ-დენიზის გაზსადენის პროექტების განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის ღირსების ორდენი გადასცა.

სტუმარმა მადლობა გადაიხადა ყველა იმ კოლეგის სახელით, რომლებიც მასთან ერთად მონაწილეობდნენ პროექტების რეალიზებაში და აღნიშნა, რომ ეს პროექტები საწყისი ნაბიჯია მომავალი თანამშრომლობის დიდ გზაზე.

ის. მე-3 გვ.

მილოცვა

ბატონ ოდისეი დიმიტრიადის დაბადების 95-ე წელთან დაკავშირებით

ბატონო ოდისეი,

ქართული სამუსიკო ხელოვნების პატრიარქს დაბადების 95-ე წელს გილოცავთ.

თქვენ ჭეშმარიტი მაგალითი ბრძანდებით პროფესიული ოსტატობისა, კაცთმოყვარეობისა, სიმშვიდისა და სიბრძნისა.

გმადლობთ, თქვენი დიდი ცხოვრებისათვის, თქვენი დიდი ხელოვნებისათვის.

ყოველივე კარგს გისურვებთ, ყოველივე კარგს ვუსურვებ თქვენს შთამომავლობას, თქვენს მოწაფეებს.

პატივისცემით,
ედუარდ შევარდნაძე.

კომენტარი

ირინა სარიშვილი: „ჯეიმს ბეიკერის რეკომენდაციები ყველასათვის მისაღებია"

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ, სახელისუფლებო საარჩევნო ბლოკის „ახალი საქართველოსათვის" სპიკერმა ირინა სარიშვილმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის რეკომენდაციები, როგორც სახელისუფლებო პარტიების, ასევე, ოპოზიციისათვისაც მისაღები უნდა იყოს. ამაზე მეტი კომპრომისი, რომელიც ამ ეტაპზე დაუშვა ხელისუფლებამ, ალბათ წარმოუდგენელია. ახლა მთავარია, რა ადეკვატურ ნაბიჯს გადადგამენ ოპოზიციური პარტიები.

საქინფორმი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით გულითადი მადლობა გადავუხადო ყველა პიროვნებას, უწყებას, ორგანიზაციასა და დაწესებულებას ჩემი და ჩემი ოჯახის უღრმესი მწუხარების გაზიარებისათვის მაგული გოგიტიძე-აბაშიძის გარდაცვალების გამო.

ასლან აბაშიძე.

ურჩები

დიდ კორუფციაში

ენერგეტიკული წყვდიადის წახნაგები

ბოლო დროს ქუთაისში, საერთოდ იმერეთში, მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების მდგომარეობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ადგილობრივი ენერგოკომპანიები ხელს მომხმარებლისაკენ იშვერენ, რომლებსაც ელექტროენერგიის დიდი ოდენობით დავალიანება დაუგროვდათ, გამწარებული ხალხი კი თანხების გადახდის სამაგიეროდ ელექტროენერგიით სტაბილურ მომარაგებას მოითხოვს. ფაქტია, რომ მოსახლეობას მართლაც აქვს ენერგოკომპანიების ვალი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართლები და „უცოდველები" არც ეს უკანასკნელნი არიან, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ისინიც ხშირად, ვალში არიან. ამჯერად გიამბობთ, თუ რა შედეგი მოიტანა სს „ქუთაისის ენერგოკომპანიის" სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხის შემოწმებამ, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონმა ჩაატარა.

ის. მე-4 გვ.

შემოწმების შედეგად, რომელმაც 2001 წლის 1 მარტიდან 2002 წლის 1 იანვრამდე პერიოდი მოიცვა, „იმერეთის ენერგოკომპანიას" სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაეკისრა 82972 ლარის გადახდა, მათ შორის, ძირითადი თანხაა 31022 ლარი, ხოლო დანარჩენი — ჯარიმა და საურავი.

სამკურნალო

კალცლექსები

გიგა ლორთქიფანიძეს

ეს რა გითქვამს, ჩემო გიგა,
მისამართით „პაზორნების":
„შეხეთ, მიტინგს ატარებენ,
ძმები კმარა–მაზოვები".

სიმღერა

სიმღერას დავწერ მიშაზე,
დაჯდეს და იღიღინოსა,
ჩუმად აგიყვან „კრიშაზე",
ჩუმად დაგისხამ ღვინოსა.

ის. მე-8 გვ.

ინფორმაცია

პატრიარქი სინანულს გამოთქვამს

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თავის საკვირაო ქადაგებაში სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ „სხვების კრიტიკა და ლანძღვა თანამედროვე ადამიანის თვისებად იქცა". ამის დასტურად პატრიარქმა ერთ-ერთი მეცნიერის სიტყვები მოიშველია, რომელიც ამბობს — „ჩვენ აღარ გვყავს ფილოსოფოსები, ჩვენ მხოლოდ კრიტიკოსები გვყავს".

„სხვების განკითხვა საშინელი ცოდვაა. თუ შენ თავად რაიმე სიკეთის გამკეთებელი ხარ, გააკეთე და სხვის ცუდს ნუ მოიკითხავ, სხვას ნუ გალანძღავ და ნუ შეურაცხყოფ," — განაცხადა მან.

თბილისში წყლის მარაგმა იკლო

„თბილწყალკანალის" გენერალური დირექტორის მოადგილის შოთა ტრაპაიძის ინფორმაციით, ზაფხულის დადგომასთან ერთად თბილისში წყლის მარაგმა საგრძნობლად იკლო, მსგავსი შემთხვევა 30 წელია თბილისში არ ყოფილა.

ტრაპაიძის განცხადებით, დედაქალაქის მოსახლეობისთვის წყლის მარაგის მცირე რაოდენობით მიწოდებასთან ერთად, ამ კვირაში ელექტროენერგიის გამორთვის გამო, ცხრაჯერ მოხდა წყლის მიწოდების შეწყვეტა.

ამასთანავე, ტრაპაიძემ მერიის ორშაბათის თათბირზე განაცხადა, რომ თბილისში წყალი მუდმივ კონტროლზეა და მისი დაბინძურება ამ ეტაპისთვის მოსალოდნელი არ არის.

ვანო ზოდელავა სამსახურებს შემოწყრა...

თბილისის მერს ვანო ზოდელავას არ სურს „ჭუჭყიანი და გარევაჭრობით დაფარული" ქალაქის მერი იყოს და ამ პრობლემის გადასაჭრელად შესაბამის სამსახურებს განსაკუთრებული მუშაობისკენ მოუწოდებს.

როგორც ქალაქის მერმა ორშაბათის თათბირზე განაცხადა, გარე ვაჭრობიდან შემოსავლების გეგმა მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. მანვე რაიონის გამგებლებს დასუფთავების სამსახურებთან ხელშეკრულებების გაფორმებისკენ მოუწოდა.

გარდა ამისა, მოსალოდნელი ინფექციების ძირითად მიზეზად ქალაქის მერს სწორედ მოუწესრიგებელი გარე ვაჭრობის ტერიტორიები მიაჩნია და სანიტარიული სამსახურისგან ამ თვალსაზრისით მუშაობის გააქტიურებას ითხოვს.

გაგრაში კრივის დარბაზის გახსნას დაესწრება

მსოფლიო ჩემპიონი კრივში გიორგი კანდელაკი ერთ თვეში აფხაზეთში, ქალაქ გაგრაში კრივის დარბაზის გახსნას დაესწრება, ამის შესახებ „ინტერპრესს" თავად კანდელაკმა განუცხადა.

მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან გარკვეული დროის განმავლობაში მოლაპარაკება მიმდინარეობდა. მას შეხვედრები ჰქონდა სოხუმის ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

კანდელაკის განცხადებით, აფხაზეთში ძლიერი სპორტსმენები არიან და მათთან იგი აქტიურად თანამშრომლობს.

სოფელ ვარიანში, სპორტკომპლექს „ოლიმპში" ამჟამად 600-მდე მოზარდი უფასოდ ვარჯიშობს.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

დღის ანეკდოტი

პატიმარი ციხიდან გაიქცა. დაიჭირეს და ეკითხებიან:
— რატომ გაიქეცი?
— ცოლის თხოვა გადავწყვიტე, უფროსო..
— ოოო! ორიგინალურად გესმის შენ თავისუფლება, პატიმარო.

სიტუაცია

გაღმით შედავების მოსურნეს გამოღმით არაფერი შერჩა

უზენაესმა სასამართლომ წერტილი დაუსვა საქართველოს რკინიგზისა და „ალეგრატრანს ლიმიტედის" დიდი ხნის დავას

შპს „საქართველოს რკინიგზა" და ფირმა „ალეგრატრანს ლიმიტედი" ერთმანეთის პარტნიორები გახდნენ 2000 წლის 31 დეკემბერს, როცა თანამშრომლობის თაობაზე სათანადო ხელშეკრულება დადეს. ხელშეკრულების თანახმად რკინიგზას ბათუმის ტერმინალში უნდა ჩაეტანა და პარტნიორისთვის ჩაებარებინა ნავთობპროდუქტებით დატვირთული ცისტერნები, ხოლო პარტნიორს ისინი დროულად დაეცალა. „ალეგრატრანსს" ტვირთმფლობელისაგან ტვირთის ის რაოდენობა უნდა მოეთხოვა, რასაც ტერმინალი დაიტევდა. სწორედ ამით უნდა დარეგულირებულიყო ტვირთების მოძრაობა.

ეს დავა მართლაც პრინციპული ხასიათისა იყო, ვინაიდან მის შედეგს უნდა გადაეწყვიტა, ბოლოს და ბოლოს, ვის ევალებოდა ვაგონცისტერნების მოცდენისათვის დარიცხული თანხის გადახდა. თვეების მანძილზე დაგროვილი ეს თანხა კი ფრიად სოლიდური იყო — 12 152 500 ლარი!

ის. მე-3 გვ.

უკანასკნელ საათს

აზერბაიჯანმა გაათავისუფლა რუსული თევზსარეწი გემი „ტალიჩა" და ტანკერი „ალადინი", რომლებიც სამი კვირის წინათ დააკავეს აზერბაიჯანის სასაზღვრო წყლებში. გემები უკვე მიემართებიან თავიანთი მიწერების ნავსადგურებში — მახაჩკალისა და ასტრახანისკენ.

რუსეთელმა სტატისტიკოსებმა გუშინ გაავრცელეს საგანგაშო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთში თვითმკვლელობათა რიცხვი ორჯერ სჭარბობს საშუალო მსოფლიო მონაცემებს.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში ქარი 10-15 მ/წმ.
დაბლობში ღამით +22^{0}, დღისით +37^{0}, **მთაში** ღამით +19^{0}, დღისით +35^{0}, **მაღალ მთაში** ღამით +16^{0}, დღისით +27^{0}.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში ღამით +20^{0}, დღისით +32^{0}, **მთაში** ღამით +18^{0}, დღისით +31^{0}. **მაღალ მთაში** ღამით +15^{0}, დღისით +25^{0}.

თბილისში
ღამით +20^{0}, დღისით +32^{0}.

ლარის კურსი

5 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.5713	ლარი
აშშ დოლარი	1	2.1375	ლარი
ევრო	1	2.4534	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0706	ლარი.

ინტერპანორამა

სინგაპურში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა 29 წლის სიამელი ტყუპი ქალიშვილების განცალკევების ოპერაცია, რომლებიც თავის ქალებით არიან ერთმანეთთან შეზრდილი. აქამდე ასეთ ოპერაციებს ჩვილებს უკეთებდნენ ხოლმე. თუ ოპერაცია წარმატებით ჩაივლის, ეს პირველი შემთხვევა იქნება ისტორიაში, როცა ამ ასაკის ტყუპებს განაცალკავებენ.

მართლაც სასწაული შეიძლება ეწოდოს შემთხვევას, რომელიც ერთ ამერიკულ ოჯახს გადახდა თავს. ლოს-ანჯელესის ახლოს ავტოსტრადაზე, მაშინ, როცა ცოლ-ქმარი ორ შვილიშვილთან ერთად ხიდზე მანქანით გადადიოდა, საქარე მინაში ნახევარი ტონის სიმძიმის მორი „შეფრინდა", მიუხედავად იმისა, რომ მანქანა გარმონივით დაიკეცა, სერიოზულად არავინ დაშავებულა.

26 წლის ინგლისელი ბეკი ნიიანგი ცოცხალი გადარჩა მას შემდეგ, რაც ელვა ქვეს თავზე ასხლტა და ენაზე მოხვდა. ელექტრონული მუხტის გამტარად იქცა ლითონი „საყურე", რომელიც თავქარიან ქალიშვილს... ენაზე ეკეთა.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— გარდამეცვალა მამა, რომელსაც მისაღები დარჩა 1 წლის პენსია. გთხოვთ, განმიმარტოთ, მომეცემა თუ არა მამის მიუღებელი პენსია და ვის მივმართო დახმარებისათვის.

ოთარ ცხაკაია.

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შვილებს პენსიონერის გარდაცვალების გამო მიუღებელი პენსიის თანხების მიღების უფლება აქვთ იმ შემთხვევაში, თუ მშობლის გარდაცვალების მომენტში მასთან ერთად ცხოვრობდნენ, ე. ი. ერთ ოჯახად იყვნენ რეგისტრირებული და მიუღებელი საპენსიო თანხების მისაღებად მიმართეს მისი გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში.

აღნიშნულ საკითხზე, გირჩევთ, მიმართოთ, სოციალური დაზღვევის ფონდის განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 178, სამშაბათი, 8 ივლისი, 2003 წელი.

„ამ ვიზიტით და ჯეიმს ბეიკერის საგანგებო მისიით კიდევ ერთხელ დასტურდება, თუ რა დატვირთვას ანიჭებს ვაშინგტონი, ამერიკის ამჟამინდელი ადმინისტრაცია, მისი პრეზიდენტი საქართველოსთან თანამშრომლობას"

(პირველი გვერდიდან)

— უპირველეს ყოვლისა, ალბათ, დიდ საიდუმლოს არ გავცემ, თუ ვიტყვი, რომ ჯეიმს ბეიკერის ჩამოსვლა ჩემთვის მოულოდნელი არ იყო. ჩვენ წინასწარ ვიყავით შეთანხმებული ამ ვიზიტის შესახებ, რომელმაც, უდავოდ, სასურველი შედეგი მოიტანა.

მე, ამთავითვე, ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჯიმ ბეიკერს იმ ყურადღებისათვის, რომელიც მან გამოავლინა როგორც დღეს, ასევე, წინა ვიზიტების დროს. ისიც მინდა გითხრათ, რომ მასთან ერთად ჩამოვიდა ცნობილი დიპლომატი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ელიზაბეტ ჯონსი, რომელსაც იცნობენ საქართველოში. მან დიდი წვლილი შეიტანა „დიდი პროექტების" რეალიზების საქმეში. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე თეთრი სახლის წარმომადგენელი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში და სხვები.

გახსოვთ, ალბათ, უმძიმეს პერიოდში, 1992 წელს, როცა საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ამერიკის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი ჯიმ ბეიკერი, ყველაფრის მიუხედავად, ჩემი თხოვნით ჩამობრძანდა საქართველოში და ამ მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

— მაშინ თქვენ ბეიკერთან ერთად ხალხში გახვედით. ეს დაუვიწყარი სანახაობა იყო...

— დიახ, ეს იყო რესპუბლიკის მოედანზე, სადაც ათასობით ადამიანი შეიკრიბა — ზოგი მხარდამჭერი, ზოგიც ოპოზიცია. მაშინ მე შევთავაზე ბეიკერს ხალხში ჩასვლა. უარი ვერ მითხრა, არადა, უამრავი მცველი ახლდა, რომელთაც ამ წინადადების გაგონებაზე ფერი დაკარგეს. მათ ურჩიეს ბეიკერს, არ ჩასულიყო ხალხში, მაგრამ მან უარი მაინც ვერ თქვა. ავედით ტრიბუნაზე, სადაც მან ძალიან კარგი და საინტერესო სიტყვა წარმოთქვა.

ბეიკერის მეორე ვიზიტი გაიმართა 1994 წელს. ისიც ასევე ძალიან საინტერესო და შედეგიანი აღმოჩნდა. 1992 წლიდან დაიწყო საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენის პროგრამები, რომლებმაც 1994 წლიდან სისტემური ხასიათი მიიღო.

რაც შეეხება ამჟამინდელ სტუმრობას, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ჯეიმს ბეიკერი ამჟამადაც მოქმედი პოლიტიკოსია.

მას უდიდეს პატივს სცემენ საყოველთაოდ აღიარებული დამსახურების გამო და პრეზიდენტ ბუშის გუნდის წევრადაც მიიჩნევენ.

შეგახსენებთ, თუნდაც, ჯიმ ბეიკერის როლს იმ მღელვარე დღეებში, როდესაც მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს პრეზიდენტის არჩევნების შედეგთა დაზუსტების პროცესს.

მაშინ ჯეიმს ბეიკერი პრეზიდენტ ბუშის საგანგებო წარმომადგენელი გახლდათ.

ანუ, ამით იმის თქმა მსურს, რომ პრეზიდენტი ბუში, ბეიკერს მხოლოდ სავსებით განსაკუთრებულ მისიებს აკისრებს, რომელთაც თვით ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მაშასადამე, ამ ვიზიტით და ჯეიმს ბეიკერის საგანგებო მისიით კიდევ ერთხელ დასტურდება, თუ რა დატვირთვას ანიჭებს ვაშინგტონი, ამერიკის ამჟამინდელი ადმინისტრაცია, მისი პრეზიდენტი საქართველოსთან თანამშრომლობას.

რასაკვირველია, აქ გათვალისწინებული იყო ბეიკერის წარსული თანამშრომლობა და მეგობრობა პირადად საქართველოს პრეზიდენტთანაც, ესე იგი, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა და ისტორიული გადაწყვეტილებები ცივი ომის დასრულების, გერმანიის გაერთიანების, საერთოდ, ევროპის გათავისუფლების პროცესში.

ბატონმა ბეიკერმა გადმომცა პრეზიდენტ ბუშის უაღრესად საყურადღებო წერილი, რომლითაც დასტურდება, რამდენად ზუსტი გადაწყვეტილება მივიღეთ, როდესაც წევრად შევედით ანტიტერორისტულ კოალიციაში (შევედით არა ორაზროვნად, არამედ მთელ მსოფლიოს მტკიცედ და გამოკვეთილად დავანახეთ ჩვენი პოზიცია), მხარი დავუჭირეთ ამერიკის სამართლიან ომს ერაყელი ხალხის გასათავისუფლებლად შავბნელი დიქტატურისაგან და დავიწყეთ ქმედითი, ბრძოლისუნარიანი ანტიტერორისტული შენაერთების ჩამოყალიბება, მათი წვრთნა ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების დახმარებით.

ბატონი ჯორჯ ბუში მადლობას უხდის საქართველოს, მისი პრეზიდენტის სახით, ამ მხარდაჭერისათვის.

ამასთანავე, იგი ადასტურებს, რომ საქართველოს სპეცსამსახურებმა და შეიარაღებულ ძალთა სპეციალურმა ქვედანაყოფებმა შეძლეს რამდენიმე საშიში ტერორისტის გაუვნებელყოფა, დაამყარეს წესრიგი პანკისის ხეობაში და კვლავაც მზად არიან აღმოუჩინონ დახმარება ანტიტერორისტული კოალიციის ლიდერებს — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებს.

ამავე კონტექსტით ნათქვამია, რომ ეს წარმატებანი თვალსაჩინოა რუსეთისთვისაც.

წერილში ხაზგასმულია ამერიკის ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ. დადასტურებულია, რომ აფხაზეთის პრობლემა ყოველთვის იქნება ამერიკა-რუსეთის დიალოგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი.

იგულისხმება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ლტოლვილთა მშობლიურ სახლებში დაბრუნება.

პრეზიდენტი ბუში, გთხოვთ, ამას მიაქციოთ ყურადღება, მიესალმება რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტთა სოჭის შეთანხმებას და გვირჩევს, აფხაზეთთან დაკავშირებით აქტუალური საკითხები გადავწყვიტოთ სწორედ სოჭის დეკლარაციის სულისკვეთებით.

ამრიგად, აფხაზეთის საკითხი ჯეიმს ბეიკერთან მოლაპარაკების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაც იყო.

ამავე დროს, ჩვენი ამერიკელი მეგობრები არ მალავენ, რომ მათ ძალიან აინტერესებთ მომავალი პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნები.

ოღონდ აქვე ერთ ნიუანსს დავუმატებდი: მათ, რასაკვირველია, აინტერესებთ არჩევნების დემოკრატიულობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, მაგრამ არანაკლებ აინტერესებთ თვით შედეგიც.

ეს არც არის გასაკვირი ამერიკა-საქართველოს ამჟამინდელ ურთიერთობათა დონის და სამხრეთ კავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების მზარდ ინტერესთა გათვალისწინებით.

ჯეიმს ბეიკერი თბილისში ყოფნისას შეხვდა არა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს, არამედ ოპოზიციასაც. ამ ამბავს მე გულწრფელად მივესალმე.

მთლიანობაში, როგორც თავად აღნიშნა, ეს იყო ძალზე სასარგებლო და საჭირო შეხვედრა. მეც ასევე მივიჩნევ.

რაც შეეხება ძირითად მესიჯს, რაზეც ბევრს საუბრობდნენ ამ დღეებში, ანუ უმთავრეს შეტყობინებას, თუ გნებავთ, რეკომენდაციას, იგი ის გახლავთ, რომ მომავალმა არჩევნებმა, ამ არჩევნების უმაღლეს ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე, ყველაზე თვალსაჩინო დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად ჩატარებამ, კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი მთელი მსოფლიოს თვალში.

ამასთანავე, ჯეიმს ბეიკერმა, კოლეგებთან ერთად, შეიმუშავა ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს მომავალ არჩევნებს, რა თქმა უნდა, ჩემი ზოგიერთი პრინციპული მოსაზრების გათვალისწინებით.

ისინი ითვალისწინებს ხმების პარალელურად დათვლას, ხმათა დათვლის პროცესთა სრულ გამჭვირვალობას, მეთვალყურეთა მონაწილეობას ყველა ეტაპზე, ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, მხარეთა ვალდებულებას, უარი თქვან ძალადობასა და დესტრუქციულ კონფრონტაციაზე, მოქმედი კონსტიტუციისა და კანონმდებლობის უპირობო პატივისცემას და სხვა დებულებებს, რასაც ერთმნიშვნელოვნად ვეთანხმებით.

გარდა ამისა, ბეიკერმა შემოგვთავაზა ცენტრალური საარჩევნო კომისიის და მთლიანად საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების კონკრეტული სქემა, რომელიც ზოგს მოსწონს, ზოგს — არა, მაგრამ, ვფიქრობ, სხვა სქემის მოფიქრება ძნელი იყო. ხუთ წევრს ნიშნავს მთავრობა, ცხრას — ოპოზიცია, ხოლო კომისიის თავმჯდომარეს, აპოლიტიკურ საზოგადო მოღვაწეთაგან, ამტკიცებს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია. ესეც მისაღებია და მე მას მივესალმები.

საარჩევნო კომისია ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ და მხოლოდ ხმათა ორი მესამედით.

როგორც კი ამ დებულებებს თვალი გადავავლე (როგორც ვთქვი, ისინი ჩემთვის უცხო სულაც არ იყო), უმალვე განვუცხადე ჯიმ ბეიკერს (და ახლაც ვადასტურებ), რომ მზადა ვარ დაუყოვნებლივ მოვაწერო ხელი ამ მოდელს, ვინაიდან ეს სწორედ ის არის, რასაც ჩვენ მოვითხოვდით მთელი ამ ხნის განმავლობაში.

იმასაც დავამატებ, რომ ჩემს მიერ პარლამენტში შეტანილია კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ხმების მოსყიდვის საწინააღმდეგოდ. მოგეხსენებათ, თუ არ გამოვრიცხეთ ხმების მოსყიდვის სამარცხვინო პრაქტიკა, ზედმეტია საუბარი არჩევნების სამართლიანობაზე.

იმედი მაქვს, ასეთივე იქნება ოპოზიციის დამოკიდებულება, ანუ უახლოესი ორი-სამი კვირის განმავლობაში პარლამენტი, საგანგებო სესიაზე მიიღებს ახალ საარჩევნო კოდექსს.

ამის გარდა, პარლამენტს ბევრი სხვა კანონიც აქვს მისაღები. იმედი მაქვს, ის იმუშავებს დაძაბულად, ნაყოფიერად, ისე, როგორც ეს ესაჭიროება ქვეყნის ინტერესებს. საუბარია არა მარტო საარჩევნო კოდექსზე, არამედ იმ კანონპროექტებზეც, რომელთა მიღებას მოითხოვს სავალუტო ფონდი, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და რომელთა გადადება არ ეგების.

მე ვიცი, რომ აქა-იქ გაისმის ხმები: ხომ არ ნიშნავს ამ დღეებში საქართველოში მომხდარი მოვლენები, ანუ ბეიკერის მისია, ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას?

არამც და არამც!

ჯერ ერთი, თუ ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიას, უნდა ვიცოდეთ, რომ აქ მხოლოდ საშინაო საქმე და საშინაო პრობლემა არ არსებობს. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება არჩევნებს. ასეთია თანამედროვე დემოკრატიული თანაცხოვრების წესი ჩვენს პლანეტაზე.

გარდა ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებთან განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს, ამერიკა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მოკავშირეა, მან ფასდაუდებელი დახმარება გაუწია საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე დღიდან და ამ ქვეყანას ნამდვილად აქვს მორალური უფლება, მეგობრული რჩევა მოგვცეს.

მაშასადამე, ჩვენი თვალთახედვით, საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით საკითხი სტრატეგიულად გადაწყვეტილია და ალბათ დღეს ან ხვალ ოპოზიციაც ასევე ერთმნიშვნელოვნად დაადასტურებს თავის თანხმობას.

არ გამოვრიცხავ, ამ დღეებში (უფრო სწორად, თუ ხელი არაფერმა შემიშალა, ხვალ დილით) ჩემს შეხვედრასაც ოპოზიციის წარმომადგენლებთან, რათა უკვე მიღწეული სტრატეგიული შეთანხმების საფუძველზე გადავწყვიტოთ ტექნიკური საკითხები.

მომავალ არჩევნებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი და საგულისხმო თემაა ენერგეტიკული რეფორმების გაღრმავება და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერება. ეს საკითხები პრეზიდენტ ბუშის წერილშიც ფიგურირებდა.

რა თქმა უნდა, ჯეიმს ბეიკერთან საუბრისას გავიხსენეთ ის დაუვიწყარი ეპოქა, როდესაც ერთობლივი ძალისხმევით გადავწყვიტეთ ბევრად უფრო რთული და მსოფლიოსთვის საშიში პრობლემები. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ ამ საქმეში პრეზიდენტების, აგრეთვე, სხვა პიროვნებათა გადამწყვეტ მონაწილეობას.

უპირველესად, მხედველობაში მაქვს ყველაზე ხანგრძლივი ომის — ცივი ომის დასრულების ურთულესი პროცესი.

— საქართველოში მუშაობას ასრულებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია. რამდენად საფუძვლიანია ხმები, თითქოს სავალუტო ფონდი აღარ გააგრძელებს თანამშრომლობას ჩვენს ქვეყანასთან?

და, ამავე კონტექსტით, ტრადიციული კითხვა: რას გამოყოფდით გასულ კვირას მთავრობის სხდომაზე განხილულ საკითხთაგან?

— მიუხედავად იმისა, რომ სავალუტო ფონდის ამჟამინდელ მისიას ჯერ არ შევხვედრივარ (ასეთი შეხვედრა უახლოეს დღეებში გაიმართება), უკვე შეგვიძლია სრული დარწმუნებით ვთქვათ: ჭორები და ძნელად დაფარული ბოროტი სურვილი იმისა, სავალუტო ფონდს საქართველო დაეტოვებინა, ნაჩქარევი აღმოჩნდა.

ჩემი ღრმა რწმენით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი დარჩება საქართველოში და აგრძელებს თანამშრომლობას ჩვენს ქვეყანასთან.

მაგრამ ეს სრულებითაც არ არის უპირობო დებულება!

საქართველოს მთავრობამ ძალიან ბევრი, მართლაც ძალიან ბევრი უნდა გააკეთოს, უპირველეს ყოვლისა, ფისკალურ სფეროში, გადასახადების აკრეფის თვალსაზრისით და ბიუჯეტის გასაწონასწორებლად, აგრეთვე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. დაგვჭირდება ხარჯების სერიოზული შემცირება. ეს არ არის უმტკივნეულო პროცესი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. შეგვიძლია დავხარჯოთ იმდენი, რამდენიც შემოდის, არც მეტი, არც ნაკლები.

ძალიან რთულად, მაგრამ აუცილებლად გადასაწყვეტია ენერგეტიკის სფეროში არსებული პრობლემები, მაგრამ ეს არის ვალდებულებანი, რომელთაც ფონდის წინაშე თავად ვკისრულობთ, ვინაიდან, უპირველესად, სწორედ ჩვენ ვართ დაინტერესებული სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის გაგრძელებით და ქვეყნის სწრაფად განვითარების უზრუნველყოფით.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე საუბრისას ვგულისხმობთ, მათ შორის, მის ერთ-ერთ ნაირსახეობასა და წყაროს — ფალსიფიკაციის პრობლემას.

სამწუხაროდ, მავანთა ძალისხმევით, ფალსიფიკაციას დღემდე „სასათბურე პირობები" ჰქონდა საქართველოში.

მაგრამ ამას წერტილი უნდა დაესვას და დაესმება კიდეც!

მთავრობის სხდომაზე განვიხილეთ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის ინფორმაცია, ხოლო პრეზიდენტის განკარგულებით დამტკიცდა ფალსიფიკაციის აღკვეთის ღონისძიებათა პროგრამა.

იგი ითვალისწინებს უმკაცრეს, მე ვიტყოდი, უსასტიკეს ზომებს ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ, მათ შორის იგულისხმება კანონების გამკაცრება, ისეთი კანონების შემუშავება, რომ ფალსიფიცირების სურვილი ყველას დაეკარგოს.

ამ პროგრამის განხორციელება საარსებოდ მნიშვნელოვანია ქართველი მეწარმეებისათვის, მათ შორის, საერთაშორისო ბაზრებზე სამამულო პროდუქციის პრესტიჟის დასაცავად.

მთავრობის სხდომაზე ვიმსჯელეთ ტურიზმის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ კანონპროექტზე „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ". ეს ერთ-ერთია იმ საკითხთაგან, რომლებიც პარლამენტმა უახლოეს დღეებში უნდა გადაწყვიტოს.

ამ დარგს საქართველოში შესანიშნავი პერსპექტივა აქვს და მისი განვითარების სასიკეთო შედეგი უკვე იგრძნო კიდეც ათიათასობით ოჯახმა მთელ ქვეყანაში. დედაქალაქში და არა მარტო აქ, აშენდა უამრავი სასტუმრო, შენდება ტურისტული ბაზები, ეს პროცესი უკვე დაიწყო და მას ვეღარაფერი შეაჩერებს.

ტურიზმი ხომ ის სფეროა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის და სოციალური სფეროს ერთდროულად რამდენიმე მიმართულების სწრაფ განვითარებას უზრუნველყოფს.

— გასულ კვირას განსაკუთრებული მღელვარება გამოიწვია ინფორმაციამ პურზე ფასის მატებასთან დაკავშირებით. რა არის ამის მიზეზი?

— რაც შეეხება პურზე ფასების გარკვეულ რყევას (ეს პროცესი დაახლოებით ერთი კვირა გაგრძელდა, მაგრამ ესეც ბევრია), ეს საკითხი განვლილ დღეებში ძალიან დიდი ყურადღებით შევისწავლე და უნდა მოგახსენოთ, რომ იგი ნამდვილად ვერ აიხსნება მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი პროცესებით, ან მხოლოდ კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით თუ მეზობელ ქვეყნებში ხორბლის გაძვირებით. ხორბალი მართლაც გაძვირდა, რუსეთში, უკრაინაში ცუდი მოსავალია, მაგრამ ეს მაინც არ არის გადამწყვეტი.

ეს ფაქტორები მოქმედებდნენ, მაგრამ შესაბამის უწყებას მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა, შედეგის პროგნოზირება და თავიდან აცილებაც სავსებით შესაძლებელი იყო.

სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი უცხო სახელმწიფოებში ვიზიტებს ბევრად მეტ დროს უთმობს, ვიდრე ამ საკითხების განხილვას. იგი ამ თვალსაზრისით სულაც არ არის გამონაკლისი. სხვებიც ასე იქცევიან. ხანდახან ვერ პოულობ ადამიანს, რომელსაც ბევრი სამუშაო აქვს, მაგრამ სანაცვლოდ სხვა საქმით არის დაკავებული.

დავით კირვალიძემ ჩათვალოს, რომ ეს არის პრეზიდენტის ბოლო გაფრთხილება მის მიმართ. კიდევ ერთი გადაცდომა და როგორ პატივსაც უნდა ვცემდე, როგორი ნიჭიერი და კარგი სპეციალისტიც უნდა იყოს, პრეზიდენტის გადაწყვეტილება ულმობელი იქნება!

— გასულ კვირას თბილისში გაიმართა ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილთა ყრილობა. როგორ აფასებთ ამ მოვლენას?

— მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს პარლამენტის წევრს ბადრი ხატიძეს, სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელს ირაკლი ბოჭორიძეს, აგრეთვე, ჩემს რწმუნებულს რეგიონში დავით ქობლიანიძეს, გამგებლებს ამ ღონისძიების ორგანიზებისათვის. ამ პროცესში დასაწყისიდანვე ჩაებნენ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და სხვები.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის უმწვავესი ფაზა დაძლევის სტადიაშია, სამწუხაროდ, ამ რეგიონშიც ძალზე მწვავეა ლტოლვილთა პრობლემა.

მათი დიდი ნაწილი დაბრუნდა ქართულ სოფლებში, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით ქალაქ ცხინვალზე.

არ არის გამორიცხული, ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილთა პრობლემების გადასაწყვეტადაც შევქმნათ სპეციალური სტრუქტურა. მით უმეტეს, რომ მისი არსებობა თვით ლტოლვილებს მიზანშეწონილად და თითქმის აუცილებლად მიაჩნიათ.

— ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთმა ლიდერმა კოკოევმა დასაშვებად მიიჩნია სამხრეთ ოსეთის ზოგიერთი ხელმძღვანელის სურვილი, შეუერთდეს რუსეთის ფედერაციას. მსგავსი ხმები გაისმის ხან აფხაზეთის, ხანაც სამხრეთ ოსეთის მისამართით. როგორია თქვენი კომენტარი?

— როგორც ამ დილით საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა მაცნობა, ამ უწყებამ უკვე ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია და სათანადო ნოტა გააგზავნა რუსეთის შესაბამის სტრუქტურებში.

რა თქმა უნდა, ჩემთვისაც ცნობილია კოკოვის, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, უცნაური (თუ მტრული არა) განცხადება.

ცნობილია ისიც, რომ რუსეთის მხრიდან იყო რაღაცნაირი რეაგირება. გამოქვეყნდა „იტარ-ტასის" განცხადება, რომ ასეთ საკითხს რუსეთში არც კი განიხილავენ.

თითქოს საკითხი ამოწურულია, მაგრამ გასაკვირი ისაა, რომ კოკოვი ოფიციალური პირია. გარდა იმისა, რომ რეგიონის ხელმძღვანელია, არის რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრი, პასუხი კი ანონიმური ავტორისაა. ესაა უცნაური. ამას დაუმატეთ რუსეთის მიერ ყოვლად გაუმართლებელი სავიზო რეჟიმის შემოღება მხოლოდ საქართველოსათვის. დაიტანჯა ხალხი, როგორც ქართველები, ასევე რუსები. გუშინ რუსეთის ელჩმა მითხრა, რომ საკონსულოში აუტანელი სიტუაციაა: მას მიმართავს უამრავი ხალხი, იხარჯება ბევრი ფული, ასე წვალობენ. ვიმეორებ, ყოვლად გაუმართლებელია სავიზო რეჟიმი მხოლოდ საქართველოსათვის, განსაკუთრებული შეღავათებით კონფლიქტურ ზონებში — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთათვის, რუსული პასპორტების დარიგება და ბევრი სხვა რამ, რასაც სხვა სახელს ვერ დავარქმევთ, თუ არა მეზობელი საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფას, დისკრიმინაციულ პირობებს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მიმართ.

მინდა, ოპტიმისტად დავრჩე და იმედი ვიქონიო, რომ რუსეთის ხელისუფლება გადახედავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს არ უწყობს, ხელს უშლის ორი ხალხის მეზობლური, ტრადიციული და ურთიერთსასარგებლო კავშირების განვითარებას.

— განვლილ პერიოდში გაიმართა ინტელიგენციის რამდენიმე შეხვედრა. როგორც თქვენ აღნიშნეთ, განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო საღამო ფილარმონიაში საზოგადოება „თბილისელის" წევრებთან.

მიგაჩნიათ თუ არა, რომ ინტელიგენცია კიდევ უფრო აქტიურად უნდა ჩაებას პროცესებში და რაში მდგომარეობს მისი როლი?

— ამ თემაზე გასულ ორშაბათს ვისაუბრე. მართლაც, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან შეხვედრა ჩემთვის ყოველთვის უდიდესი სიხარული და სიამოვნებაა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა საზოგადოება „თბილისელს" და მის მესვეურებს ჩემთვის დაუვიწყარი საღამოსათვის, რომლის დედააზრი იყო იმ აღმშენებლობითი პროცესების მხარდაჭერა, რასაც დაბოღმილი და გაბოროტებული ადამიანის გარდა, მრავალ ნაკლთან და ტკივილთან ერთად, ყველა ჭეშმარიტი ინტელიგენტი ხედავს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, ხელოვნების სხვადასხვა დარგთა თვალსაჩინო წარმომადგენლები.

მათ გამოსვლაში, სხვათა შორის, ტკივილიც იყო და საყვედურიც, მაგრამ იყო ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: საზოგადოებრივი თანხმობის შენარჩუნების სურვილი.

აი, ასეთი იყო ინტელიგენციის ძირითადი განწყობილება!

ეს ადამიანები ყველაზე მეტად და ყველაზე უკეთ აცნობიერებენ ამ შეუვალ იმპერატივს, ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი ნაბიჯებიდან მხოლოდ ერთიანობისა და თანხმობისათვის იბრძოდნენ. მათ შესანიშნავად იციან, რა ძვირად დაუჯდა ქვეყანას, თავად მათაც და მათ ოჯახებს ის დრო, როდესაც არ იყო თანხმობა და ერთიანობა.

ყოვლად დაუშვებელია ინტელიგენცია ჯერ თავად გაიხლიჩოს და შემდეგ საზოგადო განხეთქილების ინიციატორად თუ მიზეზად იქცეს.

თითოეული სიტყვა აქ გასროლილ ტყვიაზე მძიმეა. ისტორიის გაკვეთილებმა კი ბევრი რამ უნდა გვასწავლოს. შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ.

შესანიშნავად მესმის, რომ ურთულესი ტრანსფორმაციის პროცესში სახელმწიფო ყველას ვერ მოეხმარა, ყველას თხოვნა ვერ დავაკმაყოფილეთ, ყველამ ვერ შეძლო მიზნისა თუ ჩანაფიქრის განხორციელება, რომელიც პირადად მას უდიდესი ღირებულების მატარებლად მიაჩნდა, მაგრამ მთლიანობაში, ქართული ინტელიგენციის პატრიოტიზმსა და პატიოსნებაში არასდროს იოტისოდენა ეჭვი არ შემპარვია.

ხოლო ზოგიერთების გასაგონად ვიტყვი, ვინც არცთუ კმაყოფილია ამჟამინდელი ვითარებით, რომ დღევანდელი საქართველო შეადარონ არა იმას, რაც მათ წარმოსახვაში არსებობს, ან როგორიც უნდა იყოს ქვეყანა მათი აზრით, არამედ შეადარონ დღევანდელი საქართველო იმას, რაც რეალურად დამახვედრეს 1992 წლის მარტში, როდესაც ჩემი ხალხისა და ინტელიგენციის თხოვნით, სამშობლოში დავბრუნდი.

ზემოთ თქმული მხოლოდ და მხოლოდ ერთსულოვნებისაკენ მოწოდებაა, რაც სრულებითაც არ ნიშნავს ერთაზროვნებას.

ამდენად, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის და შეხედულების ადამიანთა არსებობა სავსებით ბუნებრივია საზოგადოებაში და ინტელიგენციის წრეშიც.

მით უმეტეს, რომ ინტელიგენტობა წოდება არ არის და გასული საუკუნის განმავლობაში „ინტელიგენცია" საკმაოდ ფართო ცნება გახდა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

სამუშაო ვიზიტად ამერიკის შეერთებულ შტატებში

თანამშრომლობის განვითარება სანაპირო დაცვის საკითხებში — ასეთია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძის ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტის მიზანი. ვიზიტი 12-16 ივლისისთვისაა დაგეგმილი.

მხარეთა ძირითადი ყურადღება დაეთმობა უკანონო მიგრაციისა და ტრეფიკინგის, ნარკოტიკების გადატანის წინააღმდეგ ბრძოლისა და ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობის გაღრმავების საკითხებს.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი უკვე შვიდი წელია თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვასთან.

ქართველი მესაზღვრეები ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ყოველწლიურად იღებენ ფინანსურ დახმარებას 11 მილიონი დოლარის ოდენობით.

ქართველი მესაზღვრეები კვალიფიკაციას იმაღლებენ ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში.

შპს „ტრანსპორტის" პროექტით

ბროწეულა — რიონის სარკინიგზო სადგურების გადასარბენზე გაიზარდა მატარებლების მოძრაობის სიჩქარე. ახლა იქ სამუშაო რეჟიმით ამოქმედდა ორლიანდაგიანი ხიდი, რომელიც მდინარე რიონზეა გადებული. ძველი ნაგებობის ნაცვლად აშენებული ახალი ხიდი აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების დონეს. იგი დააპროექტა შპს „ტრანსპორტის" კოლექტივმა. როგორც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პროფესორმა თამაზ ჭურაძემ განაცხადა, კოლექტივის ძირითად ბირთვს, რომელმაც დაარსებიდან ათი წლისთავი იზეიმა, შეადგენენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხიდებისა და გვირაბების კათედრის თანამშრომლები. მათ აქვთ ხრამის, ენგურისა და ჟინვალის ჰიდროელექტროსადგურების, ეგვიპტეში ასუანის კაშხლის, ერაყში სარსანის ჰიდროელექტროსადგურისა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში ცალკეული ობიექტების დაპროექტების გამოცდილება. სადღეისოდ, დამპროექტებელთა „პორტფელშია" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის, „ფრონტერა ისტერ ჯორჯიის" კომპანიისა და სხვათა შეკვეთით განსახორციელებელი სამუშაოები.

განუხორციელებელი ზრახვები

სამხრეთ ოსეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში აპირებს შესვლას. ეს ნაღზიკში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა თვითაღიარებული რესპუბლიკის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა. როგორც კოკოითმა თქვა, მან სთხოვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს რუსეთის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შესვლის შესახებ.

1 ივლისს კოკოითმა თანამდებობიდან გადააყენა არალეგიტიმური რესპუბლიკის თავდაცვისა და იუსტიციის მინისტრები, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, საბაჟო სამსახურის უფროსი და უშიშროების საბჭოს მდივანი. იმ დღესვე გამოსცა მან ბრძანება ძალოვან სტრუქტურათა ხელმძღვანელების მოვალეობათა შემსრულებლების დანიშვნის შესახებ. როგორც სამხრეთ ოსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა მურად ჯიოევმა თქვა, ასეთი ღონისძიებების განხორციელება განაპირობა მთავრობის მუშაობის ეფექტიანობის გადიდების აუცილებლობამ.

გაძლიერებულია რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის დაცვა

მთის უღელტეხილების გახსნასთან დაკავშირებით გაძლიერდა რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის დაცვა. ეს განაცხადეს რუსეთის ფედერაციის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული სამმართველოს პრესსამსახურში.

მესაზღვრეთა შეფასებით, ამ ბოლო დღეებში ვითარება საზღვარზე არსებითად არ შეცვლილა.

გასულ უქმე დღეებში „ნიჟნი ზარამაგის" გამტარი პუნქტის შემოსავლელ მთიან მარშრუტზე, საქართველოს საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობისას დააკავეს ქალი და მისი ორი ვაჟი, აგრეთვე მათი თანმხლები გამცილებელი. ხუტა-ხეკუსა და რუსეთ-საქართველოს საზღვრის სხვა მონაკვეთებზე რუსმა მესაზღვრეებმა იპოვეს ცოლ-ქმარი, რომლებსაც, მათი თქმით, გზა აებნათ მთებში.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

პრეზიდენტი

„სავალუტო ფონდი არავითარ შემთხვევაში არ დატოვებს საქართველოს“

— ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან 7 ივლისს გამართულ შეხვედრაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა პაოლო ნეოჰაუზმა. ყველაზე პესიმისტური პერსპექტივით, ანუ იმ შემთხვევაში, თუ საქართველომ ვერც ერთი რეკომენდაცია ვერ შეასრულა, ფონდის მისია დეკემბრის დამდეგს მაინც ჩამოვა საქართველოში და დაიწყებს მუშაობას ახალ პროგრამაზე.

როგორც პაოლო ნეოჰაუზმა განაცხადა, ეს უკვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მესამე მისიაა, რომელიც საქართველოში ფონდის პროგრამის მიმდინარეობას ეძღვნება. დელეგაციის ხელმძღვანელმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობისათვის მარტში მიცემული რეკომენდაციების ნაწილი შესრულებულია. კერძოდ, საგრძნობი პროგრესია მიღწეული სტრუქტურულ საკითხებში — მიღებულია კანონი საბიუჯეტო სისტემის შესახებ, ჩატარდა სამი დიდი საწარმოს აუდიტი და ა.შ. ამავე დროს, გარკვეული გაუარესებაა მაკროეკონომიკურ პოზიციებში. პაოლო ნეოჰაუზის შეფასებით, ბიუჯეტში დეფიციტის მიზეზები ბევრია, მათ შორის, წინა თვეებში არასრულად შესრულებული ვალდებულებანი, ამოუღებელი გადასახადები, რთული სატარიფო სისტემა და სხვ. რაც მთავარია, ფონდის მისიას მიაჩნია, რომ 2003 წლის ბიუჯეტი არარეალისტურად არის დაგეგმილი, ანუ შემოსავლები მეტისმეტად ოპტიმისტურად არის გათვლილი. პაოლო ნეოჰაუზმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი, წლევანდელი გამოცდილების გათვალისწინებით, გაცილებით უფრო რეალისტური იქნება, მანამდე კი საქართველოს მთავრობამ გადამწყვეტი და მკვეთრი ნაბიჯები უნდა გადადგას და 15 აგვისტომდე უზრუნველყოს ფონდის რეკომენდაციათა შესრულება.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, ფონდის შეფასებები ობიექტურია, ხოლო მოთხოვნები — ურთულესი. ამის მიუხედავად, ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მთავრობა შეეცდება მაქსიმალურად მოასწროს მათი გარკვეული ნაწილის შესრულება, მათ შორის, შეწყვიტოს დავალიანებათა დაგროვება, 80 პროცენტამდე გაზარდოს ენერგოსისტემაში თანხების ამოღება, ჩაატაროს აუდიტი დიდ საწარმოებში, შეძლებისდაგვარად დაიწყოს ძველ დავალიანებათა გასტუმრება და ა.შ. „რეფორმებს გაცილებით მეტი დრო სჭირდება. მთავარია, მოხდეს გარდატეხა გადასახადების ამოღების საქმეში“, — მიაჩნია ედუარდ შევარდნაძეს.

„რაც შეეხება ახალ ბიუჯეტს, იგი უნდა შემუშავდეს ამ შენიშვნების გათვალისწინებით და მაქსიმალურად რეალისტური უნდა იყოს“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

„მადლობას მოგახსენებთ „დიდი პროექტების“ რეალიზების საქმეში გამოჩენილი მალისხმევისათვის“

პირველი გვერდიდან

„ჯეიმს ბეიკერის ვიზიტისას, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმ სამომავლო პროექტებზე, რომლებიც საქართველოს ახალ გამარჯვებას მოუტანს,“ — განაცხადა ელიზაბეტ ჯონსმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ყურადღება მიაპყრო ჯეიმს ბეიკერის საქართველოში ვიზიტის მნიშვნელობას და ეს მოვლენა ამერიკის შეერთებული შტატების საქართველოსადმი კეთილგანწყობისა და დაინტერესების კიდევ ერთ გამოვლინებად მიიჩნია.

შეხვედრაზე დადებითად შეაფასეს არჩევნებთან დაკავშირებით ამერიკელი სპეციალისტების მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები, რომლებიც მისაღები აღმოჩნდა ოპოზიციისთვისაც.

„ამჟამად საქართველოს პარლამენტს სერიოზული სამუშაო აქვს შესასრულებელი. შემოდგომამდე დარჩენილ დროში დეპუტატებს, საარჩევნო კოდექსის გარდა, მოუხდებათ ჩემს მიერ წარდგენილი ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვის წინააღმდეგ მიმართული კანონპროექტის განხილვა. ეს საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სახიფათოა არჩევნების პროცესში. ამიტომ, ეს კანონი დროულად უნდა მიიღონ,“ — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

სხვა საკითხებთან ერთად ელიზაბეტ ჯონსმა ყურადღება მიაპყრო სუუამის სამიტში საქართველოს პრეზიდენტის მონაწილეობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც აქტიურად ითანამშრომლებს ამ გაერთიანებასთან.

„ჩვენ მივიჩნევთ, რომ იალტის სამიტზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები გაფორმდა, მათ შორის სატრანსპორტო გადაზიდვებთან დაკავშირებული შეთანხმება. ამერიკა მათ განხორციელებაში ყოველმხრივ დაგეხმარებათ,“ — განაცხადა ელიზაბეტ ჯონსმა.

სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ასევე დადებითად შეაფასა პანკისის ხეობაში ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოჩენილი ძალისხმევა. მან ასევე ხაზგასმით დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მიმართ. „აფხაზეთის პრობლემა ყოველთვის იქნება ამერიკა-რუსეთის დიალოგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი“, — განაცხადა ელიზაბეტ ჯონსმა.

შეხვედრაზე განიხილეს სხვა მნიშვნელოვანი რეგიონალური და საერთაშორისო საკითხებიც.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

იან კუბიში: „ეს არჩევნები საქართველოს არჩევნებია. ეუთოს შეუძლია დაგეხმაროთ, მაგრამ პროცესი საქართველომ უნდა წარმართოს და პასუხიც თავად აგოს“

„არჩევნების ხარისხი პრაქტიკულად განსაზღვრავს საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან საქართველოს ურთიერთობის ხარისხს. ამიტომაც ეუთო გააკეთებს ყველაფერს, რათა უზრუნველყოს ამ არჩევნების მაღალი ხარისხით ჩატარება“, — განუცხადა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, 7 ივლისს გამართულ შეხვედრაზე, ეუთოს გენერალური მდივნის მოადგილემ იან კუბიშმა, რომელმაც, მისივე განმარტებით, საქართველოში არჩევნების გამართვაში ეუთოსათვის განსაკუთრებული როლის მინიჭების თაობაზე მხოლოდ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ შეიტყო. „ჩემი ვიზიტის მიზანია, შევისწავლო, როგორ მუშაობს საზღვრის მონიტორინგის მისია, მაგრამ საქართველოს მიწაზე ფეხის დადგმიდან პრაქტიკულად მთელი დრო არჩევნების შესახებ საუბარს მიაქვს“, — აღნიშნა იან კუბიშმა.

ეუთოს გენერალური მდივნის მოადგილემ, უწინარეს ყოვლისა, მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს კონსტრუქციული თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის. მისი განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკური ჩარევის გარეშე გაძნელდებოდა ეუთოს წევრი ქვეყნების დარწმუნება იმაში, თუ რაოდენ საჭიროა ამ ქვეყნისათვის საზღვრის მონიტორინგი. იმის მიუხედავად, რომ ეუთო მრავალი მიმართულებით მონაწილეობს საქართველოს ცხოვრებაში, არის რამდენიმე მკაფიო პრიორიტეტიც. იან კუბიშის განცხადებით, ეს, უწინარეს ყოვლისა, საქართველოში კონფლიქტების პოლიტიკური გადაჭრაა. „მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეუთო კვლავ მზად არის მხარი დაუჭიროს ამ პროცესს“, — განაცხადა ეუთოს გენერალური მდივნის მოადგილემ და ხაზი გაუსვა, რომ ეუთო ამ საკითხებში აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან. „ეს ორგანიზაცია ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაციის პროექტებს აფინანსებს. ეს საქმიანობა პროგრესთან არის დაკავშირებული და კონფლიქტის პოლიტიკურ მხარეზეც აისახება. ამ პროცესის განვითარება უდავოდ შეუწყობს ხელს ვითარების გაუმჯობესებას“, — დარწმუნებულია იან კუბიში. მისი განცხადებით, ეუთო ასევე მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს დევნილთა დაბრუნების პროცესშიც, კერძოდ, მონიტორინგის, ლტოლვილთათვის აუცილებელი გარანტიების შექმნის პროცესში. როგორც იან კუბიშმა აუწყა საქართველოს პრეზიდენტს, კვლავ ძალაშია შეთანხმება, შესაბამისი პოლიტიკური სურვილის პირობებში, გალში ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნის შესახებ.

რაც შეეხება არჩევნებს საქართველოში და მათში ეუთოსთვის განსაკუთრებული როლის მინიჭებას, იან კუბიშს ამ საკითხებზე კომენტარის გაკეთება ნაადრევად მიაჩნია. „ვიდრე არ გადაწყდება, პოლიტიკური და პრაქტიკული თვალსაზრისით, როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა ეუთომ ამ პროცესში, არ ვარ უფლებამოსილი გამოვხატო პოზიცია ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით“, — განაცხადა იან კუბიშმა, თუმცა აღნიშნა, რომ მიესალმება თანამშრომლობის სურვილსა და აგრესიის უარყოფას, რაც, მისი შეფასებით, ამ რეკომენდაციებისადმი პოლიტიკური ძალების დამოკიდებულებით გამოიხატება. „აუცილებელია, რომ არჩევნების შედეგები იყოს ლეგიტიმური და ისინი აღიაროს ყველა მონაწილე ძალამ“, — მიაჩნია მას. „ეს არჩევნები საქართველოს არჩევნებია. ეუთოს შეუძლია დაგეხმაროთ, მაგრამ პროცესი საქართველომ უნდა წარმართოს და პასუხიც თავად აგოს“, —ასეთია ეუთოს გენერალური მდივნის მოადგილის პოზიცია.

იან კუბიშის აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი შედეგით დასრულდება საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა ოპოზიციური პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებთან. „თუ ამ შეხვედრის შემდეგ იქნება სიგნალი, რომ ეს არის ძლიერი საერთო სურვილი, მაშინ ეუთო მთელი სერიოზულობით მოეკიდება ამ საკითხს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხსაც ამ პრიზმით განვიხილავთ“, — განაცხადა იან კუბიშმა.

საქართველოს პრეზიდენტმა დაუდასტურა სტუმარს, რომ მიესალმება არჩევნებთან დაკავშირებით ეუთოს ყოველგვარ აქტიურობას და იმედი აქვს, რომ ეს გარემოება ხელს შეუწყობს ამ პროცესების სამართლიანად და გამჭვირვალედ წარმართვას. „მადლობა ყველაფრისათვის, რასაც აკეთებთ საქართველოსათვის. ჩვენი საბოლოო მიზანი ევროატლანტიკურ სივრცეში, ევროსტრუქტურებში ინტეგრირებაა და იმას, რაც ახლა კეთდება საქართველოში, ამ მიზნის მიღწევისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

თვალსაწიერი

მარქაფად რაღა გვრჩება — მამა ღმერთის სქემა თუ ღვთისმშობლის წილხვედრობა?

პირველი გვერდიდან

თუ გავითვალისწინებთ, რომ ოპოზიცია საკმაოდ სერიოზულად ელოლიავებოდა იმედს, რომ ჯეიმს ბეიკერის საქართველოში ჩამოსვლის (აშშ პრეზიდენტის მიერ მისი გამოგზავნის) მიზანი, არჩევნების საკითხში ოპოზიციის მხარდაჭერა თავისთავად, ედუარდ შევარდნაძის პოსტიდან გადაყენების მოთ-ხოვნა იქნებოდა.

ეს სულაც არ არის ხუმრობა. დიახაც ბევრი იმედოვნებდა, რომ აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი და ამჟამად პრეზიდენტ ბუშის ემისარი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის გადადგომას მოითხოვდა!

მთავარი ის კი არ არის, რომ ამის ნაცვლად ბატონმა ბეიკერმა ხაზგასმით აღნიშნა, აშშ შევარდნაძეს მხარს არჩევის დღიდან უჭერდა და დღესაც უჭერსო, არამედ ის, რომ ეს ჩვენი პატრიოტი პოლიტიკური მოღვაწენი სულისკაწკაწით ელოდნენ, აი, ჩამოვა ის კაცი და პრეზიდენტს მოგვიხსნისო...

მაგრამ რაკიღა ამ მთავარმა მიზანმა — უცხო ქვეყნის ხელით პრეზიდენტის ჩამოგდებამ (უსისხლო რევოლუციამ), როგორც იტყვიან, ჩაილურის წყალი დალია, ოპოზიცია იმას დასჯერდა, რაც მიიღო — შეთავაზებული ფორმულა ცესკოს დაკომპლექტებისა: 5+9+1, ანუ 5 მთავრობის მიერ დასახელებული წევრი, 9 ოპოზიციის მიერ დასახელებული წევრი და ეუთოს მიერ დანიშნული თავმჯდომარე (ვინმე — საზოგადოების, ყველას მიერ პატივცემული კაცი).

და ოპოზიციამ ჩათვალა, რომ გაიმარჯვა!

მაგრამ განა თითქმის იგივეს არ სთავაზობდა მას ხელისუფლებაც (ოღონდ იქ ეუთოს მიერ ცესკოს თავმჯდომარის დანიშვნისა და პარალელური გადათვლის შესახებ ლაპარაკი არ ყოფილა)!

ამიტომ მიჩნდება აზრი, რომ ბატონ ბეიკერის ჩამოსვლა ემსახურებოდა საკმაოდ ნათლად გამოკვეთილ მიზანს: ამ ერთობ გაურკვეველ ვითარებაში, როცა ოპოზიციის მოქმედება სცილდება ყოველგვარ ნორმალურ საზღვრებს, რის გამოც ქვეყანა შეიძლება უფსკრულში გადაიჩეხოს, ვაშინგტონმა მათ კომპასი გამოუგზავნა იგივე, რასაც აქ სთავაზობდნენ, ოღონდ ამერიკული წარმოებისა.

და ოპოზიცია იძულებული იყო დათანხმებოდა და მიეღო.

სხვაგვარად თეთრი სახლი სრულიად ბუნებრივად ჩათვლიდა, რომ ეს ოპოზიცია მართლა კი არ ლამობდა არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, არამედ ამ ლოზუნგით ბლოკავდა ხელისუფლების ძალისხმევას, რათა მერე, თუ წააგებდა, ხმის ჩახლეჩვამდე ეყვირა, არჩევნები გააყალბეს, თორემ გავიმარჯვებდითო.

ოპოზიცია მიხვდა, რომ გაუგეს და ერთხმად ჩაებღაუჭა წარმოდგენილ სქემას.

მას სხვა გზა, უბრალოდ არ ჰქონდა: საკითხს სვამდა არა ხელისუფლება, რომელიც, როგორც ვთქვით, მას თითქმის იმავე პირობებს რა ხანია სთავაზობდა, მაგრამ მის შეთავაზებულს არ იღებდა, რადგან ეს მისთვის „დამარცხება“ იქნებოდა, არამედ უზენაესი არბიტრი — თეთრი სახლი.

რა თქმა უნდა, ამ შეთავაზებას მიიღებს ხელისუფლებაც (სახელისუფლებო ბლოკი) და ისიც გაიმარჯვებს.

ამრიგად, იმარჯვებს ორივე!

თავისთავად, ასეთი ორმხრივი გამარჯვება, საუკეთესო ვარიანტია.

თუ ეს „ბეიკერისეული დოკუმენტები“ საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარების წინაპირობას და ნორმალურ კლიმატს შექმნის, მეტი რა გამარჯვება გვინდა ან მარჯვნივ, ან მარცხნივ?

რა ბედნიერება იქნებოდა, ახლა რომ სადღაც სექტემბრის ბოლო-ოქტომბრის დასაწყისი იყოს! ერთმა ღმერთმა იცის, რა მოხდება 2 ნოემბრამდე, რამდენს გადაუბრუნდება ტვინი. ვის რა ამბიცია დააფეთებს და სარევოლუციოდ გამოაგდებს ქუჩაში.

წეღან ვთქვით, რომ ბეიკერის სქემამ შეკრა „გამარჯვებული“ ოპოზიცია. ეს მოხდა რამდენიმე საათით!

მაგალითად, დილით, პრეზიდენტ ბუშის დესპანთან შეხვედრიდან გამოსული ბატონი ჯემალ გოგიტიძე მიესალმებოდა ამ შეხვედრის შედეგებს, მაგრამ უკვე საღამოს ტრადიციულად დაკოხილი სახით გამოთქვამდა ზოგიერთ პრეტენზიას...

მერე და მერე რაღაც პრეტენზიები, ალბათ, სხვებსაც გაუჩნდება...

თანაც, ოპოზიციის მყისიერად წარმოქმნილი ერთობა არ არის ნიშანდებული მარადიულობის ბეჭდით. მათ რომ მოუსმინო, ოპოზიციის 6 ივლისს შემდგარ პრაქტიკულ გაერთიანებას (ბეიკერთან შეხვედრის შედეგად) შალვა ნათელაშვილი ჩაუდგა სათავეში.

მაგრამ, თუ გახსოვთ, კრილოვის გედი, კიბორჩხალა და ქარიყლაპიაც ერთ უღელში იყვნენ შებმულ-გაერთიანებული და მიზანიც ერთი ჰქონდათ — ურმის წაყვანა, მაგრამ ყველა სხვადასხვა მხარეს ექაჩებოდა და ძვრაც ვერ უყვეს.

ნაციონალები მიიჩნევენ, რომ ისინი არიან ოპოზიციის გამაერთიანებლები, მხოლოდ ამ ძალას შეუძლია საქართველოში ცვლილებების მოხდენა, რომ ოპოზიციის ფლაგმანი მიხეილ სააკაშვილია.

აი, ინტელიგენციას (მის გარკვეულ ნაწილს) „უჯარო გენერლის“ — ჟერჯერობით საკუთარი პარტიის არმქონე ნინო ბურჯანაძის იმედი აქვს და მეთაურობის ხელში აღებას მას სთხოვს.

ოპოზიცია კი საკვირველად თავაზიანად, უჩვეულოდ ზრდილობიანად აგდებს სიტყვას ბანზე — ქალბატონ ნინოს პოლიტიკურ ოპოზიციურ გაერთიანებაში, რა თქმა უნდა, საპატიო ადგილი ექნება, მაგრამ ის მარტო ვერ შეძლებს რევოლუციური ცვლილებების მოხდენასო.

ამრიგად, ბატონ ბეიკერის აქედან დაიმედებულად წასვლის მიუხედავად, ოპოზიცია რევოლუციის და რევოლუციური ცვლილებების იმედს არ გამოთხოვებია. მერე რა გზაღა გვრჩება მარქაფად — მამა ღმერთის სქემა თუ ღვთისმშობლის წილხვედრობა?

ალეკო ასლანიშვილი.

ფაქტი

აფეთქება მოსკოვში

ერთი ადამიანი დაიღუპა და კიდევ 4 დაიჭრა გუშინ, მოსკოვში მომხდარი აფეთქების შედეგად. სამართალდამცველი ორგანოების მონაცემებით, აფეთქება 16.20 საათზე, მოსკოვის სამხრეთ ნაწილში, ერთ-ერთ ქუჩაზე მოხდა.

მშენებელმა მუშებმა ნაგვის კონტეინერში სამი ხელყუმბარა იპოვეს, რომელთაგან ერთ-ერთი აფეთქდა. ერთი მუშა ადგილზე დაიღუპა, დაშავებულია რამდენიმე გამვლელი.

შემთხვევის ადგილას მეხანძრეები, „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადები და სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლები მუშაობენ.

ინტერ-პრესი.

პოზიცია

საზღვარი — პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა

პირველი გვერდიდან

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ საჭიროა საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოს მაქსიმალური აქტიურობა, რათა სახელმწიფო კომისიას, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას საზღვრების საკითხებზე, შეექმნას ხელშეწყობის პირობები დასახული ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად. ამავე დროს პრინციპულად მიგვაჩნია, რომ საზღვრების თემა ქვეყნის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად იქცეს და სწორედ ამ ხელისუფლების მოღვაწეობის პერიოდში დასრულდეს მათი, როგორც სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტის ჩამოყალიბება.

ჩვენ ასევე მივმართავთ პარტნიორი მეზობელი სახელმწიფოების უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, გამოიჩინონ მაქსიმალური ძალისხმევა აღნიშნული პროცესის წარმატებით დასასრულებლად, ვინაიდან საკითხი მნიშვნელოვანია მათი ეროვნული ინტერესების განხორციელებისთვისაც.

საზღვრების პრობლემის გადაწყვეტა წარმოადგენს როგორც ჩვენი, ისე მოსაზღვრე სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ უმთავრეს პირობას, რამაც საბოლოო ანგარიშით უნდა შექმნას სამხრეთ კავკასიის სტაბილურობის მნიშვნელოვანი წინაპირობა. ამავე დროს სახელმწიფო საზღვრების ჩამოყალიბება სერიოზული ნაბიჯი უნდა გახდეს რეგიონში საერთო მსოფლმხედველობის დამკვიდრების და მისი სრულმასშტაბიანი ინტეგრაციის გზაზე.

2003 წლის 7 ივლისი.

სიტუაცია

გაღმით შედავების მოსურნეს გამოღმით არაფერი შერჩა

პირველი გვერდიდან

მაგრამ უთანხმოებამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის პირველსავე წელს იჩინა თავი: **იმის გამო, რომ „ალეგრატრანსი“ მოზღვავებულ ნავთობპროდუქტებს ვერ პატრონობდა, ბათუმსა და ქვეყნის სხვა სარკინიგზო სადგურებში ასეულობით დაუცლელი ცისტერნა დაგროვდა.** მოცდენილი ვაგონები უცხო სახელმწიფოებისა იყო, „სხვა სახელმწიფოთა კუთვნილი სატვირთო ვაგონების ექსპლუატაციის, აღრიცხვისა და სარგებლობის წესების“ მე-5 დანართის მიხედვით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საქართველოს რკინიგზას თითოეულ ცისტერნაზე 13.51 შვეიცარიული ფრანკი ერიცხებოდა. 16-დან 30 დღემდე მოცდენისათვის გადასახადს ეფარდებოდა კოეფიციენტი 1,3, 30 დღის ზემოთ — 3. **სწორედ ამის გამო უკვე 2001 წლის პირველ ივლისამდე დავალიანებამ 6 502 808 ლარი შეადგინა, წლის მეორე ნახევარში 2-5 639 691 ლარი. ამას დაემატა სახელმწიფო ბაჟი და ზარალმა საბოლოო ანგარიშში 12 152 500 ლარს მიაღწია.**

„ტვირთის საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ“ შეთანხმების 21-ე მუხლი მიუთითებს, რომ ვაგონების მოცდენისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ან ტვირთის გამომგზავნს, ან ტვირთის მიმღებს.

ყველაფერი ნათელია და თითქოს „ალეგრატრანს ლიმიტედს“ პრეტენზიისათვის საფუძველი არა ჰქონდა, მაგრამ... მაინც იმოქმედა პრინციპით: „დავუშვათ და, იქნებ რამე გამოდნეს“?

რა თქმა უნდა, „ალეგრატრანსმა“ იცოდა, ტერმინალში ჰქონდა თუ არა თავისუფალი ადგილი. გონივრულად რომ ემოქმედა, შეეძლო, „არც მწვადი დაეწვა და არც შამფური“ — გამომგზავნისგან მხოლოდ იმ რაოდენობის ტვირთი მოეთხოვა, რამდენსაც მოერეოდა. საამისოდ მას ზურგს უმაგრებდა ტვირთგამომგზავნ ფირმებთან დადებული სათანადო ხელშეკრულებები. **საქართველოს რკინიგზა კი არც ტვირთის გამომგზავნია და არც ტვირთის მიმღები — ის ტვირთის გადამტანია! ეს ფაქტი, რატომღაც, „ალეგრატრანსს“ არ აინტერესებდა. ის კი არა, ხელშეკრულებებს საგულდაგულოდ უმალავდა და არა მარტო საქართველოს რკინიგზას, არამედ სასამართლოსაც! ეს დოკუმენტი საქართველოს რკინიგზამ, როგორც იქნა, ხელში ჩაიგდო და უზენაეს სასამართლოს წარუდგინა.** „ალეგრატრანსსა“ და „ნორდ ვესტს“ შორის 2001 წლის პირველ აპრილს დადებული ხელშეკრულების №10 და №11 დანართები აწესრიგებენ ტვირთის მიღებისა და დაცლის ორგანიზაციულ საკითხებს. **იქ ნათქვამია, რომ თუ ტვირთგამომგზავნმა ტვირთი „ალეგრატრანსთან“ შეუთანხმებლად გამოგზავნა, ვაგონების მოცდენაზე პასუხს ის აგებს.**

აი, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული და იმ ხელშეკრულებებს კრუხივით ზედ რატომ აჯდა „ალეგრატრანსი“!

სხვათა შორის, საქმეში ჩართულია „ალეგრატრანსის“ ხელმძღვანელთა წერილები ბათუმის ტერიტორიულ სამმართველოსა და ბათუმის რკინიგზის სადგურის უფროსებისადმი (2001 წლის 14 მარტი, 21 მაისი, 2 ივლისი, 3 ივლისი, 27 ივლისი), რომლებშიც ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი მოცდენილი ვაგონების ხარჯების ანაზღაურებაზე რკინიგზის პრეტენზიების უსაფუძვლობის შესახებ! ის კი არა, 21 მაისის წერილში ის ფირმებიც კი მოიხსენია, რომლებსაც მან („ალეგრატრანსმა“) ვაგონების მოცდენისათვის თანხის გადახდა მოსთხოვა, და რომ „სასწრაფოდ დაფარონ დავალიანება“.

საქართველოს რკინიგზა ტრანზიტით ტვირთის შემოსვლაზე დაუყოვნებლივ აცნობებდა ხოლმე „ალეგრატრანსს“. თუ, ვთქვათ, მიიღებდა პასუხს, რომ ტვირთის განთავსების საშუალება არ ჰქონდა, მაშინ რკინიგზა ვაგონებს თბილისთან ახლოს გააჩერებდა და დამატებით ხარჯებს თავიდან აიცილებდა. **რა მოხდებოდა, თუ რკინიგზა ტვირთის მიღებაზე უარს განაცხადებდა? მაშინ ამოქმედდებოდა „ტვირთის საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ“ შეთანხმების სამსახურებრივი ინსტრუქციის 50.5 მუხლი, რაც უფრო მკაცრ საჯარიმო სანქციებს ნიშნავს, ვიდრე ვაგონების მოცდენაა. მიზეზი კი ის არის, რომ ამით რკინიგზა უხეშად დაარღვევდა ზემოხსენებულ შეთანხმებას.**

არადა, ყველა ვაგონცისტერნა, რომლებიც საქართველოში ტრანზიტით შემოვიდა, მიღებული აქვს „ალეგრატრანსს“. და მიღებული აქვს მაშინაც კი, როცა ტერმინალში ადგილი არ იყო!

აი, „ქარაგმის“ მთელი საიდუმლოება. და მადლობა ღმერთს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ეს „ქარაგმა“ ამა წლის 16 ივნისის სხდომაზე ამოხსნა და გაჭიანურებულ დავას ლოგიკური წერტილი დაუსვა: 2001 წელს ვაგონების მოცდენისათვის 12 152 500 ლარის გადახდა „ალეგრატრანს ლიმიტედს“ დააკისრა.

ეს მწარე გაკვეთილი, ალბათ, ჭკუის სასწავლებელი იქნება არა მარტო „ალეგრატრანსის“ ხელმძღვანელობის, არამედ იმათთვისაც, ვინც დავის გადაწყვეტას განგებ აჭიანურებდა, რითაც დიდ სიძნელეებს უქმნიდა სრულიად უდანაშაულო საქართველოს რკინიგზას.

ელგუჯა ლებანიძე.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №41, აცხადებს ღია ტენდერს მეჩაიეობის მცირე საწარმოებში ჩაის მაღალი ხარისხის პროდუქციის საწარმოებლად მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვა განხორციელდება 7 ლოტში მათ შორის: №1, №2 და №3 ლოტებში თითოეულში 10 ტონაზე: №4, №5 და №6 ლოტებში თითოეულში 5 ტონაზე, ხოლო №7 ლოტში 3 ტონაზე.

2. ტენდერში გამარჯვებულმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე სამინისტროსთან შეთანხმებულ ვადებში.

3. მცირე საწარმოების მფლობელმა (განმკარგველმა) დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2003 წლის 24 ივლისიდიან 28 ივლისის 18 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №41, ოთახი №321 (სატენდერო კომისიის აპარატში).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

იურიდიული პირისათვის:

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანოტარო საქმის წარმოება (სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);
- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამართლებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან);
- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- სახელმწიფო ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ (პირის რეგისტრაციის ადგილას რაიონული სასამართლოდან);
- სატენდერო წინადადების ხელმოწერისათვის გაცემული მინდობილობა;
- უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცეულ პერიოდში მიმდინარე გაწეული ანალოგიური მომსახურება (ნიმუშის ფორმით);
- მომსახურების გაწევისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარები (ნიმუშის ფორმით);
- ტენდერში მონაწილის ძირითადად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება (ნიმუშის ფორმით);
- ბოლო 2 (ორი) წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები, აუდიტორული დასკვნები) დაურთეთ ასლები.
- საგადასახადო დავალიანებები სახელმწიფო ბიუჯეტისადმი, სოციალური უზრუნველყოფის და სამედიცინო ფონდისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები).

ფიზიკური პირებისათვის:

- ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (პირადი საცხოვრებელი ადგილის რაიონული სასამართოდან);
- ცნობას, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

5 შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად და დაიშვება შესყიდვის შემდგომი მონაწილეობისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ განსაზღვრულ ვადაში ყველა საკვალიფიკაციო სწორ დოკუმენტს. სატენდერო კომისია ყველა მონაწილეს აცნობებს საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებს. ტენდერის შემდგომ ეტაპზე დაშვებული პრეტენდენტები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ 500 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის სატენდერო კომისიის მიერ დასახელებულ საბანკო ანგარიშზე შეტანის მერე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას 41, ოთახი 321.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებისას გამოყენებულ იქნება შემდეგი კრიტერიუმები. მონაწილის გამოცდილება, კვალიფიკაცია, საჭირო მოწყობილობა-დანადგარებით აღჭურვა, ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

7. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი სატენდერო წინადადება.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლენილი იქნას რამდენიმე გამარჯვებული.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში ბატონ გიორგი ქავთარაძისგან და ბატონ ილია ბიბილეიშვილთან. მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №41, ოთახი №321.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე დავით გრიგოლია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სახელმწიფო საზღვარი

იმედის, რწმენის, ვაჟკაცობის ათწლეული

დამოუკიდებელი ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი სახელმწიფო საზღვარია, რომელსაც 1999 წლიდან უკვე დამოუკიდებლად იცავენ ქართველი მესაზღვრეები. ამ პროცესს წინ უძღოდა მეტად რთული და საპასუხისმგებლო სამუშაოები, ქართულმა მხარემ 1998-99 წწ. სასაზღვრო პერიმეტრის კონტროლზე პასუხისმგებლობა რუსეთისგან გადმოიბარა, რამაც XX საუკუნის მიწურულს, ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოს უდიდესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო აქტი შესძინა.

ამას კი, საფუძვლად ედო კოლოსალური შრომა, რომელსაც სათავე 1992 წლის 7 მაისს ჩაეყარა. მაშინ საქართველოს მთავრობამ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის კონცეფცია, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ კი თავდაცვის სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა საზღვრის დაცვის მთავარი სამმართველო, რომელიც საქართველოში პირველ სასაზღვრო სტრუქტურას წარმოადგენდა.

საგულისხმოა, რომ პოლიტიკურად სწორედ ამ ურთულეს დროს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო ჯარის შექმნის შესახებ. პირადი შემადგენლობის მაქსიმალური რაოდენობა კი 10.000 კაცით განისაზღვრა. ერთი წლის შემდეგ, 1993 წ. 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭომ მიიღო დადგენილება საბაჟო სამსახურის მოწესრიგებისა და სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ, რომლის მეორე პუნქტის თანახმადაც ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო ყველა სამინისტროს, სახელმწიფო უწყებასა და სამხედრო ფორმირებების წარმომადგენლებს სასაზღვრო ჯარების გარდა სასტიკად აეკრძალათ საბაჟო კონტროლის ზონაში ყოფნა. ამავე წელს სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელად გენერალი ვალერი ჩხეიძე ინიშნება, რომელიც სასაზღვრო ძალების პირადი შემადგენლობის წინაშე დასახულ მიზნებსა და ამოცანებს დღემდე უცვლელად უდგას სათავეში.

1994 წ. 4 აპრილს საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანებით საზღვრის დაცვის მთავარი სამმართველო თავდაცვის სამინისტროს გამოეყო და დამოუკიდებელი სუბიექტი გახდა, რომელსაც მოგვიანებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სტატუსი მიენიჭა. 1998 წლის 17 ივლისს კი, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ, რამაც შემდგომში განსაზღვრა სასაზღვრო ძალების პირადი შემადგენლობის წინაშე დასახული სამოქმედო გეგმა.

ტემისაგან შემდგარი პროექტი, ესენია: სახელმწიფო საზღვრის მართვა, კონტროლი და თვალთვალი. ამ სამივე კომპონენტის რეალიზაცია, რომლის კონსტრუქტორიც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ანატოლი გორგოშიძეა, 1999 წელს ამერიკელი სპეციალისტების მიერ გაწეული ფინანსური დახმარებით დაიწყო.

ალსანიშნავია, რომ სუფსის ნავთობტერმინალის პერიმეტრზე უკვე დაწყებულია 18 სათვალთვალო სენსორების დამონტაჟება, ხოლო რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ინგუშეთ-ჩეჩნეთ-

გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე.

ველოს სასაზღვრო ძალების განვითარებისათვის ფულადი დახმარების გამოყოფის შესახებ, თუმცა, საქართველოს სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელის მოთხოვნით გადაწყდა, რომ ქართული მხარე დახმარებას მიიღებდა არა ცოცხალი ფულის, არამედ ტექნიკური საშუალებებისა და აპარატურის სახით.

1998-2000 წლებში აშშ დახმარებამ 25.565.000 დოლარი შეადგინა.

2001 წელს აშშ დახმარების კომპლექსური გეგმა მოიცავდა ავიაციის, სასაზღვრო ინფრასტრუქტურების მშენებლობის, სანაპირო დაცვის, პერსონალის მომზადებისა და სისტემა „იორის" განვითარების პროგრამებს. ამ მიმართულებების რეალიზაციისთვის გამოიყო 18.000.000 დოლარი. სამომავლოდ აშშ მხრიდან პროგრამის კიდევ უფრო გაზრდა და გაღრმავებაა ნავარაუდევი.

1998 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს სასაზღვრო უწყებასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის ფედერალურ სამინისტროს შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომლის ფარგლებშიც გერმანულმა მხარემ საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტს იმავე წელს გადმოსცა სადარაჯო ხომალდი „აიეტი". 2000 წელს კი, 8 517 ლარის ოდენობის საკვები რაციონი.

ინგლისისგან 1998 წელს ქართულმა მხარემ მიიღო ორი სადესანტო კატარღა.

რაც შეეხება ჩინეთისა და საქართველოს სასაზღვრო სტრუქტურის თანამშრომლობას, იგი ჯერ კიდევ ჩამოყალიბებისა და განმტკიცების სტადიაშია. ურთიერთთანამშრომლობას საფუძველი დაუდო 2000 წლის 27 დეკემბერს გაფორმებულმა ხელშეკრულებამ „საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შორის უანგარო დახმარების შესახებ". დახმარება განისაზღვრა 480.000 ლარის ოდენობით.

შვეიცარიის მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს სასაზღვრო ძალებს 2001 წლის ბოლოს გადმოეცა 23 000 აშშ დოლარის ღირებულების საჯარისო ინვენტარი.

2000 წელს ევროკავშირმაც გამოუწოდა დახმარების ხელი საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტს და 702 000 აშშ დოლარის დახმარება გაუწია.

მეგობარ ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობა სულ უფრო ღრმავდება და აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასაზღვრო უწყებისათვის დახმარების გაწევის სურვილი მათივე მხრიდან კვლავ ინტენსიურად ხორციელდება. განსაკუთრებული ყურადღება კი შეიძლება გამახვილდეს უკრაინისა და თურქეთის სახელმწიფოებზე.

უკრაინულ მხარესთან თანამშრომლობა ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო, როცა იმავე წლის 31 აგვისტოს ორი ქვეყნის მთავრობებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას „სასაზღვრო საკითხებში თანამშრომლობის შესახებ". 1997 წლის 14 თებერვალს კი საქართველოს სასაზღვრო უწყებასა და უკრაინის სახელმწიფო საზღვრის დაცვის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს შორის ხელი მოეწერა ოქმს „საქართველოს სასაზღვრო ჯარებისათვის კადრების მომზადებისა და სწავლაში თანამშრომლობის შესახებ". უკრაინამ ქართულ მხარეს გადმოსცა სადარაჯო ხომალდი, ასევე ეხმარება საქართველოს სასაზღვრო უწყებას კადრების მომზადების სფეროში.

ამჟამად უკრაინის ეროვნულ აკადემიაში სწავლობს 51 კურსანტი და ერთი მსმენელი. აკადემია კადრებს შემდეგი სპეციალობებით ამზადებს: სამეთაურო შემადგენლობის ოფიცერ-მესაზღვრე, საკონტროლო-გამტარი პუნქტების ოფიცერ-მესაზღვრე, სამართალმცოდნეობა, კინოლოგია, სასაზღვრო ძალების ნაწილებისა და ქვედანაყოფების მართვა.

უკრაინის გარდა საქართველოს სასაზღვრო ძალებისთვის კვალიფიცირებული კადრების მომზადებას უზრუნველყოფს ეროვნული სასაზღვრო აკადემია, თავდაცვის ეროვნული აკადემია და უშიშროების აკადემია (სასაზღვრო ფაკულტეტი).

მომავალ მესაზღვრეებს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ტაქტიკურ-სპეციალური მომზადების კათედრა აყალიბებს, რომელსაც 2001 წ. 20 აგვისტოდან ვიცე-პოლკოვნიკი დავით ბედოშვილი ხელმძღვანელობს. ამჟამად აკადემიაში 56 მესაზღვრე კურსანტი გადის სწავლების კურსს.

აკადემიაში თეორიულ სწავლებას, პრაქტიკული სტაჟირება ემატება. სასწავლო წლის დასასრულს მესამე კურსელთათვის დაგეგმილია პრაქტიკული მეცადინეობები ბათუმისა და ახალციხის სასაზღვრო რაზმებში.

შესწავლის კაბინეტი ფუნქციონირებს საზღვრის დაცვის დეპარტამენტშიც, სადაც სწავლებას გადიან, როგორც თანამშრომლები, ასევე თანამშრომელთა შვილები. სწავლებას მთლიანად თურქული მხარე აფინანსებს.

თურქეთის შეიარაღებული წარმომადგენლობის საქმიანობა მიზნად ისახავს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ნაწილების ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად, თანამედროვე გაწრთვნილი და ძლიერი ჯარების დონეზე აყვანას. თურქულ მხარეს საქართველოს სასაზღვრო ძალებთან ერთად შედგენილი აქვთ 5-წლიანი გეგმა, 2002 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია სასაზღვრო ძალების მოტო-სამანევრო ჯგუფის სტრუქტურის ახლიდან ჩამოყალიბება და სწავლება, სასაზღვრო ძალების ავტოსახელოსნო ნაწილის შექმნა; ლილოს სასწავლო ცენტრში კი სწავლების მეორე ეტაპი დაიწყება, რომლის დროსაც დაგეგმილია მოწინავე პერსონალის 12-კვირიანი სასწავლო კურსი.

1999-2000 წლებში თურქული მხარის დახმარებამ 475.285 ლარი, ხოლო 2001 წელს – 570.387 დოლარი შეადგინა.

2002 წელს თურქულმა მხარემ ჩვენს უწყებას საჩუქრად უკვე გადმოსცა 750 ტონა დიზელის საწვავი.

2003 წლის 13 მაისს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გაფორმდა კონტრაქტი გრანტის გადაცემის შესახებ, რომლის საფუძველზეც სასაზღვრო ძალებს, კერძოდ კი ეუთო-ს მისიის დაცვის სპეციალურ კომენდატურას გრანტის სახით გადაეცემა რვა დასახელების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა. 2003 წლის 16 მაისს კი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას შორის ხელი მოეწერა კონტრაქტს „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გრანტის სახით მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გადაცემის შესახებ", რომლის თანახმადაც, ეუთო-ს მისია, სასაზღვრო უწყებას (ეუთო-ს მისიის დაცვის სპეციალურ კომენდატურას) მიმდინარე წლის 18 ივლისამდე გადასცემს 100.000 ევროს ღირებულების სხვადასხვა სახის მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას.

სასაზღვრო ავიაცია — ამერიკული მოდელით

საქართველოს სასაზღვრო ძალების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწილია საავიაციო განაყოფი, რომელიც 1999 წლის 21 აპრილს გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძის ინიციატივით შეიქმნა. მესაზღვრეთა ავიარაზმის პირველი კადრების სამოქალაქო საავიაციო კომპანია „აისისგან" დაკომპლექტდა, რომელმაც პირველი საფრენოსნო აპარატი „МИ-8" ტიპის ვერტმფრენი ექსპლუატაციაში ჩაიბარა. აღსანიშნავია, რომ ეს ძვირადღირებული ტექნიკა ქართველ მესაზღვრეებს ამერიკულმა მხარემ გადმოსცა. ინფორმაციისთვის, 2000 წელს ამერიკელი სპეციალისტების მიერ გაწეული დახმარების შედეგად უკრაინაში გარემონტდა და ქართველ მესაზღვრეებს გადაეცა კიდევ ერთი „МИ-8" ტიპის ვერტმფრენი. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, აშშ-ის დაკვეთით ქუთაისის ავიატექნიკურ ქარხანაში დამზადდა მსუბუქძრავიანი თვითმფრინავი „მერკური", რომელიც საქართველოს საზღვრის პერიმეტრზე პატრულირებისთვის გამოიყენება.

ეუფლებიან მძიმე საბრძოლო ტექნიკას.

სასაზღვრო ძალების 10 წლისთავთან დაკავშირებით, 2002 წლის 21 მარტს ავიარაზმში გაიხსნა საავიაციო ანგარლაბორატორია. წლეულს დასრულდება მისი სათანადო შესამოწმებელი სტენდებითა და დიაგნოსტიკური დანადგარებით აღჭურვა. ანგარლაბორატორია მნიშვნელოვნად დაეხმარება მესაზღვრეებს ავიარაზმის საფრენ აპარატებს დროულად ჩაუტარონ რეგლამენტით გათვალისწინებული ტექნიკური დათვალიერება. ასევე, ამ დღეს სასაზღვრო სამსახურს გადმოეცა საჩუქრად „АН-28" თვითმფრინავი. ამ ხნის განმავლობაში აღდგენილია მესტიის აეროდრომი, დაგეგმილია ლაგოდეხის, ომალოს, ახალქალაქისა და ჩიხარიშის აეროდრომების აღდგენა.

2003 წლის მეორე კვარტალში ამოქმედდება „ქუთაისი პირველი" აეროპორტის ბაზაზე გაწვრთნილი სასაზღვრო რაზმი „ქუთაისი", რომელიც გააკონტროლებს შავი ზღვის აკვატორიის და დასავლეთ საქართველოს საზღვრებს. ასევე, მიმდინარე წლის ივლისში იგეგმება აშშ დახმარებით უკრაინიდან ერთი „МИ-8 МТВ-1", ვერტმფრენის და „АН-28" ტიპის თვითმფრინავის მიღება.

მიუხედავად სიძნელეებისა, სპეციალისტების აზრით, საქართველოში არ არსებობს სასაზღვრო ძალებზე ტექნიკურად უფრო გამართული და უზრუნველყოფილი ავიარაზმი. ჩვენი სამსახური ხშირად ემსახურება ეუთოს, ნატოს, „წითელ ჯვარს" და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს. მესაზღვრეების ავიარაზმი უზრუნველყოფს პრეზიდენტის მომსახურებასაც.

საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში სხვადასხვა რაზმებთან ერთად, ჩამოყალიბებულია მოტო-სამანევრო ჯგუფიც, რომლის ძირითადი დანიშნულებაა აღკვეთოს შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოლახვის მცდელობა და საჭიროების შემთხვევაში, ასევე, მეზობელ სახელმწიფოებში სიტუაციის გართულებისთანავე გააძლიეროს სახელმწიფო საზღვრის დაცვა.

მოტო-სამანევრო ჯგუფი ცალკეულ ქვედანაყოფად 1994 წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდა.

ჯგუფი დაკომპლექტებულია როგორც ოფიცრების, ასევე ზემოსამსახურებისა და ჯარისკაცებისგან, რომლებსაც ხელმძღვანელობს ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის კავალერი, ვიცე-პოლკოვნიკი ტარიელ დანელია.

მოტო-სამანევრო ჯგუფის ოფიცრების მომზადება, ხორციელდება ამერიკელი და თურქი სპეციალისტების მიერ.

ბაზირებისა და მშენებლობის სამმართველო

მიუხედავად იმისა, რომ ქართული სასაზღვრო ძალები დაარსებიდან სულ რაღაც 11 წელს ითვლის, სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრზე მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოებია ჩატარებული, რომელსაც დეპარტამენტში 1997 წელს ჩამოყალიბებული ბაზირებისა და მშენებლობის სამმართველო ახორციელებს.

რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო დაჯგუფება „გრუზიასგან" დეპარტამენტს შენობა-ნაგებობები ამორტიზებულ მდგომარეობაში გადმოეცა. ამ სამმართველომ მოიჯარადე ორგანიზაციების დახმარებით სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაატარა ავჭალის, მოტო-სამანევრო ჯგუფის, ლილოსა და ოქროყანის სასწავლო ცენტრებში, დეპარტამენტის ადმინისტრაციული კორპუსის კლუბში, სპორტდარბაზსა და ცენტრალურ ჰოსპიტალში.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გამო, კაპიტალურ მშენებლობაზე გამოყოფილი თანხები 1998 წლიდან საგრძნობლად შემცირდა, ხოლო 2001 წელს ბიუჯეტში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული, მაინც მოხერხდა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება. მოეწყო კომენდატურა „მესტიის" საგუშაგოები: „ტვებერი", „ნაკრა", „გუმაჩი". აღდგა ხის ხიდები, კაპიტალური ხიდი აშენდა მდინარე აცგარაზე, მიმდინარეობს საგუშაგო „ტერღას" მშენებლობა.

ამერიკის დახმარებით 2002 წელს დაიწყო და 2003 წლის 21 მარტს დასრულდა და საზეიმოდ გაიხსნა „წითელი ხიდის" საგუშაგო. 2003 წელს დასრულდა, ასევე, ფოთის საზღვაო დივიზიონის შტაბის შენობა. სამუშაოებს ასრულებდა თურქული ფირმა „ბაფერი".

კომენდატურა „ბოლნისში" დამონტაჟდა 50 კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური.

აშშ დახმარებით, მიმდინარე წელს იწყება ავიარაზმის ტერიტორიაზე საფრენი საშუალებების სადგომი და ასაფრენი ზოლის მშენებლობა, ასევე ლილოში საკომუნიკაციო ცენტრის მშენებლობა.

მიმდინარე წელს აშშ დახმარების პროგრამით დაიწყო მშენებლობა ავიარაზმის კაზარმისა და სასადილოს მშენებლობა, ასევე ოქტომბერში იგეგმება „წითელი ხიდის" სასაზღვრო გამტარი პუნქტის მშენებლობა.

მიმდინარე წელს, დაფინანსების შემთხვევაში, დასრულდება ომალო-გირევისა და ომალო-შენაქო-დიკლოს საავტომობილო გზების გაფართოება; შატილი-მუცოს საავტომობილო გზის აღდგენა, გასადებია ხიდი მდ. მუცოს წყალზე; ტერღა-ამღა-ახიელის გზის და ხიდების აღდგენა მდ. ასსაზე; სოფ. ომალოში ამბულატორიის კაპიტალური რემონტი; შოვი-მამისონის საავტომობილო გზის აღდგენა; მესტია-გუმაჩი-ჯანტუგნის და ბეჩო-შიხრა ქვიშის გზების აღდგენა; მესტიის აეროდრომის აღდგენა; ნაკრა-დონღუზ ორუნის და ჭუბერ-დალარის ჩიპერაზაუს გზების აღდგენა. ხიდის აღდგენა მდ. ნენსკრაზე; პტიში-მარუხის გზის მონაკვეთის აღდგენა; ომარიშარა-ქლუხორისა და საკენი-დალარის გზების აღდგენა. მდ. საკენზე ხიდის აღდგენა; ლილო, მოტომანის, დეპარტამენტის, ცენტრალური მომარაგების ბაზის გაზიფიკაცია.

სასაზღვრო მართვა, კონტროლი და თვალთვალი

1997 წელს სასაზღვრო ძალების ხელმძღვანელობის უშუალო ინიციატივით, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე, „იორის" სახით მომზადდა 3 ძირითადი ქვესისტემისაგან შემდგარი პროექტი (...)

ყოველდღიური წვრთნა —სხეულის გაკაჟება.

დაღესტნის მონაკვეთზე ერთ წელზე მეტია ფუნქციონირებს სპეციალური სენსორები, რისი საშუალებითაც შესაძლებელია საზღვრის დამრღვევების აღმოჩენა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სისტემა „იორი" თავის სამოქმედო ტექნიკური თვისებებით უნიკალურია, რომელიც, თავის მხრივ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის კონტროლის სფეროში ქართველ მონაპირეებს უდიდეს დახმარებას უწევს. გარდა ამ ერთ-ერთი ძირითადი თეორიულ-პრაქტიკული მიმართულებებისა, სასაზღვრო უწყების საავიაციო და სასაზღვრო ძალები წარმოადგენენ.

სხვათა შორის, რაც სასაზღვრო ძალებისათვის გაწეულ დახმარებებს შეეხება, ლომის წილი ამ საქმეში საქართველოს მეგობარ სახელმწიფოებს მიუძღვით. კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებს, თურქეთის რესპუბლიკას, უკრაინას, ინგლისსა და გერმანიას, სულ უფრო მზარდი ხდება შვეიცარიისა და ჩინეთის მხრიდან გაწეული დახმარებები.

მეგობარი სახელმწიფოების კონკრეტული წვლილი

1998 წლის 26 იანვარს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და აშშს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა შეთანხმება „საქართველოსათვის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილებისათვის ექსპორტის კონტროლის სისტემის შექმნაში დახმარების გაწევის შესახებ".

1998 წელს გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძის აშშ-ში ვიზიტის დროს დაისვა საკითხი საქართ-

ნატოს ეგიდით

საქართველოს სასაზღვრო ძალების განვითარებაში ერთ-ერთი უდიდესი როლი ნატო-ს წევრ სახელმწიფოებს და მათ შორის თურქეთის რესპუბლიკასაც უკავია.

1999 წლის 23 ივნისს, თურქეთის შეიარაღებულ ძალებსა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის ხელშეკრულების „საქართველოს სასაზღვრო ძალების სამსახურის ორგანიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვისა და სწავლებების შესახებ" გაფორმების შემდეგ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ბინა დაიდო თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საქართველოს სასაზღვრო ძალების სტრუქტურისა და სასწავლო ჯგუფის ხელმძღვანელობამ, რომლის ძირითადი ფუნქციებია:



მესაზღვრე მეკლდეურიც უნდა იყოს.

— საქართველოს სასაზღვრო ძალების სტრუქტურის, ტექ. აღჭურვილობისა და სასწავლო საკითხებთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებისა და ოქმის ფარგლებში მრჩევლის მოვალეობის შესრულება;

— ინფრასტრუქტურის შესაბამისი საჭიროებების დადგენა, მათი დახმარების პირობების შესახებ კოორდინირების დამყარება სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო საბჭოს სამმართველოსთან;

— ლილოს სასწავლო ცენტრში სასაზღვრო ძალების მოწინავე პერსონალისთვის, კურსისა და სასწავლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების კონტროლი.

ქართველ მესაზღვრეთა, ოფიცერთა მოსამზადებელი კურსები „ლილოში" ამ დროისათვის უკვე 341-მა მესაზღვრემ და ზემსახურმა გაიარა. მიმდინარე წლის 22 თებერვალს კი სასწავლო ცენტრში საგუშაგოს უფროსების 22-კაციანი გამოშვება შედგა. უნდა აღინიშნოს, რომ თურქული ენის

* * *

ალბათ ამ ჩამონათვალითაც ჩანს, რომ საქართველოს სასაზღვრო ძალებისადმი დამოკიდებულება განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს, რასაც მისი პირადი შემადგენლობა დედა ეკლესიის მხრიდანაც აქტიურად გრძნობს. დეპარტამენტსა და საპატრიარქოს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სასაზღვრო უწყების ცენტრალურ აპარატსა და რეგიონებს მიეწოდებათ მართლმადიდებლური ლიტერატურა. ასევე, სასაზღვრო დეპარტამენტში ყოველ ორშაბათს სვეტიცხოვლის წინამძღვარი მამა მიქაელი (მაჭარაძე) ატარებს წირვა-ლოცვას...

შალვა ლონდარიძე,
სპარტაკ ძოზულია.



საზეიმო აღლუმი ფოთში

საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალების 11 წლის იუბილესთან და ეროვნული სამხედრო აკადემიის საზღვაო ფაკულტეტის მეხუთე გამოშვებასთან დაკავშირებით, გუშინ ფოთის საზღვაო ნავსადგურში საზეიმო აღლუმი და მიტინგი გაიმართა.

კურსდამთავრებულებს მიესალმნენ თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, თავდაცვის საზღვაო ძალების სარდალი, გენერალი ზურაბ ირემაძე, ქალაქ ფოთის მერი დავით ქანთარია. თავდაცვის საზღვაო ძალების სარდლის მოადგილემ, მეორე რანგის კაპიტანმა ზაზა ერქვანიამ საზღვაო ძალების 11-წლიანი მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა.

გუშინვე ეროვნული აკადემიის საზღვაო ფაკულტეტის 83 კურსდამთავრებულს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ დიპლომები.

11 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საზღვაო ქვეით ძალებს რამდენიმე ერთეული ახალი ტექნიკა გადასცა.

თაღლითი ლაშა ჯავახაძე საპყრობილეში მიაბრუნეს

თბილისის მე-5 საპყრობილედან გაქცეული კიდევ ერთი პატიმარი, 27 წლის ლაშა ალექსანდრეს ძე ჯავახაძე სამართალდამცველებმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დააკავეს. როგორც „ინტერ-პრესს" სასჯელაღსრულების დეპარტამენტში განუცხადეს, ჯავახაძე ამავე დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს და ახალციხის შს განყოფილების საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეს.

პატიმარს პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია და აყვანის ოპერაცია ყოველგვარი ინციდენტის გარეშე დასრულდა.

ჯავახაძისგან ამოიღეს უნომრო გადაჭრილი თოფი და 60 გრ ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა".

ლაშა ალექსანდრეს ძე ჯავახაძე 31 მაისს თბილისის მე-5 საპყრობილედან სხვა 15 განსაკუთრებით საშიშ დამნაშავესთან ერთად გაიქცა. პატიმრებმა ციხის ეზოს გალავანი გაანგრიეს და საპყრობილეს ტერიტორია ამგვარად დატოვეს. ჯავახაძე თაღლითობისთვის იყო ბრალდებული.

მკვლელობა ქუთაისში

გუშინ დილით, 8 საათზე ქუთაისში მკვლელობა მოხდა. ოთხი შეიარაღებული ბოროტმოქმედი ქუთაისის ე. წ. „კეჩის" ბაზრობაზე მდებარე ვალუტის გადამცვლელ პუნქტს დაესხა თავს.

თავდასხმის დროს პუნქტში იმყოფებოდა ქუთაისში მცხოვრები გენადი იობიძე, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია ბოროტმოქმედებს. ერთ-ერთმა მათგანმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა, რის შედეგადაც ადგილზევე გარდაიცვალა გენადი იობიძე. ამის შემდეგ ბოროტმოქმედები გაიქცნენ. მათ ფულის გატაცება ვერ მოასწრეს.

სისხლის სამართლის საქმეს ქუთაისის საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს.

დათვის ბელი ცოფით გარდაიცვალა

მცხეთაში მდებარე რესტორან „არაგვის" კუთვნილი დათვის ბელის გამო, რომელიც ცოფით მოკვდა, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში 88 ადამიანს, მათ შორის ბავშვებს ცოფის საწინააღმდეგო აცრები უტარდება.

როგორც „ინტერ-პრესს" დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ განუცხადა, ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც დათვის ბელთან რაიმე შეხება ჰქონდათ. დღეს გამოკვლევაზე იმყოფებიან როგორც რესტორნის თანამშრომლები, ასევე რესტორნის ხშირი სტუმრები.

ჯერჯერობით დაუდგენელია, კონკრეტულად რა შეხება ჰქონდათ ამ ადამიანებს დათვთან, თუმცა ერთ-ერთმა მოზარდმა უკვე განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ, მან დათვის ბელს პირში ჩაუყო ხელი.

დათვის ბელის სიკვდილის შემდეგ, ლაბორატორიულმა შემოწმებამ დაადასტურა, რომ ბელი ცოფით იყო დაავადებული.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

ურჩეში დიდ კორუფციაში

ენერგეტიკული წყვდიადის წახნაგები

(პირველი გვერდიდან)

„იმერეთის ენერგოკომპანია" ქუთაისის საქალაქო სასამართლომ რეგისტრაციაში 2000 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით გაატარა. მის გენერალურ დირექტორად 2001 წლის 1 ოქტომბრამდე ომარ ზივზივაძე იყო დანიშნული, ხოლო 2001 წლის 1 ოქტომბრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე საზოგადოების გენერალური დირექტორის მოვალეობას ზურაბ ნიქაბაძე ასრულებდა. შესამოწმებელ პერიოდში კი „იმერეთის ენერგოკომპანიის" ბუღალტერი ანდრო არველაძე იყო.

აღსანიშნავია, რომ შემოწმების შედეგად, რომელმაც 2001 წლის 1 მარტიდან 2002 წლის 1 იანვრამდე პერიოდი მოიცვა, „იმერეთის ენერგოკომპანიას" სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაეკისრა 82972 ლარის გადახდა, მათ შორის, ძირითადი თანხაა 31022 ლარი, ხოლო დანარჩენი — ჯარიმა და საურავი. ამავე დროს, დარიცხული თანხიდან დამატებული ღირებულების გადასახადია 66354 ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობის გადასახადი 16618 ლარი.

2001 წლის 1 მარტიდან 2001 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში, ანუ მაშინ, როცა სს „იმერეთის ენერგოკომპანიის" გენერალურ დირექტორად ომარ ზივზივაძე მუშაობდა, საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის დამატებით დაერიცხა 8008 ლარი, ხოლო 2001 წლის 1 ოქტომბრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე, ანუ მაშინ, როცა საზოგადოების გენერალური დირექტორის მოვალეობას ზურაბ ნიქაბაძე ასრულებდა, „იმერეთის ენერგოკომპანიას" დღგ-ს სახით დამატებით 23014 ლარის გადახდა დაეკისრა.

2002 წლის 31 ივლისს განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდების ფაქტთან დაკავშირებით საგანგებო ლეგიონში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დასამტკიცებლად იმერეთის საოლქო პროკურატურას გადაეგზავნა.

დაახლოებით ერთ კვირაში ანუ 2002 წლის 5 აგვისტოს, იმერეთის საოლქო პროკურატურამ გააუქმა დადგენილება სისხლის სამართლის აღძვრის შესახებ და მასალები, თანდართული მითითებების შესასრულებლად და საბოლოო კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად, ისევ საგანგებო ლეგიონის შესაბამის სამმართველოს დაუბრუნა.

პროკურატურის მითითების შესაბამისად, საგანგებო ლეგიონმა დაადგინა, რომ სს „იმერეთის ენერგოკომპანიას" დამატებითი ღირებულების გადასახადის გაანგარიშების კორექტირებული დეკლარაცია საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი არა აქვს.

„ერთი სიტყვით, პროკურატურის მითითების შესაბამისად ჩატარებული მოკვლევით დადასტურდა სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები",— აღნიშნულია საგანგებო ლეგიონის მასალებში.

სისხლის სამართლის საქმე სწორედ ამ კვალიფიკაციითაა აღძრული.

კოტე კანდელაკი,
საქინფორმის კორ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 28 ივნისი-4 ივლისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა: 27 897.8 ათასი ლარი

1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები – 3 372.1 ათასი ლარი:

– დისკონტი – 250.2 ათასი ლარი;

– ეროვნული ბანკის პროცენტი – 3 079.1 ათასი ლარი;

– სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები – 42.8 ათასი ლარი;

2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები – 24 384.3 ათასი ლარი;

საგარეო ვალდებულებები (თურქმენეთის ვალის სანაცვლოდ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება – სს „თბილავიამშენი“) – 3 000.0 ათასი ლარი, თანახმად საქართველოს პრეზიდენტის 27 ივნისის № 798 განკარგულებისა;

საგარეო ვალდებულებების მომსახურება – 9 269.0 ათასი ლარი;

საბიუჯეტო ორგანიზაციების მაისის თვის შრომის ანაზღაურება – 4 723.0 ათასი ლარი:

– შინაგან საქმეთა სამინისტრო – 2 884.0 ათასი ლარი;

– თავდაცვის სამინისტრო – 1 839.0 ათასი ლარი;

უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრი (ივნისის თვის შრომის ანაზღაურება) – 85.0 ათასი ლარი;

თავდაცვის სამინისტრო (ივნისის თვის შრომის ანაზღაურება – წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა) – 1 758.3 ათასი ლარი;

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 3 606.8 ათასი ლარი:

– ლტოლვილთა ივნისის თვის შემწეობა – 3 173.0 ათასი ლარი;

– ლტოლვილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება – 433.8 ათასი ლარი;

ტრანსფერი სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს – 1 400.0 ათასი ლარი;

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება – 512.2 ათასი ლარი;

სახელმწიფო სარეზერვო ფონდი – 30.0 ათასი ლარი:

– კულტურის სამინისტროს პროგრამული ხარჯი – ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალის „ხელოვნების ზეიმის“ მოსაწყობად – 30.0 ათასი ლარი;

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები – 141.4 ათასი ლარი;

სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით – 41.2 ათასი ლარი:

– სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური (ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ვიზიტის ხარჯები) – 30.0 ათასი ლარი;

– კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია (ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ვიზიტის ხარჯები) – 11. 2 ათასი ლარი;

საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო ხარჯები – 100.2 ათასი ლარი:

– საქართველოს პარლამენტი – 49.7 ათასი ლარი;

– კონტროლის პალატა – 35.0 ათასი ლარი;

– უშიშროების საბჭო – 7.8 ათასი ლარი;

– საქართველოს პროკურატურა – 1.2 ათასი ლარი;

– სახელმწიფო კანცელარია (მივლინება) – 6.5 ათასი ლარი;

სულ ხარჯი 27 897.8 ათასი ლარი

1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები – 3 372.1 ათასი ლარი:

– დისკონტი – 250.2 ათასი ლარი;

– ეროვნული ბანკის პროცენტი – 3 079.1 ათასი ლარი.

– სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები – 42.8 ათასი ლარი;

2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები – 24 384.3 ათასი ლარი;

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები – 141.4 ათასი ლარი:

– სხვა საქონელი და მომსახურება – 41.2 ათასი ლარი;

– მივლინება – 100.2 ათასი ლარი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური.

მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტთან არსებული მრავალდარგოვანი კოლეჯი „იმედი“ აცხადებს მიღებას

2003/2004 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. უცხო ენები დაწყებით კლასებში;
2. სოციალური უზრუნველყოფის სამართალი და ორგანიზაცია;
3. რეჟისორის ასისტენტი;
4. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (ქსოვა, ფარდაგი, გობელენი, ჯეჯიმი, პაჭიჭი, თექა, მოთელვა, ბატიკა, ხის მხატვრული დამუშავება, ჭედური და საოქრომჭედლო ხელოვნება, ოქრომკედით ქარგვა, დიზაინი, მოდელიორი);
5. ბეჭდვითი წარმოება;
6. ოფისის რეფერენტი;
7. საგადასახადო საქმე;
8. საბანკო საქმე;
9. საბუღალტრო აღრიცხვა.

კოლეჯში მიიღებიან 9 კლასდამთავრებულები. სწავლის ხანგრძლივობაა 2 წელი და 9 თვე. დამთავრებისას გაიცემა საშუალო სკოლის ატესტატი და კოლეჯის დიპლომი. კოლეჯის სასწავლო პროგრამები აგებულია **ინტეგრირებული** სწავლების მეთოდებზე.

ლიტერატურისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტების მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლების წყალობით სტუდენტები მიიღებენ საფუძვლიან პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ საქართველოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტში შესაბამისი სპეციალობის II კურსზე.

კოლეჯში სწავლის ღირებულებაა 200 $ ეკვივალენტი ლარებში.

განცხადებები მიიღება **15 ივნისიდან 28 აგვისტომდე მისამართზე: მ. კოსტავას ქ. 14, IV სართული, ოთახი 19, ტელ: 93-35-99; 93-26-99; 22-37-36.**

სფკუსჩმფ ქწჩვუიფ ჰფთფგიკუიშთ ოფმაგჭმუდჭუ შტვშმშვგფდგკფვყ ოფმდფ ვფშტცნუიფ 1 თუღეუქიუკთ ქშთფქფკმჭუშაფდშფშმშდშთ დყ № 87ყ

საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე 7 ივლისი, 2003 წელი

სახაზინო ვალდებულებები 5,500,000 (ხუთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2003 წლის 19 ნოემბერს, გამოტანილ იქნება №27 აუქციონზე, რომელიც შედგება 2003 წლის 9 ივლისს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2003 წლის 9 ივლისს 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ“ დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

აუქციონის კომიტეტი:
ნ. მერაბიშვილი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა ატარებს ღია ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ მწვავე ავარიული საცხოვრებელი სახლებისა და საკედლე პანელების აღდგენა-გამაგრებითი და პარაპეტების აღდგენა-შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვა ხორციელდება წინასწარ პირობითად დაყოფილი პოზიციების მიხედვით:

I. მწვავე ავარიული საცხოვრებელი სახლების (ც. დადიანის ქუჩა 148, ც. დადიანის ქუჩა 142, გუდამაყრის ქუჩა №7 ბ, ჩარგლის ქუჩა №26 და ჩარგლის ქუჩა №50) აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები;

II. საკედლე პანელების (თემქის დასახლება III მ/რ, V კვ.-ის კორპუსები №5 ა და №14, ც. დადიანის ქუჩა №150) აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები;

III. პარაპეტების (გლდანის I მ/რ კორპ. №2, VI სადარბაზო, თემქის დასახლება XI მ/რ, II კვ, კორპ. №28-28 ა და 30) აღდგენა-შეკეთებითი სამუშაოები.

2. მიწოდების სასურველი ვადაა I პოზიციის სამუშაოებისათვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წელი, ხოლო II და III პოზიციებისათვის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2003 წლის 1 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2003 წლის 24 ივლისის 12 საათიდან 25 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზიას სამშენებლო საქმიანობის განხორციელების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2003 წლის 28 ივლისის 12 საათიდან 29 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს განაცხადი შეუძლიათ წარმოადგინონ, როგორც ცალკეული პოზიციების, ასევე ცალკეული ობიექტების მიხედვით.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლენილი იქნეს რამდენიმე გამარჯვებული, რომელთაც მიენიჭებათ როგორც ცალკეული პოზიციების, ასევე ცალკეული ობიექტების მიხედვით სამუშაოების განხორციელების უფლება.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიორგი ბოლქვაძე – საქალაქო მეურნეობის სამსახურის უფროსის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 62-26-70 და ნანა ლომჯარია – სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 62-96-73, მისამართზე, ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №1, გლდანი-ნაძალადევის რაიონული გამგეობა.

სატენდერო კომისია.

კომერციული კონკურსი

მარნეულის რაიონული გამგეობა აცხადებს კომერციულ კონკურსს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე:

1. სოფ. ჯანდარასთან მარნეულის შემოსასვლელში გზის მარჯვენა მხარეს – 1000 კვ. მ. საკუთრებაში და 20 000 კვ. მ. იჯარით. 2. სოფ. სადახლო – 80 კვ. მ. სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის. 3. სოფ. შულავერში/შულავერი-შაუმიანის გზაჯვარედინთან) – 50 კვ. მ. ავტოსამრეცხაოს მშენებლობისათვის. 4. მარნეული-შულავერის ავტოგზის მარჯვენა მხარეს სოფ. ბაილარის გადასახვევთან – 60 კვ. მ. ავტოსახელოსნოს მშენებლობისთვის.

1 კვ. მეტრის ფასი ზონების მიხედვით განისაზღვრება სახელმწიფო პრეისკურანტის შესაბამისად.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სახ. საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიაში და მიწის მართვის სამმართველოში. მისამართზე: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 73, № 71. ტელ: 2-26-26. 2-10-46.

კონკურსი ჩატარდება 2003 წლის 6 აგვისტოს 11 საათზე.

მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 73. სხდომათა დარბაზში (გამგეობის შენობა).

● ვანდალიზმის ფაქტები ბაღდადში
● ერაყელებმა ცეცხლი დაუშინეს ამერიკელთა სამხედრო პატრულს
● დაზავებას საფრთხე შეექმნა

მთელი ავეჯი დალეწილია, კედლებზე უხამსი წარწერებია

ზოგჯერ ხდება ხოლმე, მაგრამ იბადება კითხვა: შეეძლებდით კი ჩვენ თავიდან აგვეცილებინა მსგავსი ვითარება? ვფიქრობ, რომ ჩვენი მოქმედებით საკუთარ თავსვე მივაყენეთ ზიანი“, – თქვა უელშმა.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ჯარები, რომლებმაც დაიკავეს აეროპორტი, ორი კვირის

მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის აპრილში ამერიკის შეერთებული შტატების მესამე ქვეითი დივიზიის ჯარებმა აიღეს ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტი, იქ ამერიკელთა ჯარისკაცების მხრიდან ძარცვისა და ვანდალიზმის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა. ეს ორშაბათს ჟურნალ „ტაიმსს“ განუცხადა აეროპორტის ერთ-ერთმა მუშაკმა, ამ პირმა დაიმოწმა აეროპორტში ამჟამად მომუშავე ერაყელებისა და ბაღდადის საჰაერო კარიბჭის მოქმედებისათვის პასუხისმგებელი ამერიკელი სპეციალისტების გამონათქვამი.

აეროპორტის შენობაში მთელი ავეჯი დალეწილია, კედლებზე კი შეხვდებით უხამსი შინაარსის წარწერებს. ამ უცენზურო წარწერების გვერდით გამოკრულია განცხადებები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ყველა სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც ძარცვასა და ვანდალიზმს ეწევა, ელის ტრიბუნალი.

თავისი შთაბეჭდილებები „ტაიმის“ ჟურნალისტებს გაუზიარა ამერიკელმა ლეიტენანტმა ჯონ უელშმა, რომელიც პასუხს აგებს ბაღდადის აეროპორტის აღდგენისათვის. იგი გაოცებული და შოკირებულია მომხდარი ამბის გამო. ჯონ უელში რეზერვისტია და მშვიდობიან დროს მუშაობს „ბოინგის“ პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის ოფიცრად „Pratt & Whitney“ საავიაციო კორპორაციაში.

„გასაგებია, რომ ასეთი რამ

განმავლობაში ძარცვავდნენ ყველაფერს, რისი გაძარცვაც კი შეიძლებოდა. მაღაზიებიდან გაჰქონდათ ალკოჰოლიანი სასმელები, სიგარეტი, კოსმეტიკა, ძვირადღირებული საათები. სროლის სამიზნედ ირჩევდნენ ტერმინალის ფანჯრებსა და კარებს და თვითმფრინავებსაც კი. მაგალითად, ძლიერ დაზიანებულია „ბოინგ-727“, „ბოინგ-737“ და „ბოინგ-747“ ტიპის ხუთი თვითმფრინავი. „ეს თვითმფრინავები, ალბათ, საფრენად აღარ გამოდგება“, – აღნიშნა უელშმა.

ვანდალიზმის აქტები მას შემდეგაც დაფიქსირდა, რაც ამერიკელებმა დაიწყეს აეროპორტის აღდგენა.

„ეს ერაყელებს არ გაუკეთებიათ. აეროპორტს ჩვენ ვაკონტროლებდით, როცა ყოველივე ეს მოხდა“, – განაცხადა ჟურნალ „ტაიმისათვის“ მიცემულ ინტერვიუში პენტაგონის წარმომადგენელმა. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამი

ნისტროში ამჟამად ცდილობენ შეაფასონ ჯარისკაცების მოქმედების შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობა. სავარაუდოდ, ეს თანხა 100 მილიონი დოლარს უნდა შეადგენდეს.

თავდასხმის შედეგად დაიღუპა ორი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე

ბაღდადში შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაიღუპა ორი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. როგორც ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა განაცხადა, ორშაბათს, გამთენიისას, ორმა დაუდგენელმა პირმა ცეცხლი გაუხსნა ამერიკელთა სამხედრო პატრულს, რის შედეგადაც ერთი ჯარისკაცი დაიღუპა. ამერიკელებმა გახსნეს საპასუხო ცეცხლი, ერთი თავდამსხმელი მოკლეს, მეორე კი – დაჭრეს.

ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მეორე სამხედრო მოსამსახურე ნაღმზე აფეთქდა.

კვირას, გვიან ღამით, ბაღდადიდან დასავლეთით მდებარე ქალაქ რამადიში, დაუდგენელმა პირებმა ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს ამერიკელთა ჯარების პოზიციებს. კატარის „ალ-ჯაზირას“ ტელეარხი იუწყებოდა, რომ მოხდა ოთხი მძლავრი აფეთქება. ბაღდადში ამერიკელ სამხედროთა წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ ამ ინციდენტის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ოთხი ჯარისკაცი დაიჭრა.

თვითმხილველთა განცხადებით, ცეცხლი მოედო ამერიკელთა სამხედრო მანქანას. ამერიკელთა ჯარებმა გახსნეს საპასუხო ცეცხლი, გაჩხრიკეს ადგილმდებარეობა, ჰაერში აიჭრნენ ვერტმფრენები. კატარის „ალ-ჯაზირას“ ტელეკომპანია გადმოსცემდა ღამის ბრძოლის ამსახველ კადრებს. ტელეარხის კომენდატურები აცხადებდნენ,

რომ ამერიკელების პოზიციას დაუშინეს ცეცხლი ქალაქ რამადის გარეუბანში. გარდა ამისა, კიდევ დაფიქსირდა სულ ცოტა 4 აფეთქება.

ამერიკელმა სამხედროებმა დაადასტურეს, რომ რამადიში მართლაც მოხდა „ინციდენტები“, თუმცა რაიმე კონკრეტულ დეტალებზე არაფერი უთქვამთ.

კოლუმბიაში სახეიმო ცერემონიის დროს მომხდარი აფეთქების შედეგად დაახლოებით 20 კაცი დაიჭრა

დაახლოებით 20 კაცი დაიჭრა აფეთქების შედეგად, რომელიც კვირას მოხდა კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტიდან 600 კილომეტრზე მდებარე ქალაქ ელ-პასუხილში ზეიმის დროს.

როგორც ადგილობრივი სამხედრო წყაროები იტყობინებიან, ქალაქის ცენტრალურ პარკში, სადაც მიმდინარეობდა სახალხო ზეიმი, აფეთქდა საშუალო სიმძლავრის ბომბი. დაჭრილთა შორის ერთი ბავშვია.

არმიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ამ ტერორისტული აქტის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ „კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების“ მემარცხენე მოძრაობის ამბოხებულებს, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ ქვეყნის ამ რაიონში.

„ჰამასი“ და „ისლამის ჯიჰადი“ დაარღვევს შეთანხმებას დაზავების შესახებ, თუ ისრაელი არ გაათავისუფლებს ყველა დაპატიმრებულ პალესტინელს

პალესტინის ექსტრემისტულმა ორგანიზაციებმა „ჰამასმა“ და „ისლამის ჯიჰადმა“ ორშაბათს გამოაცხადეს, რომ უარს იტყვიან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაზე, თუ ისრაელის ხელმძღვანელობა საპყრობილეებიდან არ გაათავისუფლებს ყველა პალესტინელ პატიმარს.

ამავე დროს, პალესტინის ეროვნულმა ადმინისტრაციამ დაგმო ისრაელის გადაწყვეტილება სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც განიხილავს პალესტინელების გათავისუფლებასთან დაკავშირებულ ყველა საქმეს და გამოიტანს პერსონალურ გადაწყვეტილებას თითოეული პატიმრის შესახებ. პალესტინის ავტონომიის უშიშროების მინისტრმა მოჰამედ დაჰლანმა სთხოვა ისრაელის თავდაცვის მინისტრს შაულ მოფაზს, რომ ნება დართოს მას გააცნოს პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობის პოზიცია ისრაელის მინისტრებს.

როგორც ცნობილია, ისრაელისა და პალესტინელთა პრემიერ-მინისტრების არიელ შარონისა და მაჰმუდ აბასის (იგი აბუ მაზენის სახელითაცაა ცნობილი) სამშაბათისათვის დანიშნული შეხვედრის წინ, ისრაელის კაბინეტმა მიიღო დადგენილება 300 პალესტინელი პატიმრის გათავისუფლების შესახებ.

ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა წინათ უკვე დაამტკიცა კრიტერიუმები პალესტინელთა ამნისტიისათვის, რომლებიც შეადგინა საერთო უშიშროების სამსახურმა. დადგენილებას ეტაპობრივი ამნისტიის შესახებ მხარი დაუჭირა კაბინეტის წევრმა 13 მინისტრმა, 8 მინისტრი – წინააღმდეგი იყო. საპყრობილეებიდან გაათავისუფლებენ მხოლოდ იმ „პალესტინელებს, რომლებსაც არ დაუღვრიათ ებრაელთა სისხლი, რომლებიც არ არიან ტერორისტული დაჯგუფების წევრები და, რომლებიც... არ უქმნიან საფრთხეს ისრაელის უშიშროებას“.

ამასთან მინისტრებმა დათქვეს, რომ მთავრობა შექმნის კომისიას, რომელიც განიხილავს პალესტინელების გათავისუფლებასთან დაკავშირებულ ყველა საქმეს და ცალ-ცალკე გამოიტანს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ პატიმრის ბედის შესახებ.

ამჟამად ისრაელის საპყრობილეებში სასჯელს იხდის 6 ათასზე მეტი პალესტინელი, რომელთა მესამედი ებრაელების მკვლელობებში მონაწილეობდა. დაპატიმრებულთაგან 720 კაცი არის „ჰამასის“ აქტივისტი, 344 კი „ისლამის ჯიჰადს“ წევრია.

ღაზას სექტორში დააკავეს 18 წლის ქალიშვილი, რომელიც ტერორისტული აქტის განხორციელებას აპირებდა

პალესტინის ხელისუფლებამ ღაზას სექტორში დააკავა ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც ისრაელის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტის განხორციელებას გეგმავდა.

როგორც ღაზას სექტორში პალესტინელთა ქვედანაყოფების მეთაურის გენერალ აბდელ რაზექ ალ-მაჯაიდის წარმომადგენლებმა განაცხადეს, თვრამეტი წლის ქალიშვილი დააკავეს ისრაელის საზღვრის მახლობლად. საზღვრის მონაკვეთს, რომელზეც გოგონა დააკავეს, პალესტინელები იყენებენ ისრაელის ტერიტორიაზე უკანონოდ შეღწევისათვის.

იტყობინებიან, რომ ტერორისტი ქალიშვილის დაკავება მოხდა მას შემდეგ, რაც ისრაელმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ „საგზაო რუკის“ სამშვიდობო გეგმის განხორციელების ფარგლებში პალესტინის ტერიტორიებიდან ჯარების შემდგომი გაყვანა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შეძლებს პალესტინის ხელისუფლება აღკვეთოს ისრაელის წინააღმდეგ გამიზნული ახალი ტერორისტული აქტები.

ქალიშვილი დააკავეს მას შემდეგ, რაც პალესტინის ავტონომიის უშიშროების ძალებმა შეიტყვეს, რომ მან დაუტოვა ნათესავებს წერილი, რომელშიც აღნიშნავდა, რომ აპირებდა თავის აფეთქებას ისრაელის ტერიტორიაზე.

რა არ ხდება...

დიდ ბრიტანეთში, უორსტერშირის საგრაფოში, სამგზავრო მატარებლისა და მიკროავტობუსის შეჯახების შედეგად სამი კაცი დაიღუპა და შვიდი – სერიოზულად დაშავდა. კატასტროფა მოხდა არარეგულირებულ სარკინიგზო გადასასვლელზე, ქალაქ ჩარლტონის მახლობლად.

* * *

„პუტინი შეგნებულად აკნინებს მოსკოვში განხორციელებული ტერორისტული აქტების მნიშვნელობას“, – აღნიშნავს დასავლეთის პრესა. კერძოდ, ავსტრიის გაზეთები წერს, რომ დასავლეთი „ბრმად და ყრუდ“ რჩება. ისლამური „საერთაშორისო ტერორიზმის“ საფრთხე, შესაძლოა, გახდეს ახალი არგუმენტი პუტინის მომხრეთა კამპანიაში. მოსკოვში უკვე დაიწყო „კუდიანებზე“ ნადირობა, აღნიშნავენ საფრანგეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

* * *

ახალზელანდიურმა საროსკიპომ „თეთრმა სახლმა“ აღაშფოთა ამერიკის ხელისუფლება, რადგან იგი ძალზე წააგავს ამერიკულს. საროსკიპოს ემბლემაზე გამოსახულია არწივი, თითქმის ისეთივე, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელ-



მწიფო გერბს ამშვენებს. თვით საროსკიპოში კი, გოგონები გამოწყობილი არიან ცისფერ კაბებში, რომლებიც ნებისმიერ ამერიკელს ახსენებს მონიკა ლევინსკისთან დაკავშირებულ ინციდენტს.

* * *

ეგვიპტეში მატარებლისა და სატვირთო ავტომობილის შეჯახების შედეგად 10 კაცი დაიღუპა და რამდენიმეც – დაშავდა. შეჯახების მომენტში სატვირთო ავტომობილი გადადიოდა ლიანდაგზე. ყველა დაღუპული და დაშავებული მანქანის სალონში ან მის ძარაზე იმყოფებოდა.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჟანიძემ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 178. სამშაბათი, 8 ივლისი, 2003 წელი.

სოფლის ინტელიგენტი

არაფერი ისე ცუდად არ ვიცით ქართველებმა, როგორც კანონი

არადა, იგი ყველაზე უკეთ უნდა ვიცოდეთ!



დაუღალავი, მოამაგე. შვილების ბედზე გადაგებული... გარშემომყოფთა თვალში ის ნამდვილი ოთარაანთ ქვრივია — მკაცრი, სამართლიანი, უტეხი...

მთელი ცხოვრების მანძილზე შავი კაბა არ გაუხდია, ან კი რას გაიხდიდა, როცა სრულიად ახალგაზრდას, საყვარელი მეუღლე გარდაეცვალა. მაშინ თამაზი ერთი წლისა ჰყავდა და მეორე შვილზეც სულ ერთი თვის ფეხმძიმე იყო...

— თამრიკო რომ შემეძინა, განვიცდიდი და მეტირებოდა, მამამისი მის დაბადებას ვერ შეესწრო. პალატის ექთანმა მითხრა, ქალო, რა გატირებს, დამმარხავი ხომ გყავდა და ახლა ღმერთმა დამტირებელიც გაჩუქაო, — იხსენებს ხოლმე.

მას მერე საკუთარი თავი ერთხელაც არ შესცოდებია. ორი პაწაწა ბავშვით, პედაგოგის დიპლომით და რწმენით შეუდგა ცხოვრების აღმართს.

მრავალმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ და აი, უკვე ორმოცდამეთერთმეტე წელიწადი შესრულდა, რაც **თინა თხლაშიძე** ქარელის რაიონის ცრონისის საშუალო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის.

— პედაგოგობა ადამიანის შინაგანი მოწოდებაა, — ამბობს იგი. — სულ ვსაყვედურობ მოსწავლეებს, მაგრამ მაინც იციან, რომ უმაგათოდ არ შემიძლია. ძველად ბავშვები უფრო მონდომებით სწავლობდნენ, ახლა თითქოს სწავლისადმი ინტერესი დაკარგეს... დროება შეიცვალა და ყველაფერს ახლებურად შეხედვა უნდა...

სამწუხაროდ, სკოლის მასწავლებლები ხელფასს თავის დროზე ვერ იღებენ. თითქმის უხელფასოდ ვმუშაობთ. სოფლის ინტელიგენტი გათანაბრებულია გლეხთან, მაშინ, როცა ზღვარი აუცილებლად უნდა იყოს. ვისარგებლებ შემთხვევით და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებიდან მივმართავ საქართველოს განათლების სამინისტროს, პარლამენტს, მთელ ხელისუფლებას, რომ დროულად მოაგვარონ პედაგოგთა ხელფასების გაცემის საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ სოფელში პრესა არ მიდის და უშუქობის გამო ხშირად ტელევიზორსაც ვერ უყურებენ, თინა მასწავლებელს ყოველთვის აქვს ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ამას იგი თავის ვაჟს უმადლის, რომელიც თბილისიდან ყოველკვირეულად აწვდის ჟურნალ-გაზეთებს.

— ხალხს ჩვენს სოფელში ეკონომიურად ძალიან უჭირს, მაგრამ ეს თავის სიგლახით როდი არის გამოწვეული. პირიქით, მას მეტი ყურადღება და დახმარება, თავის უფლებებსა და მოვალეობებში გარკვევა სჭირდება... პატარაობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ მოზარდს თავისი კუთხის სიყვარული, უნდა ისწავლოს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდეს თავის ქვეყანასთან, საზოგადოებასთან... იცით, რამხელა მუშაობაა გასაწევი? ამიტომაც უნდა მიაქციოს ხელისუფლებამ უდიდესი ყურადღება მომავალი თაობის აღზრდის საქმეს. ვერანაირი საწყაოთი ვერ აწყავ იმ სიმდიდრეს, რასაც განათლებული, კულტურული, სულით ძლიერი თაობები მოუტანენ ჩვენს ქვეყანას...

პირუთვნელია იგი დღევანდელობის მიმართაც: — სიტყვის თავისუფლება ზოგჯერ ამლაშებს. პოლიტიკოსები ზღვარს გადადიან მოვლენების შეფასებისას. თვალსა და ხელს შუა გვეკარგება უფროს-უმცროსობის დიდი ქართული ტრადიცია. უნდა მიხვიდე და ადამიანს პირში უთხრა სიმართლე, თუკი მისი გულშემატკივარი და კოლეგა ხარ, საქვეყნოდ კი არ უნდა გამოაჭენო! იქ, სადაც ხელმძღვანელის პატივისცემა არ არის, საქმე ვერასოდეს ვერ გაკეთდება. თუკი შენი ხელმძღვანელი არ მოგწონს, მასთან არც უნდა იმუშაო... მით უმეტეს, როგორ შეიძლება დაუპირისპირდე და წინააღმდეგობა გაუწიო შენი ქვეყნის წინამძღოლს, ამის ნაცვლად არა სჯობს, იმაზე იფიქრონ დეპუტატებმაც და პარტიათა ხელმძღვანელებმაც, თუ როგორ გამოიყვანონ ქვეყანა ამ კრიზისიდან?

ჩემი აზრით, პოლიტიკაში დაბნეულობის წყარო ისაა, რომ ძალაუფლების მპყრობელნი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ, მათ ხალხი ნაკლებად ადარდებთ. ქართველებმა არაფერი ვიცით ისე ცუდად, როგორც კანონი. არადა, ყველაზე უკეთ იგი უნდა ვიცოდეთ. უნდა გავიგოთ, რომ მხოლოდ მისი უზენაესობა მიგვიყვანს სიმართლემდე და აგვარიდებს ყოველგვარ უწესრიგობას.

მასწავლებლის აზრით, ქვეყანაში დღეს სულიერების დეფიციტია და ამაზე ისევ და ისევ ინტელიგენციამ უნდა იზრუნოს...

ქალბატონი თინა თხლაშიძე თავისი ხალხის თვალში მუდამ იყო და არის ქართველი ქალის მაღალი ზნეობის, სიმტკიცის, მზრუნველი დედის და სანიმუშო პედაგოგის განსახიერება. მისი შვილებიდან თამაზი — იურისტია, თამარი — ექიმი. ჰყავს შვილებივით საყვარელი რძალ-სიძე და ოთხი შვილიშვილი.

ოთარაანთ ქვრივივით ტკბილსიტყვაობა არ სჩვევია. ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან გადმოსულ ლიტერატურულ გმირს — სპეტაკსა და კეთილშობილ ქართველ ქალს გვაგონებს და წორედ ასეთი სახითვე იმკვიდრებს ადგილს მის მიერ აღზრდილთა გულებშიც.

ხვალ და ზეგ ისევ გაუყვება სკოლისკენ მიმავალ, შეჩვეულ გზას. თავს დაუხრიან და თავაზიანად გაატარებენ მოსწავლეები... თურმე, იოლად უძლებს წლების სიმძიმეს ძლიერი სული.

ლია ჭიღლაძე.

განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად შპს „დუღაბი"-ს მიერ წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობაზე:

ამბროლაურის რაიონში „ასკისწყლის თაბაშირის საბადოს დამუშავების მუშა პროექტი"

საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 21 აგვისტომდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრში, თბილისი, კოსტავას №68 ა, VI სართული და გერმოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში, თბილისი, ფალიაშვილის №87, ტ. 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2003 წლის 21 აგვისტოს 12 საათზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.

სამშაბათი
8 ივლისი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯაშუშები" **10.10** დოკ.სერიალი "ხელოვნების სცენარები" **10.25** მხ. ფილმი **"ზესის დესპანი"** **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** ლერერის შოუ **14.00** ჩოგბურთელ ქალთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი. **16.30** დოკ. სერიალი "ავიაშოუ" **16.45** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **17.00** შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ევროპის ბუნება" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** ჰოლივუდის ვარსკვლავები **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.55** "სათავეებთან" **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.00** "რა ხდება?" **00.00** მხ. ფილმი **"ქვის მფარველები"**.

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** ზღაპარ იყო **19.40** სერიალი **"რვაფეხა"** **20.30** დოკ. ფილმი **21.00** გლობუსი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი **"მე თქვენი აღარ მჯერა"**

07.00 დილა მშვიდობისა **07.30** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **09.40** სერიალი **"ასულ ტაკილა"** **10.20** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი **"ჯაშუში"** **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი **"ასულ ტაკილა"** **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **18.45** დოკ. ფილმი "ბუნება" **19.15** პერეკროსტოკი **19.40** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** სერიალი **"კომისარი მონტალბანო"** **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი **"სექსი დიდ ქალაქში"** **00.40** მხ.ფილმი **"კომპანიონი"**. მთ. რ-ში: ვუპი გოლდბერგი, ტიმ დალი.

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35** ბურთი და მოედანი **10.50** მხ. ფილმი **"საზღვარი"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **14.50, 17.20, 19.30, 21.45, 00.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **"თამაში წესების გარეშე"** **17.30** მულტფილმი **20.00** მხ.ფ. **"როცა კვლავ შევხვდებით"** **1**-ლი ნ. **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი **"როცა კვლავ შევხვდებით"** მე-**2** ნ. **01.10** ღამის ფილმი

არხის პროფილაქტიკა **16.45**-მდე **16.45, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" მე-**20** ს. **17.55, 20.55** ქრონიკა **18.05** სერიალი **"იუდას ქალი"** **19.30** სერიალი **"გვირაბი"** **20.30** ლარის მახე **21.05** სერიალი **"მკვლელობის ილუზია"** **23.00** სერიალი **"ეროვნული უშიშროების აგენტი"** **23.55** მძაფრსიუჟეტიანი კინო **"ცეცხლში"** **02.00** ქრონიკა

09.00 "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი **"მარია ემილია"** **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "პრინცესა შეჰერეზადა" **19.00** სერიალი **"მარია ემილია"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი **"საუკეთესო მსროლელი"** **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი **"ვარჯიშის დღე"**

12.00 მხ. ფილმი **"მართალი ტყუილი"** **15.00** მხ. ფილმი **"რომეო და ჯულიეტა"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"ლეონი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"გლადიატორი"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" **12.30** სალონი **14.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **15.00, 21.00** ვესტი **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** "სალონი" **21.30** "სპორტის სამყარო" **22.30** სტუდია "ეკონომისტი" **23.30** მუსიკალური პაუზა **23.45** ტელესერიალი **"ყავახანა"**

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი **"ვერცხლის თავადი"** მე-**2** ნ. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** სველი ხაზი **00.00** "ბრავო" **"მეტროლენდი"** მთ. რ-ში კრისტიან ბეილი. **01.40** "ღამურა" **"პრეფონტეინი"** მთ. რ-ში ჯარედ ლეტო. **03.45** პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "დილა" **10.00** სერიალი **"ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"** **10.25** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **11.00** სერიალი **"ქალი პოლიციელი"** მე-**8** ს. **11.50, 15.15, 17.50, 19.50** მუსიკა **12.15** მხ. ფილმი **"ავი ნაგაზები"** **13.55** დოკ. ფილმი "სალვადორ დალი - თეატრი მუზეუმი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "მსოფლიო რაგბი" **15.30** მხ. სერიალი **"ციებ-ცხელება"** **16.30** დოკ. ფილმი "საიდუმლო ომი" **18.05** სერიალი **"ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"** **18.25** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **19.00** სერიალი **"ქალი პოლიციელი"** **20.00** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" მე-**5** ს. **21.15** სერიალი **"ციებ-ცხელება"** **22.25** "ტელემეტრი" **22.45** მოკლ. მხ. ფ. **"საუკეთესო მეთოდი"**. **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.20** მხ. ფილმი **"მდედრობითი სქესი, მრავლობითი რიცხვი"**.

ოთხშაბათი
9 ივლისი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯაშუშები" **10.10** მხ. ფილმი **"ქვის მფარველები"** **11.45** მოამბე **12.00** რეპორტაჟი გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოდან (შესვენებისას ტელესერიალი **"ეშმაკუნა"**) **15.00, 20.00** მოამბე **15.15** მხ. ფილმი **"ბრიყვების ოჯახი"** **16.45** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **17.00** შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.20** 50-50 **18.00** "ვესტნიკი" **18.20** დოკ. სერიალი "ევროპის ბუნება" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** ჰოლივუდის ვარსკვლავები **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.55** "მათი შვილები" **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.00** "რა ხდება?!" **00.00** მხ. ფილმი **"ვიწრო ზღვარი"**.

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** სერიალი **"რვაფეხა"** **20.30** დიდი დასვენება **21.00** დოკ. ფილმი **21.30** ჩვენი მისამართია **22.10** მოკლ. მხ. ფილმი **"ქართლოსიანთა საკურთხეველი"**, **"ნისლა"**.

07.00 დილა მშვიდობისა **07.30** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **09.40** სერიალი **"ასულ ტაკილა"** **10.20** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი **"კომისარი მონტალბანო"** **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი **"ასულ ტაკილა"** **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **18.50** სერიალი **"მაშველები"** **19.40** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** სერიალი **"კომისარი მონტალბანო"** **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი **"სექსი დიდ ქალაქში"** **00.40** მხ.ფილმი **"ფარული გრძნობა"**. მთ. რ-ში: ლორენცო ლამასი, ბრენდა სტრონგი.

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **"როცა კვლავ შევხვდებით"** **1**-ლი ნ. **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **15.15** მხ. ფილმი **"როცა კვლავ შევხვდებით"** მე-**2** ნ. **17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30** მუსიკა **17.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** მხ.ფ. **"გულები ატლანტიდაში"** **22.00, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი **"ტელეხედვა"** **01.30** ღამის ფილმი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი **"იუდას ქალი"** **10.30** ლარის მახე **11.05** თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი **"გვირაბი"** **13.30** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **14.05** სერიალი **"მკვლელობის ილუზია"** **15.15** მხ. ფილმი **"დათხოვილი ჟანდარმი"** **17.30** "ერთხელ ჰოლივუდში" **18.05** სერიალი **"იუდას ქალი"** **19.30** სერიალი **"გვირაბი"** **20.30** არტ-ბულვარი **21.05** სერიალი **"მკვლელობის ილუზია"** **23.00** სერიალი **"ეროვნული უშიშროების აგენტი"** **23.55** ფანების კინოკლუბი **"როგორ გადავაქციოთ ცოლი ურჩხულად"**.

09.00 "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი **"მარია ემილია"** **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "პრინცესა შეჰერეზადა" **19.00** სერიალი **"მარია ემილია"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი **"ბოროტი მანქანა"** **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი **"მექსიკელი"**

12.00 მხ. ფილმი **"გლადიატორი"** **14.30** მხ. ფილმი **"პატივმოყვარეობის კოცონი"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი **"ბრილიანტის პოლიციელი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"ზვიგენი"** **22.30** მხ. ფილმი **"ნიკი, ეშმაკის შვილი"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** "სალონი" **13.30** ექიმი გვირჩევს **14.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** სცენის ოსტატები **20.30** მულტფილმი **21.30** "სპორტის სამყარო" **22.30** თინეიჯერი **23.30** მუსიკალური პაუზა **23.45** ტელესერიალი **"ყავახანა"**

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი **"ინსპექტორი გაჯეტი"** მთ. რ-ში მეთიუ ბროდერიკი, რუპერტ ევერეტი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** პროფათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** "ბრავო" **"სნაიპერი 2"** მთ.რ-ში ტომ ბერენჯერი. **01.40** "ღამურა" **"დანსერი"** მთ.რ-ში მია ფრეი, გარლანდ ვიტი. **03.45** პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "დილა" **10.00** სერიალი **"ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"** **10.30** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **11.00** სერიალი **"ქალი პოლიციელი"** **12.00** "ცხელი ცხრიანი" **12.30** მხ. ფილმი **"მდედრობითი სქესი, მრავლობითი რიცხვი"** **14.15** "ტელემეტრი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" მე-**5** ს. **15.20, 16.20, 17.55, 18.50, 19.50, 20.20, 22.00** მუსიკა **15.30** სერიალი **"ციებ-ცხელება"** **16.30** დოკ. ფილმი "საიდუმლო ომი" **18.05** სერიალი **"ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"** **18.25** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **19.00** სერიალი **"ქალი პოლიციელი"** **20.00** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **21.15** სერიალი **"ციებ-ცხელება"** **22.25** მხ.ფილმი **"რაშელი და მისი სიყვარული"** **00.20** ბალეტი "ადაჟიტო" **00.35** მხ. ფილმი **"კაფე "დონს პლაზი"**.

ხუთშაბათი
10 ივლისი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯაშუშები" **10.10** დოკ.სერიალი "ხელოვნების სცენარები" **10.25** მხ. ფილმი **"ვიწრო ზღვარი"** **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** დოკ. ფილმი "ლუი მალი" **14.00** ჩოგბურთელ ქალთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი **16.30** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **17.00** შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** თბილისი და თბილისელები **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ევროპის ბუნება" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** ჰოლივუდის ვარსკვლავები **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **22.15** საქართველო არის ესე **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.00** "რა ხდება ?!" **00.00** მხ. ფილმი **"ფრანგული ნამცხვარი"**.

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** სერიალი **"რვაფეხა"** **20.30** ისტორიანი **21.00** შვიდეული **22.10** მხ. ფილმი **"პოლდენის კვალდაკვალ"**

07.00 დილა მშვიდობისა **07.30** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **09.40** სერიალი **"ასულ ტაკილა"** **10.20** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი **"კომისარი მონტალბანო"** **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი **"ასულ ტაკილა"** **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **18.50** სერიალი **"მაშველები"** **19.40** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** სერიალი **"შავი ზეცა"** **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი **"სექსი დიდ ქალაქში"** **00.40** მხ.ფილმი **"რხუბი"**. მთ. რ-ში: ფილიპ ნუარე, იზაბელ იუპერი.

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **"ტანგო"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი "ექსპედიცია" **15.15** მხ.ფ. **"ორნი ქალაქში"** **17.20, 17.50, 21.55, 23.30** მუსიკა **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **20.00** მიუზიკჰოლი **22.00** დიალოგი **00.55** მხ. ფილმი **"ბედის საჩუქარი"** **02.10** ღამის ფილმი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი **"იუდას ქალი"** **10.30** არტ-ბულვარი **11.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი **"გვირაბი"** **13.30** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **14.05** სერიალი **"მკვლელობის ილუზია"** **15.15** მხ. ფილმი **"ამაზონი"** **17.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი **"იუდას ქალი"** **19.30** სერიალი **"ექიმი მარტა და მისი პაციენტები"** **1**-ლი ს. **20.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **21.05** სერიალი **"მკვლელობის ილუზია"** **23.00** სერიალი **"ეროვნული უშიშროების აგენტი"** **23.55** კინოვარსკვლავთა ღამე **"ანა კარენინა"**

09.00 "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი **"მარია ემილია"** **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "პრინცესა შეჰერეზადა" **19.00** სერიალი **"მარია ემილია"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი **"ჩვეულებრივი დამნაშავე"** **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი **"ვერტიკალური ზღვარი"**

12.00 მხ. ფილმი **"ზვიგენი"** **13.30** მხ.ფილმი **"ნიკი, ეშმაკის შვილი"** **15.00** მხ. ფილმი **"მუშკეტერი"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ ფილმი **"კუზიანი ნოტრდამიდან"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"იამაკასები"** **22.30** მხ. ფილმი **"მაწანწალა მორგანი"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00, 21.30** სალონი **13.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **14.30** დოკ. ფილმი საქართველოზე **15.00, 21.00** ვესტი **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** "სპორტის სამყარო" **20.30** მულტფილმი **21.00** "ვესტი" **21.30** საბ. სატ. ფილმი "განძის მაძიებელნი" **23.35** ტელესერიალი **"ყავახანა"**

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი **"ინსპექტორი გაჯეტი 2"** მთ. რ-ში ფრენჩ სტიუარტი, ტონი მარტინი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** "ბრავო" **"საზღვაო თავგადასავალი"** მთ. რ-ში კუბა გუდინგი უმც. **02.00** "ღამურა" **"ფორმულა 51"** მთ. რ-ში სამუელ ელ ჯექსონი. **03.45** პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "დილა" **10.00** სერიალი **"ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"** **10.30** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **11.00** სერიალი **"ქალი პოლიციელი"** **11.50** ბალეტი "ადაჟიტო" **12.10** მხ. ფილმი **"რაშელი და მისი სიყვარული"** **13.40** მულტფილმი "მხიარული მელოდიები" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **15.15, 18.50, 19.50** მუსიკა **15.30** სერიალი **"ციებ-ცხელება"** **16.30** დოკ. სერიალი "წარსული და აწმყო" **1**-ლი ს. **17.50** მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები"-თავისუფლების სურნელი. **18.05** სერიალი **"ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"** **18.25** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **19.00** სერიალი **"პოლიციელი ქალი"** **20.00** "ქართული ფეხბურთი" **21.15** სერიალი **"ციებ-ცხელება"** **22.00** გადაცემა "ყვითელი კვადრატი". **22.25** ტელემეტრი **22.50** მოკლ. მხ. ფილმი **"პური და ძერი"** **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.20** რუს. მხ. ფილმი **"ქალი ფანჯარაში"**.

პარასკევი
11 ივლისი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯაშუშები" **10.15** მხ. ფილმი **"სამანტა"** **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** დოკ. ფილმი "ლეონარდო და ვინჩი" **14.00** ჩოგბურთელ ქალთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი. შესვენებისას "მოამბე" **16.30** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **16.45** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.20** 50-50 **18.00** "ვესტნიკი" **18.20** დოკ. სერიალი "ევროპის ბუნება" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** ჰოლივუდის ვარსკვლავები **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** მაგთიტრონი **21.10** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **22.00** მრავალსახეობა **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.00** "რა ხდება ?!" **00.00** მხ. ფილმი **"ღორები"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი **"რვაფეხა"** **20.30** საქართველო არის ესე **21.00** ენერგია **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** მხ. ფილმი **"მეექვსე ელემენტი"**

07.00 დილა მშვიდობისა **07.30** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი **"ასულ ტაკილა"** **10.20** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი **"შავი ზეცა"** **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი **"ასულ ტაკილა"** **18.00, 21.00, 03.10** კურიერი **18.20** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **18.50** სერიალი **"მაშველები"** **19.40** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** სერიალი **"სოპრანოს კლანი"** **22.50** ღამის კურიერი **00.10** მხ.ფილმი **"ნათლია 3"**. მთ. რ-ში: ალ პაჩინო, ენდი გარსია. **03.30** მხ.ფილმი **"ბიჭები არ ტირიან"**. მთ. რ-ში: ჰილარი სუონკი, კლოდ სევინი.

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **"ტანგო"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი "ექსპედიცია" **15.15** მხ.ფ. **"ორნი ქალაქში"** **17.20, 17.50, 21.55, 23.30** მუსიკა **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **20.00** მიუზიკჰოლი **22.00** დიალოგი **00.55** მხ. ფილმი **"ბედის საჩუქარი"** **02.10** ღამის ფილმი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი **"იუდას ქალი"** **10.30** სპ. პროგრამა "ასი" **11.05** თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი **"ექიმი მარტა და მისი პაციენტები"** **13.30** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **14.05** სერიალი **"მკვლელობის ილუზია"** **15.15** კინონოსტალგია **"დასვენება ესპანეთში"** **17.30** "მულამები" **18.05** სერიალი **"იუდას ქალი"** **19.30** სერიალი **"ექიმი მარტა და მისი პაციენტები"** **20.30** ლარის მახე **21.05** სერიალი **"მკვლელობის ილუზია"** **22.55** თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" **23.55** სერიალი **"ეროვნული უშიშროების აგენტი"** **00.50** არტ-ფილმი **"ვალმონი"**.

09.00 "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი **"მარია ემილია"** **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "პრინცესა შეჰერეზადა" **19.00** სერიალი **"მარია ემილია"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი **"ლარა კროფტი სამარხების მძარცველი"** **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი **"ქეითი და ლეო"**

12.00 მხ. ფილმი **"იამაკასები"** **13.30** მხ.ფილმი **"მაწანწალა მორგანი"** **15.00** მხ.ფილმი **"მიზერი"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"გაქრობა"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"კაზინო"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** სალონი **13.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **14.30** დოკ. ფილმი საქართველოზე **15.00, 21.00** ვესტი **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** "ხვალ" **20.30** "მომავალი" **21.00** "ვესტი" **21.30** კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება **22.30** "გამარჯობა" **23.15** მუსიკალური პაუზა **23.30** ტელესერიალი **"ყავახანა"**

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი **"სიყვარული შეტყობინებებით"** მთ. რ-ში ჰიუ გრანტი, სანდრა ბალოკი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** "ბრავო" **"მზის ცრემლები"** მთ. რ-ში ბრიუს უილისი, მონიკა ბელუჩი. **02.15** "ღამურა" **"ჩიხში"**. მთ. რ-ში ტიმ როთი, ტუპაკ შაკური. **03.45** პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "დილა" **10.00** სერიალი **"ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"** **10.30** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **11.00** მხ. სერიალი **"პოლიციელი ქალი"** **11.55** "ცხელი ცხრიანი" **12.40** რუს. მხ. ფილმი **"ქალი ფანჯარაში"** **14.15** "ტელემეტრი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ქართული ფეხბურთი" **15.20, 16.20, 17.20, 19.50, 22.10** მუსიკა **15.30** სერიალი **"ციებ-ცხელება"** **16.30** დოკ. სერიალი "წარსული და აწმყო" **17.50** "ერთი ნივთის ისტორია" **18.05** სერიალი **"ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"** **18.25** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **19.00** სერიალი **"პოლიციელი ქალი"** **20.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" **21.15** სერიალი **"ციებ-ცხელება"** **22.00** დოკ. ფილმი "მოჩვენებათა თავგადასავალი" **22.25** მხ. ფილმი **"ჩიხი"** მთ. რ. დენის ჰოპერი. **00.20** გადაცემა "პილოტი" **00.40** მხ. ფილმი **"აპოკალიფსის 4 მხედარი"**.

შაბათი
12 ივლისი

08.00, 15.00 მოამბე **08.15** მხ. ფილმი **"ღორები"** **10.00** კვალი **11.30** მეტრო **12.10** ჩოგბურთელ ქალთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი. შესვენებისას **15.00** "მოამბე" **16.30** მულტსერიალი "ჯაშუშები" **17.00** საწინდარი **17.30** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** "ვესტნიკი" **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ენერგია **19.35** ჰოლივუდის ვარსკვლავები **20.00** ცაიტნოტი **21.20** კონცერტი **22.50** პროფათეული **23.20** შორეული ახლობელი **00.00** მოამბე **00.15** მხ. ფილმი **"უცხოელი ქალი"**

19.00 მულტფილმი **19.30** ორატორი **19.40** კარლო ღლონტი **75** წლისაა. დოკ. ფილმი "სინას მთა" **20.40** "ახლო ხედი" **21.10** დოკ. ფილმი **22.00** მხ. ფილმი **"ფრენის სისწრაფე"**

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** ჯადოქარი **10.20** საბ.ფილმი "ნაითმენი" **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** დოკ. სერიალი "ველური სამყაროს ამბები" **17.40** სერიალი **"კოლომბო"** **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი **"კოლომბო"** **19.35** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი **"მეწამული ყვავილი"** **21.00** **კურიერი** P.S. **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** **ფსიქო**. მხ.ფ. **"ორკესტრის დირიჟორი"** რეჟ: ანჯეი ვაიდა. **02.20** მხ.ფილმი **"როკ ვარსკვლავი"**. მთ. რ-ში: მარკ უოლბერგი, ჯენიფერ ენაფტი.

08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **"ბედის საჩუქარი"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10** დოკ. სერიალი "ექსპედიცია" **15.15** მხ. ფილმი **17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **22.40** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი **"კლუბი"** **01.20** ღამის ფილმი

09.00 ქრონიკა **09.05, 13.40, 23.30** იმედის მელოდიები **10.20** ანიმაციური სერიალი "მითიური მეომრები"მე-**9** ს. **10.50** მხ. ფილმი **"უკომპრომისოდ"** **12.30** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.15** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **13.50** თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" **15.10** რეტროსკოპი **"აღსაზრდელი"** **17.15** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** სერიალი **"ყველაფერი იმ ღამის შესახებ"** **1**-ლი ს. **21.05** ქართ. სერიალი **"მგლების ხორუში"** მე-**4** ს. **22.45** "საღამოს ღიმილი" **23.00** "კლიპ-ლოტო" **00.30** მხ. ფილმი **"პარასკევს ღამით"**.

09.00 მულტფილმი "ქალბატონი და მაწანწალა" **10.20** მხ. ფილმი **"ბლეიდი"** **12.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.10** საბავშვო სერიალი **"არაბული ღამეები"** **18.05** სერიალი **"ფანტაზიების კუნძული"** **19.00** სერიალი **"კონან დოილის ქრონიკები"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.30** მხ. ფილმი **"საეჭვო პირები"** **22.30** მხ. ფილმი **"ამერიკული ნამცხვარი 2"** **01.00** მზის სერენადა. ელტონ ჯონი.

12.00 მხ. ფილმი **"კაზინო"** **15.00** მხ. ფილმი **"სამი სურვილი"** **17.00** მხ.ფილმი **"საპატიო ციხე"** **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი **"ტკბილი ნოემბერი"** **00.20** მხ. ფილმი **"შუაღამის ექსპრესი"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** სალონი **13.30** ექიმი გვირჩევს **14.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება **16.00** ლაბირინთი **17.00** მუსიკალური პაუზა **17.30** თქვენი ადვოკატი **18.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **20.00** თინეიჯერი **21.30** "ზერკალო" **22.00** "და ღმერთმა შექმნა ქალი" **22.30** საოცარი პირამიდა **23.30** ტელესერიალი **"ყავახანა"** **23.45** თეატრალური შეხვედრები **00.45** მხ. ფილმი

09.00 მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი **"ომი"** მთ. რ-ში ა. ჩადოვი, იენ კელი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **19.50, 20.15** სველი ხაზი **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" **"შიშის ფასი"** მთ. რ-ში ბენ აფლეკი, მორგან ფრიმენი. **01.50** "ღამურა" **"იაპონელი ქალაქის უფროსი"**. მთ. რ-ში სტივენ დორფი, რიზ უიზერსპუნი. **03.45** პაუზის გარეშე

09.30 მულტფილმი "მხიარული მელოდიები" **09.55, 15.15, 17.50, 18.50** მუსიკა **10.00** სერიალი **"ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"** **10.25** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **11.00** სერიალი **"პოლიციელი ქალი"** **11.55** დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" **12.40** მხ. ფილმი **"ჩიხი"** **14.15** გადაცემა "პილოტი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ყვითელი კვადრატი" **15.15** "ერთი ნივთის ისტორია" **15.30** სერიალი **"ციებ-ცხელება"** **16.30** დოკ. ფილმი "წარსული და აწმყო" **18.05** სერიალი **"ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"** **18.25** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი "ფაქტზე დაჭერა" მე-7ს. **21.15** ფილმი-კონცერტი "ბრიტანელები. **60**-იანელები" **22.15** ტელემეტრი **22.30** გადაცემა "ქარიზმა" **23.00** მოკლ.მხ.ფილმი **"დამკრძალავი ბიურო"** **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.20** მხ. ფილმი **"სამოთხე და ჯოჯოხეთი"**.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

წყალბურთი

სტამბოლისაკენ — სტამბოლის გავლით

წლეულს გაზაფხულზე საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებმა, რომლის ძირითად ბირთვს 1986-1987 წლებში დაბადებული სპორტსმენები წარმოადგენენ, შტუტგარტში 20 წლის წყალბურთელთა ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში ფინალური ეტაპის საგზური დაისაკუთრა. მედლებისთვის ბრძოლა 16 საუკეთესო გუნდის მონაწილეობით 26 ივლისს დაიწყება სტამბოლში, სადაც ამას წინათ საერთაშორისო ტურნირიც გაიმართა სწორედ 1983 წელს დაბადებულთა შორის. ჩვენს ბიჭებს (მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე), რომლებსაც საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად საშუალება არა აქეთ, ეს ტურნირი უფრო სათამაშო პრაქტიკის მისაღებად სჭირდებოდათ. პირველი მატჩი მათ მასპინძლებთან — თურქებთან წააგეს 4:6, მერე რუსებთანაც დამარცხდნენ 5:9, ბოლო ორთაბრძოლაში კი ეგვიპტელებს სძლიეს 8:6 და მესამე ადგილი დაიკავეს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეკარე ზურაბ ჭუმბურიძემ, გუნდის კაპიტანმა თამაზ მანძულაშვილმა და ზურაბ რურუამ, რომელმაც მეტოქეთა კარში 7 ბურთი გაიტანა.

როგორც შევიტყვეთ, შეჯიბრების სტუმარ-მასპინძლებს ძალიან მოსწონებიათ ჩვენი ნაკრები და უთქვამთ, ევროპის პირველობის ფინალში, ალბათ, სიურპრიზებს შემოგვთავაზებთო.

სულაც არ არის გასაკვირი, რადგან ჩვენს გუნდს საამისოდ ძალა შესწევს, თუმცა, სათანადო მომზადებაა საჭირო. მართალია, ბიჭები „ლაგუნა ვერეში" ყოველდღიურად ვარჯიშობენ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი: თუნდაც ერთი საწვრთნელი შეკრება ხომ უნდა მოეწყოს და ორი-სამი შეხვედრა მაინც გაიმართოს სპარინგ-პარტნიორთან. სამწუხაროდ, საქართველოს წყალჯომარდობის ფედერაციას თანხა არა აქვს, ფულიან ძიებს კი ჯიბეზე ხელის გაკვრა ენანებათ, მით უმეტეს — კარს მომდგარი არჩევნების წინ. მწვრთნელები და შეგირდები იმედს მაინც არ კარგავენ — იქნებ გამოჩნდესო ვინმე ღვთისნიერი.

ღმერთმა ქნას!

ვაჟა დანელია.



სურათზე: საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები.

ავტორის ფოტო.

ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

გრძელდება ინტერტოტოს თასის გათამაშება, რომელსაც, სამწუხაროდ, უკვე გამოეთიშა საქართველოს ერთადერთი წარმომადგენელი — თბილისის „ვიტ ჯორჯია". გაცნობთ მეორე ეტაპის პირველი მატჩების შედეგებს:

„პობედა" — „პაშინგი" 1:1,
„იორგრიტე" — „ნიცა" 3:2,
„შახტიორი" — „ციბალია" 1:1,
„დაჩია" — „პარტიზანი" 2:0,
„მარეკი" — „ვოლფსბურგი" 1:1,
„კოპერი" — „დუბნიცა" 1:0,
„თუნი" — „ბრნო" 2:3,
„სლობოდა" — „ლიერსი" 1:0,
„ტილბურგი" — „ვილი" 2:1,
„სენტ ტრუიდენი" — „ტობოლი" 0:2,
„ბრეშია" — „გლორია" 2:1,
„სინოტი" — ოფკ 1:0,
„ლიბერეცი" — „შემროკი" 2:0,
„რასინგი" — „დიერი" 1:0,
„აკრატიტოსი" — „ალიანსი" 0:1,
„ტამპერე" — „სუტიეჩკა" 0:0.

ვაჟა არქანიას ხსოვნას მიეძღვნა

უდროოდ დაიღუპა „ავაზას" აღზრდილი ნიჭიერი ფეხბურთელი ვაჟა არქანია. მისი ხსოვნის პატივსაცემად ტრადიციულად იმართება ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირი, რომელშიც თბილისის ბავშვთა საფეხბურთო სკოლების წარმომადგენლები მონაწილეობენ. ახლახან დასრულებულ ასეთ მემორიალში 1995 წელს დაბადებული ბიჭები ასპარეზობდნენ. ფინალში „მორკინალმა" „ავაზა" დაამარცხა და გარდამავალ პრიზს დაეუფლა. მემორიალის საუკეთესო ფეხბურთელად რატი ცაბაძე („მორკინალი") დაასახელეს.

შოთა ბოკერია.

სურათზე: ვაჟა არქანიას პრიზის მფლობელი „მორკინალი".

რობერტ ბაზოიანის ფოტო.

რაგბი

ფინიშის სწორზე



დასასრულს უახლოვდება მორაგბეთა საქართველოს თასის გათამაშება. კვირას პირველი ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართა. თბილისის „ლოკომოტივმა" ახალგაზრდულ, მაგრამ საკმაოდ ამბიციურ „აკადემიას" უმასპინძლა. რკინიგზელთა უპირატესობა აშკარა იყო. პირველი ტაიმი მათ 17:0 მოიგეს. იერიშები არც შესვენების შემდეგ შეუნელებიათ და საბოლოოდ წარმატებასაც მიაღწიეს — 31:7, რითაც, ფაქტობრივად, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს, რადგან განმეორებით შეხვედრაში ძნელი დასაჯერებელია, „აკადემიამ" 24-ქულიანი სხვაობა აღმოფხვრას.

მეორე ნახევარფინალური მატჩი ქუთაისში გაიმართა. თასის გათამაშების როგორც ჯგუფურმა, ისე მეოთხედფინალურმა პაექრობებმა დაგვარწმუნა, რომ რიონისპირელი მორაგბეები უწინდელ ტრადიციებს იბრუნებენ. კვირას ისინი საქართველოს ჩემპიონებსა და თასის მფლობელებს — ბათუმის „დათვებს" დაუპირისპირდნენ. „აია" არ შეუშინდა მრისხანე მეტოქეს და თანაბარი ბრძოლა გაუმართა მას. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე ქუთაისელებმა ლელო გაიტანეს და გაიმარჯვეს 14:13. იმედია, განმეორებითი პაექრობა ბათუმში არანაკლებ საინტერესო იქნება.

გიორგი გაგუა.

ყოველი მხრიდან

უიმბლდონმა მსოფლიოში პირველი გახადა

ძალზე დაძაბულად ჩაიარა წლევანდელმა ერთ-ერთმა ყველაზე პრესტიჟულმა საჩოგბურთო ტურნირმა — უიმბლდონმა.

როგორც მოელოდნენ, ქალთა შორის ფინალი ისევ დებმა უილიამსებმა გაითამაშეს და უფროსს — ვინუსის სერიოზული ტრავმა რომ არა, პირველი ადგილის ბედი, შეიძლება, არა სერენას, არამედ სწორედ მის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო.

ვაჟთა შორის ბრძოლამ კი ამ ლამაზი თასისათვის, ახლა შვეიცარიელ როჯერ ფედერერს რომ უპყრია ხელთ, და საკმაოდ დიდი ფულადი პრიზისათვის (575 ათასი გირვანქა სტერლინგი), ავსტრიელ მარკ ფელიპუსისთან უკომპრომისოდ, მაგრამ პირველის აშკარა უპირატესობით ჩაიარა და მაყურებელთა დიდი ინტერესიც გამოიწვია.

შეგახსენებთ, რომ უიმბლდონზე აღმასვლა ფედერერმა 1998 წელს ჭაბუკთა ფინალში ირაკლი ლაბაძის დამარცხებით დაიწყო. 2001 წელს აქ მან უიმბლდონის 7-გზის ჩემპიონი, ამერიკელი პიტ სამპრასის წინსვლა შეაჩერა და აი, სანუკვარი გამარჯვებაც.

გუშინწინდელი წარმატების შემდეგ როჯერმა „ჩემპიონთა რბოლაში" 454 ქულა დააგროვა და პროფესიონალთა მსოფლიო რეიტინგის ლიდერი გახდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გოგონებში დიდებულად იასპარეზა 16 წლის მოსკოველმა ანა ჩაკვეტაძემ, რომელიც იუნიორთა რეიტინგში 71-ე იყო და უიმბლდონზე კვალიფიკაციაში გამარჯვებით მოხვდა. ის მხოლოდ ფინალში 17 წლის ბელგიელ კირსტენ ფლიპკენსთან დამარცხდა — 4:5, 6:3, 3:6.

მატჩი გადაიდო

შაბათს, მოსკოვში, ტუშინოს აეროდრომზე მომხდარი ტერაქტის გამო, პოლიციის ორგანოებმა ნება არ დართეს მოსკოვის „სპარტაკსა" და „დინამოს" კვირას გაემართათ ადრე დაგეგმილი საკონტროლო მატჩი.

შეხვედრის სხვა ადგილზე გადატანის შესახებ მოლაპარაკება კლუბებმა ვერ მოასწრეს, ამიტომაც შინასაკლუბო ორმხრივი თამაშები მოაწყვეს თავიანთ საწვრთნელ ბაზებზე — ტარასოვკასა და ბორში.

ისევ „უილიამსის" დუბლი

ალბათ ავტოსპორტის, განსაკუთრებით „ფორმულა-1"-ის, მოყვარულებს ახსოვთ, რომ წლევანდელი 54-ე მსოფლიო ჩემპიონატის მეცხრე ეტაპზე „ევროპის გრან-პრი" — გაიმარჯვა „უილიამსის" პილოტთა წყვილმა — რალფ შუმახერ-უმცროსმა და ხუან პაბლო მონტოიამ.

და აი, მეათე ეტაპზეც ისტორია განმეორდა — „საფრანგეთის გრან-პრის" გათამაშებაზე ნევერის ავტოდრომზე „მანიკურ" 308,77-კილომეტრიანი დისტანციის ფინიშთან 70 წრის შემდეგ პირველი ისევ ეს წყვილი მოვიდა. მესამე იყო უფროსი შუმახერი — მიხაელი („ფერარი"), ხოლო მეოთხე — კიმ რაიკონენი („მაკლარენი");

ათი ეტაპის შემდეგ ჩემპიონატზე 64 ქულით ისევ მიხაელ შუმახერი ლიდერობს, მეორეა რაიკონენი — 56, ხოლო მესამე — უმცროსი შუმახერი რალფი — 53.

კონსტრუქტორთა თასზე 103 ქულით ლიდერობას ინარჩუნებს „ფერარი", მას მჭიდროდ მიუახლოვდა „უილიამსი" — 100, „მაკლარენს" 85 ქულა აქვს.

სურათზე: ზეიმობს „უილიამსის" გუნდი.

ბებერი ხარისა...

პუერტო-რიკოს დედაქალაქ სან-ხუანში მიმდინარეობს ვეტერანების XV ჩემპიონატი.

ამ სპორტული დღესასწაულის მონაწილეთა შორის ბევრია ისეთი, რომელთა ასაკიც 90 წელს აღემატება. მაგალითად, 100 მეტრზე სირბილში მონაწილეობდა 100 წლის კანზასელი მეფუტკრე ვალდო მაკბერნი. მართალია, მას ამ დისტანციის დაძლევისათვის 39,07 წამი დასჭირდა, მაგრამ მთავარი ხომ სურვილი და მონაწილეობაა, თანაც რადგან თანატოლი მეტოქეები არ ჰყავდა, გაცილებით ახალგაზრდებს — 90-წლიანებს —ეჯიბრებოდა და ფინიშთან ისე მივიდა, არც კი აფოფლიანებულა. აქ 91 წლის გერმანელმა მალო ფრაიდიხმა გაიმარჯვა (19, 24). ისიც უნდა ითქვას, რომ მაკბერნი მონაწილეობდა, აგრეთვე ბირთვის კვრასა და 5 კილომეტრზე გარბენში.

ასე ხანდაზმულ მოასპარეზეთა შორის ჯერჯერობით ყველაზე უხუცესია 103 წლის ბენ ლევინსონი, რომელიც 1998 წელს ბირთვის კვრაში მონაწილეობდა.

სან-ხუანის ტურნირზე საასპარეზოდ ამჯერად სპორტსმენები 79 ქვეყნიდან ჩავიდნენ. შეჯიბრებაზე დაიშვებიან ქალები 34 წლისა და მამაკაცები — 39 წლის ზევით.

მოჭადრაკე, მსახიობი, მწერალი

ლაპარაკია ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონზე, რუსეთელ ალექსანდრა კოსტენიუკზე. მან ახლახან ცნობილი რეჟისორის სტანისლავ გოვორუხინის ფილმში „სასტუმროს დიასახლისი" ერთ-ერთი მთავარი გმირის, 18 წლის ქალიშვილის როლი განასახიერა. აღსანიშნავია, რომ ახალ ფილმში მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები ირინა ჩურიკოვა, ირინა კუპჩენკო, ევგენი ჟარიკოვი, აგრეთვე პოპულარული შოუმენი მაქსიმ გალკინი.

ამას გარდა, საშამ სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა შვეიცარიის საათების კომპანიასთან, Balmain Watch რათა — მის „სახეს" წარმოადგენდეს. უფრო ადრინდელი კი ეს ულამაზესი მოჭადრაკე თავად ფიდეს სახე იყო და მეტ სექსუალობას ანიჭებდა სპორტის ამ პოპულარულ სახეს.

ამას წინათ ინგლისურ და ესპანურ ენებზე გამოვიდა კოსტენიუკის წიგნი „როგორ უნდა გახდე დიდოსტატი 14 წლისა", რაც უკვე დიდად პოპულარულია მათ შორის, ვისაც სწრაფად უნდა ჭადრაკის თამაშის შესწავლა.

ცინცხალი ამბები

როგორც ცნობილია, რომან აბრამოვიჩმა ლონდონის „ჩელსი" იყიდა. ამ შენაძენს, რომლის ფასი, ბრიტანული მასმედიის მონაცემებით, 200 მილიონ დოლარს აღემატება, ბი-ბი-სიმ „ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი გ არიგება" უწოდა.

WBO-ს ვერსიით მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, სუპერმძიმეწონოსანი მოკრივე ვიტალი კლიჩკო ლენოქს ლუისთან თავს დამარცხებულად არ თვლის. კიევში ჩასულმა კლიჩკომ განაცხადა, რომ მატჩ-რევანშს აუცილებლად მოიგებს.

სპორტის რედაქცია

2003 წლის 29 ივლისს 15 საათზე შედგება სს „ენერგოტექკომპლექსის" აქციონერთა კრება მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, 50.

დღის წესრიგი: გასული წლის ფინანსურ-ეკონომიკური შედეგები და საზოგადოების შემდგომი ფუნქციონირების შესახებ;
საწესდებო კაპიტალის ცვლილებების შესახებ.
საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო და დირექცია.

მიმდინარეობს სს „ოზურგეთის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის" ლიკვიდაცია. კრედიტორებმა დაგვიკავშირდით მისამრათზე: ქ. ოზურგეთი, ბესიკის ქ. №1. ტელ. 6-51-21.

დასაქმება

სურვილი იყოს, თორემ სამუშაო არის

სამუშაო ადგილების ვაკანსიები 7 ივლისი

[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
2	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
3	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
4	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
5	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
6	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
7	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
8	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
9	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
10	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
11	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
12	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
13	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
14	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
15	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
16	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
17	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
18	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
19	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
20	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
21	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
22	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
23	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
24	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
25	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
26	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
27	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
28	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
29	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
30	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
31	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
32	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
33	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
34	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
35	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
36	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
37	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ქ. თბილისის რაიონული განყოფილებები თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციას გასცემენ დასაქმების სამსახურში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებზე. რეგისტრაციისთვის მოქალაქემ რაიონულ განყოფილებაში უნდა წარმოადგინოს: ა) პირადობის მოწმობა (პასპორტი); ბ) შრომის წიგნაკი; გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი);

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ქ. თბილისის რაიონული განყოფილებები განთავსებულია:

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილება — დავით აღმაშენებლის 140-ა გამგეობის შენობა, I სართ. ტ. 94-24-98.
ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება — მოსკოვის გამზირი 25. ტ. 71-15-40.
მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილება — გ. გულუას I. გამგეობის შენობა, IV სართ. ტ. 72-01-30.
ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილება — კოსტავას 68-ა გამგეობის შენობა, II სართ. ტ. 33-23-97.
გლდანი-ნაძალადევის რაიონული განყოფილება — სარაჯიშვილის 1. გამგეობის შენობა, II სართ. ტ. 62-59-92.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს, 2003 წლის მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპონენტის (შემდგომში პროგრამა) მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც გულისხმობს პროგრამაში 2003 წლის სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებულ სამედიცინო დახმარებას (სტაციონარული) და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.შესყიდვის საგნობა:
ონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობა ქ. თბილისში;
2. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების დადების დღიდან 2003 წლის 31 დეკემბრამდე.
3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე ოთხ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2003 წლის 25 ივლისიდან 28 ივლისის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
4.1 იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
(სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით; საქართველოს ნოტარიუსთა პალატა).
ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
(საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი).
4.2 ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
(რაიონული სასამართლოდან).
ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
(საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი).
4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
(სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით)
ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
გ) ლიცენზია, (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერტიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;
ე) ჰიგიენური სერტიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);
5. მე-4 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლის სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.
6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
7. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს პირველადი სატენდერო წინადადება ფინანსური მაჩვენებლების გარეშე, დახურულ კონვერტში, ოთხ ეგზემპლარად, ხელმოწერილი პრეტენდენტი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირის მიერ („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და აღნიშნული კანონის დებულების მე-20 მუხლის შესაბამისად). საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვის შემდეგ მოხდება შერჩეული პრეტენდენტების პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვა. პირველადი სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს:
ა) მომსახურების აღწერილობას (შესასრულებელი სახელმწიფო სტანდარტების ჩამონათვალი სტანდარტის კოდის ზრდადობის მიხედვით);
ბ) ტექნიკური რესურსების ჩამონათვალს, რომლის საშუალებითაც განახორციელებენ აღნიშნულ მომსახურებას (საწოლების რაოდენობის მითითებით);
გ) გასაწევი მომსახურების ვადებსა და შედეგებს;
დ) ინფორმაცია აღნიშნული მომსახურების სფეროში არსებული გამოცდილების შესახებ;
ე) სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგს ლიცენზიისა და სერტიფიკატების ქსეროასლების თანდართვით;
ვ) შემსყიდველთან ურთიერთობის სქემას შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების პირობებისა და სხვა პირობების მითითებით თუ ასეთი პირობები არსებობს.
8. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.
9. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2003 წლის 29 ივლისიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.
10. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107 №115700718 ანგარიშზე გადახდის შემდეგ, მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული. ინფორმაცია სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის და საბოლოო სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადების შესახებ წერილობით ეცნობებათ პრეტენდენტებს პირველი ეტაპის დასრულებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.
10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
11. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.
12. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.
დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - შესყიდვების სამმართველოს უფროსი ბ. დათუკიშვილი. მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; ტელ.: 25-15-85.

სატენდერო კომისია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

მეგობრები რაჟდენ გვეტაძის (დიდუბე) ქუჩიდან.
მარცხნიდან მარჯვნივ: თამაზ ბოლქვაძე, ნუგზარ სხირტლაძე, ნათია ლორია, ზურა ლორია, თემურ მჭედლიშვილი, სიმონ ანთიძე.
დგას: ნიკო კახიძე. 1976 წ.
ფოტო მოგვაწოდა ვაჟა ჰიაურელმა.

სამკურნალო კალცლექსები

პრეზიდენტი
მუდამ ველოდებით შავ დღეს,
რა გვაქვს,
გულის შემკრის მეტი?
საქართველოს უნდა ჭყავდეს,
თვეში ერთი პრეზიდენტი.

შეძახილი
წინაპართაგან სულ მესმის —
სანამ შავებით მოგვერთავენ,
მოდით, ერთმანეთს ნუ ვესვრით,
ჩვენს მტრებს
ვესროლოთ ორთავე.

ამბიციური
უფლის ფასი არ იციან,
ძმობენ ცხრა სატანასა,
გაუმარჯოს ამბიციას
და კაცს ამპარტავანსა.

გაიაფება
თეთრი ფერი მიიდება,
მაგ ცისფერი ბაფთებით,
პური არ გაძვირდება,
თქვენ კი — გაიაფდებით.

ძუძუგულს
შენი შაჰრომა მამინდა,
რუსთველზე, იმ ძველ კარავში,
თბილისის წყალკანალიდან
წასულო თბილუკანალში.

ბარათები საქიოდან
ამდენი კმარა-კმარათი,
შვილებო, გული გვეტკინა,
საქიოდან ბარათის
ავტორი — კმარა ცეტკინა.

პურის ფასი
შენ ხარ, ნაღდი უნიტაზი
ბოროტების, ინტრიგის,
შენ რა იცი პურის ფასი —
იცი ფასი „მიტინგის“.

ობოლი
ველოდებით ხეტვასა და
დვარცოფიან წვიმასო,
ობოლს ჭკითხეს,
ჯერ ვის მოკლავ?
— ვინც გამზარდა იმასო.

ო, პოზიცია
ბოიკოტი — „ბოი კატოვ“, —
ვებრძვით კატებს მარტოკად,
არ არსებობს არჩევნებში
ჩვენი ალტერნატივა.

ველოდებით ღვარცოფსა და
ველოდებით ხეტვასო,
ის გამზრდელი ფეხზე დგას და
ეს ობოლი ვერ კლავსო.

ტრადიცია
კაცი კაცზე გაცვალეთ და
ღმერთთან წევვლა შევთვალეთ,
ცოტახანი გვაცალეთ და
თვითონ დავჭამთ ერთმანეთს.

ჩამიარა ვემაკმა და
რაღაც მიბლანდ-მობლანდა,
— იქნებ, არ უნდ
გაგვზარდა —
ეოფილიყო ობლადა.

ჯ. ჩ.
ივლისი, 2003 წ.

მილოცვა შალვა ტურავას

ბატონო შალვა,
მხურვალედ გილოცავთ შესანიშნავ პიროვნებას და მოქალაქეს დაბადების დღის საიუბილეო თარიღს. გვსურს გვყავდე ასე ლამაზად და ჯანმრთელად დიდხანს თქვენს ძვირფას ოჯახთან ერთად.

ალეკო კაკულია, ნინო ბეჟიტაშვილი.

ღიმილის დოზა



ამერიკელების სამხედრო კამპანიის შედეგად ერაყელებს აღარა აქვთ სამუშაო, ელექტროენერგია, სასმელი წყალი და ცივილიზაციის სხვა სიკეთე. სამაგიეროდ აქვთ სიტყვის თავისუფლება.
ნიშანდობლივია, რომ რუსეთმა ყოველივე ამას მიაღწია ამერიკელების ჩარევის გარეშე.

* * *

— უცნაური გარეგნობის მთავარი ბუღალტერი შეგირჩევია: მელოტი, დიდი ყურებით, ცალთვალა და კოჭლი.
— სამაგიეროდ, როგორი განსაკუთრებული ნიშნებია, ა?

* * *

დირექტორი სამუშაოზე მისაღებ კანდიდატს ეუბნება:
— ახლა 120 დოლარს დაგინიშნავთ, შემდეგ — მოგიმატებთ.
— შემდეგ შემოვივლი.

* * *

ორი მეგობარი ქალი საუბრობს:
— იცი, ჩემი მეგობარი, რომელსაც, 6 წელიწადია ვხვდები, ბოლოს და ბოლოს, ოჯახზე ალაპარაკდა.
— გილოცავ! რა გითხრა კონკრეტულად?
— რომ ჰყავს ცოლი და ორი შვილი.

* * *

მშიერმა კაცმა თავისი ძაღლი შეჭამა. დახედა დარჩენილ ძვლებს და თქვა: „საწყალო ბობიკ! რას ჩაატკბარუნებდი ამ ძვლებს“...

ხსოვნა

სულიკო ნუცუბიძე



ჩვენი ცრემლიც მიითვალე...
მისი სიცოცხლეც ჩათავდა... იტანჯა ამ ბოლო დროს, ებრძოლა სიკვდილს, მაგრამ რას გახდებოდა უკურნებელ სენთან და დაგვემშვიდობა სულიკო ნუცუბიძე — შესანიშნავი ქართველი ინტელიგენტი, უნიკალური ნიჭისა და უნარის კაცი, ჩვენი გულთბილი, ჩვენი კეთილშობილი მეგობარი...
სულიკო ისტორიკოსი იყო. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კარგა ხანს მუშაობდა მშობელ კუთხეში — ზუგდიდში, — დადიანების მუზეუმში, ხოლო 1960 წლიდან თბილისში გადმოვიდა — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად. აქ იღვწოდა იგი სიცოცხლის ბოლომდე, უკირკიტებდა ძველ პერიოდიკას, საქართველოს სიძველეებს... იცოდა წინაპრის ფასი, ხელისგულზე ედო გარდასულ დღეთა მატიანე და თავისი ცოდნითა და გამოცდილებით ხშირად გვეხმარებოდა სხვადასხვა ფაქტითა თუ მოვლენებით დაინტერესებულ მეგობრებს, ჟურნალისტებს...
„ხვალ დიდგორობაა, ბიჭებო, არ გამოგეპაროთ“, „მაისი თამარის თვეა, ხომ გახსოვთ“, „რობაქიძეზე ახალი მასალები მაქვს, თუ გინდათ“... გვაფრთხილებდა, ხან წინასწარ მოიტანდა ამა თუ იმ თარიღის კომენტარს — უზადოდ ნაწერს.
შეიძლება თამამად თქმა: რასაც სულიკო ნუცუბიძე აკეთებდა და ამით ამდიდრებდა დღევანდელ ქართულ პრესას (დავარქვათ, პირობითად, „საინტერესო ამბების სამყაროში“), ამის გამკეთებელი, ალბათ ბევრი აღარავინ რჩება დღეს ჩვენს გვერდით.
მშვიდობით, ჩვენო სულიკო, ჩვენო ტკბილო და კეთილშობილო მეგობარო. მიგყვება შენი შესანიშნავი ოჯახის, შენი ძვირფასი მეუღლის, შვილებისა და შვილიშვილების ალალი ცრემლი, ჩვენი ცრემლი... და მამა-პაპას მიუხვალ უმწიკვლო კაცის სახელით.
ღმერთმა ნათელში გამყოფოს!

არმაზ სანებლიძე, ზურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი, დურმიშხან ცინცაძე, ზურამ გომართელი, გია პლატონიშვილი, ვილენ მარდალეიშვილი.

ნინო კარიაული ოჯახით სამძიმარს უცხადებს ვანდა ანთიძეს მეუღლის, გამოჩენილი მუსიკოსისა და მომღერლის
რობერტ ბარქიმაშვილის
გარდაცვალების გამო.

მეუღლე მზისო მხატვრიშვილი, შვილები კახა, თეონა, და ქუქუნა, შვილიშვილები ანა, გვანცა, ლუკა, სიძეები გივი შენგელია, ზურა ქოიავა, რძლები ნელი მგელაძე, მეგი გოცირიძე, ცოლისდა მერსიკო მხატვრიშვილი, დისწულები მარინა, ნანა, ხათუნა, ძმისწულები დათო, მაია, ნინო, რაფიელი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
მურთაზ რაფიელის ძე ბოჭორიშვილი.
პანაშვიდი 8,9 VII, 5 სთ. გამოსვენება 10 VII, 1 სთ. მიცკევიჩის ქ. № 1 კორპ. I სადარბაზო, III სართული, ბინა 8.
პანაშვიდი 10 VII, 1 სთ. ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში, ხუდადოვის ქუჩა. (გადასასვლელ ხიდთან). გამოსვენება ეკლესიიდან 3 სთ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის საკვანძო რეგიონალური განყოფილება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე განყოფილების უფროსის მოადგილის
ნუგზარ მიხეილის ძე მგალობლიშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ანა, შვილები ალეკო, ლია, გია, რძლები ზოია ბუიძე, თამილა კოხტაშვილი, სიძე ბორის ჩიქოვანი, შვილიშვილები ანა, გოგა, ვალერი, ლევანი და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გიორგი ალექსანდრეს ძე ბოჭორმელი.
პანაშვიდი 8,9 VII 5 სთ. დაკრძალვა 10 ივლისს, დუშეთი, სოფელი ომბისი, 2 საათზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კოლექტივი სამძიმარს უცხადებს მთავარ ბუღალტერს ლია ბოჭორმელს მამის
გიორგი ალექსანდრეს ძე ბოჭორმელის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურა მწუხარებით იუწყება, რომ სოხუმის რეგიონულ სამხედრო პროკურორს ედუარდ ვართაგავას გარდაეცვალა მამა
შუნდუ ვართაგავა
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მამიდა მედეა, ბიძაშვილი სანდრო, რძალი თამარ ნონეშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
დავით ოთარის ძე ფალავა.
პანაშვიდი 8,9 VII, დაკრძალვა 10 VII, 3 სთ. მისამართი: ქ. ბათუმი, ახმედ მელაშვილის (ყოფილი კამოს) ქუჩა № 9.

გლდანი-ნაძალადევის გამგეობა სამძიმარს უცხადებს ბატონ მერაბ თოფჩიშვილს მამის
რამაზ თოფჩიშვილის
გარდაცვალების გამო.

რეგულარული, კვირაში ერთხელ, სახაზო გემით ტვირთების კონტეინერებით გადაზიდვა მარშრუტით:
ფოთი – ოდესა (ილიჩოვსკი) – ფოთი
ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:
თბილისი – (995 32) 227223, ფაქსი 221129,
Email: barwilt@access.sanet.ge;
ფოთი – (995 393) 71681/82, ფაქსი 71685/86,
Email: elglch@barwilpti.com.ge;
ოდესა (ილიჩოვსკი) – (380 482) 345912, 346027, ფაქსი 346141, Email: barwil.odessa@barwil.com;
კიევი – (38044) 229 8539, ფაქსი 228 3036,
Email: aosadchiy@barwil. kiev.ua.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

ხსოვნა

ავქსენტი მიშველაძე

ოთხმოცდარვა წლის ასაკში გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პედაგოგთა არაერთი თაობის აღმზრდელი ავქსენტი ესტატეს ძე მიშველაძე.
ბატონი ავქსენტის 74 მეცნიერული ნაშრომი (მათ შორის 14 მონოგრაფია), მისი თხზულებანი გაკვეთილის ანალიზისა და მოწაფეთა შემეცნების გააქტიურების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ პრობლემებზე სამაგიდო მასალაა პრაქტიკოს პედაგოგთათვის და ამ თემაზე მომუშავე მეცნიერებისათვის.
ცხოვრების ძნელი გზა განვლო ავქსენტი მიშველაძის თაობამ. მათ თავზე პირველი საბჭოთა ხუთწლედების, ოცდაჩვიდმეტის, დიდი სამამულო ომის (1941-1945), იმპერიის აღზევებისა და ნგრევის, სეპარატისტული კონფლიქტების ქარიშხლიანმა ეპოქებმა გადაიქროლეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ზიგზაგებიანი ეპოქიდან ბატონმა ავქსენტიმ სპეტაკად გამოატარა თავისი სინდისიც და მეცნიერ-მოღვაწის მანტიაც. იგი ნიადაგ სიმართლეს ქადაგებდა და ამასვე ასწავლიდა ირგვლივ მყოფთ.
თითქმის სამოცდაათი წელი დაჰყო მან ლექტორის კათედრაზე. სასიამოვნო დიქციით, მომხიბლავი გარეგნობით, მჭევრმეტყველებით, რთული მეცნიერული მსჯელობის ნათლად, მისაწვდომ ფორმებში გადმოცემის უნარით იპყრობდა აუდიტორიას და სადაც კი მოღვაწეობდა — ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, პედაგოგიკის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში თუ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, ყველგან თავისებურ შუქს ჰფენდა ირგვლივ მყოფთ.
ოთხი ღირსეული შვილისა და უამრავი შვილიშვილ-შვილთაშვილის აღმზრდელი უპირველესად თვითონ იძლეოდა ბრძენი მოძღვრის და მამულიშვილის მაგალითს. ბატონმა ავქსენტიმ და მისმა ღირსეულმა თანამეცხედრემ — ქალბატონმა თინა გველესიანმა მთელი შეგნებული ცხოვრება პედაგოგიურ საქმიანობას შეალიეს.
სიკვდილამდე კალამი ხელიდან არ გაუგდია. პრესაში ხშირად გამოდიოდა ეროვნული სკოლის საჭირბოროტო პრობლემების გაშუქებით, ხელმძღვანელობდა ასპირანტებს, ოპონენტობდა სამეცნიერო ნაშრომებს და წერდა მოგონებათა უაღრესად საინტერესო წიგნს, რომლის პირველი ნაწილიც გამოაქვეყნა, მაგრამ მეორე ნაწილის დამთავრება არ დასცალდა.
წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პედაგოგთა დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი და ტკბილმოუბარი ლექტორი.
მსუბუქი იყოს მისთვის სამშობლო ქვეყნის მიწა.

**საქართველოს განათლების სამინისტრო;
პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია;
პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი.**

მეუღლე თინა გველესიანი, შვილები ნათელა, რეზო, ვაჟა, ბორის მიშველაძეები, რძლები სვეტა გოგორიშვილი, ლამზირა შუბითიძე, ნანა გოგია, ციალა გაბედავა, შვილიშვილები ზაზა, პაატა მრელაშვილები, ეკა, თინა, თამარ, შავლეგო, ასიკო, თათია, შიო, მაია მიშველაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ავქსენტი ესტატეს ძე მიშველაძე
პანაშვიდი 8, 9 VII, 5 სთ. დაკრძალვა 10 VII, 3 სთ. გაბრიელ ისაკაძის (ყოფილი ვაზისუბნის) ქუჩა №53.

საქართველოს პარლამენტი იუწყება, რომ პარლამენტის წევრს, ბატონ რევაზ მიშველაძეს გარდაეცვალა მამა
ავქსენტი მიშველაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი სამძიმარს უცხადებს პროფესორ რევაზ მიშველაძეს მამის
ავქსენტი მიშველაძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სამძიმარს უცხადებს რევაზ მიშველაძეს მამის
ავქსენტი მიშველაძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ქვემო ქართლის რეგიონული მრავალპროფილიანი ინსტიტუტის რექტორატი, პედაგოგები, თანამშრომლები და სტუდენტობა სამძიმარს უცხადებენ ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ ბორის მიშველაძეს მამის
ავქსენტი მიშველაძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის რექტორატი და პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ ამავე უნივერსიტეტის პრორექტორს, ქვემო ქართლის რეგიონული მრავალპროფილიანი ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ ბორის მიშველაძეს მამის, გამოჩენილი მეცნიერისა და პედაგოგის
ავქსენტი მიშველაძის
გარდაცვალების გამო.

რუსუდან ლორთქიფანიძე და გოგი ბიწკინაშვილი ოჯახით მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ თამაზ პატარიძეს მამის
არჩილ პატარიძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი
არჩილ პატარიძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ კოლექტივი სამძიმარს უცხადებს თამაზ პატარიძეს მამის
არჩილ პატარიძის
გარდაცვალების გამო.

ლევან მიროტაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს მანანა, თამაზ პატარიძეებს, თომა ქურციკიძეს საყვარელი მამისა და სიმამრის
არჩილ პატარიძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და პირადად პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი მწუხარებას გამოთქვამენ მანანა და თამაზ პატარიძეების მამის
არჩილ პატარიძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

გამოსათხოვარი

თენგიზ ქვანია

„დიდბუნებოვანი კაცი“ — ამ ცნებაში ილია პიროვნების, კაცის, ადამიანის უმაღლეს შინაარს სდებდა. ეს დიდებული ქართული სიტყვა — „კაცი“, მისთვის სიკეთისა და სინდის-ნამუსის საზომი იყო. ძნელია ადამიანისათვის, ისე განვლო სიბოროტითა და შურ-ღვარძლით სავსე ეს, მართლაც რომ „თავბოლო გაუგებარი და ამოუცნობი წუთისოფელი“. ისევ ასეთი დარჩენილიყავი ჩვენო თენგიზ, როგორიც მოხვედი — ბავშვივით წმინდა, პატიოსანი, ალალ-მართალი, უბოროტო, გულუბრყვილო და შეურყვნელი.
პროფესორ გუგუ ქვანიასა და რინა აბზიანიძის ინტელიგენტურ ოჯახში დაბადებულ ვაჟკაცს ცხოვრების მეგზურად გაგყვა მეგობრების, ოჯახის, ვერისუბნის სიყვარული. მარად კაცთმოყვარეობის მოუღლელი მქადაგებელი, შენი ერის ჭირ-ვარამის გამზიარებელი, გამორჩეული პიროვნება იყავი, ჩვენო თენგიზ; გამორჩეული სამსახურშიც — საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ტოლ-სწორებში, ურთიერთობაში — დიდთან დიდი, პატარასთან პატარა... და სწორედ შენ ამოგირჩია ულმობელმა სიკვდილმა. დღეს ვერის სასაფლაოს მიგაბარებენ, ჩვენო თენგიზ. ღმერთმა სულ ნათელში გამყოფოს, მომგონებელი მეგობრები და ნათესავები გიცოცხლოს.

შენი მეგობრები: ზურამ სადარაძე, შალვა ქირია, თეიმურაზ დიდებულიძე, ლევან ჰაჰიაშვილი, კოტე ჩოლოყაშვილი, თაზო ხუციშვილი, ირაკლი ონოფრიშვილი, ომარ სტურუა, დუგო ომიაძე,ვახტანგ ცხადაძე, სერგო ორჯონიკიძე, შალვა ქირიკაშვილი, თენგიზ ქვირია, გელი ფოფხაძე, ნუგზარ ჯანაშია, გაურ ჰიდლაძე, ნიკო ნემსაძე.

ხსოვნა

არჩილ აბესაძე

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ვეტერან ოფიცერთა კორპუსს გამოაკლდა დამსახურებული ვეტერანი, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ვეტერანთა საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი ღირსების ორდენის კავალერი ვიცე-პოლკოვნიკი არჩილ აბესაძე. მან მთელი შეგნებული ცხოვრების გზა დაუკავშირა სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, სადაც იყო როგორც მაღალი დონის კვალიფიკაციის ოპერატიული ხელმძღვანელი თანამშრომელი, როგორც ტყიბულის საქალაქო და რაიონული, შემდგომ მცხეთის რაიონული უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელი, ყოფილი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელი თანამშრომელი.
არჩილ აბესაძე დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფელ შორაპანში 1932 წელს. 1954 წელს დაამთავრა სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი და როგორც სამთო ინჟინერი, გაიგზავნა ქ. დონეცკში, სადაც მუშაობდა ქვანახშირის შახტში ინჟინრად. 1963 წლიდან, როგორც ინჟინერ-სპეციალისტი იყო რეკომენდებული სამუშაოდ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში. უშიშროების მოსკოვის უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში. პენსიაზე გასვლის შემდეგ იყო ინტურისტის თბილისის სასტუმრო „აჭარის“ კადრების განყოფილების უფროსი 2003 წლამდე.
არჩილ აბესაძე გამოირჩეოდა თავისი თავაზიანობით, მაღალი ინტელექტით, ოჯახის და მეგობრების პატივისმცემელი.
მოულოდნელი იყო მისი ჩვენთან დაცილება. მისი სახელი დაუვიწყარ მოგონებად დარჩება მათთვის, ვინც მას იცნობდა.
საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ვეტერანთა საბჭო გამოთქვამს თავის მწუხარებას და უცხადებს არჩილ აბესაძის ოჯახს თავის თანაგრძნობას.

**საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ვეტერანთა საბჭო
საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო.**

ლილი რუსაძე

სრულიად საქართველოს საპატრიარქო „წმიდა იოაკიმე და ანას“ სახელობის სამშობიარო სახლის თანამშრომლები მწუხარებამ მოიცვა — გარდაიცვალა სამშობიარო სახლის მეან-გინეკოლოგი ლილი რუსაძე. კიდევ ერთმა უფროსი თაობის შესანიშნავმა წარმომადგენელმა დატოვა ოჯახი და გადაინაცვლა სამუდამოდ ზეციურ ქვეყანაში.
ქალბატონმა ლილიმ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა მეან-გინეკოლოგად ყოფილ №3 სამშობიარო სახლში და ნახევარი საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა საქართველოს ქალებს. რამდენი ახალი სიცოცხლე მოუვლინებია ამ ქვეყნად მის მადლიან ხელებს, რამდენ ქალს ახსოვს მისი ხელების სითბო და ტკბილი სიტყვა, უწამლოდაც სალბუნად რომ ეფინებოდა მის გულს.
მძიმე ავადმყოფობამ არც ქალბატონი ლილი დაინდო და ისე წაიყვანა ამ ქვეყნიდან, რომ ახლადმოვლენილი შვილიშვილი ვეღარ იხილა, მაგრამ დიდხანს სიცოცხლე და ბედნიერება უსურვა ყველა მის ახლობელს და კოლეგას.
მსუბუქი იყოს ქართული მიწა თქვენთვის ქალბატონო ლილი, თქვენი კოლეგები და მეგობრები არ დაივიწყებენ თქვენს სახელს.

**წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის
სამშობიარო სახლის თანამშრომლები.**

დავით ქებურია

გარდაიცვალა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი დავით მიხეილის ძე ქებურია.
დავით ქებურია დაიბადა 1928 წლის 10 იანვარს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში, ღარიბი გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. წლების მანძილზე იყო თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის ასპირანტი, შემდეგ ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, 1959-1973 წ. წ. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1973 წ. იყო ჯერ სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის, ხოლო შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე პოლიტოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი. 1977 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. დავით ქებურიას გამოქვეყნებული აქვს სამოცდაათამდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია.
დავით ქებურია ყოველთვის გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. იყო კეთილშობილი და მზრუნველი ადამიანი. თავისი ოჯახის, მეგობრებისა და კოლეგების მოყვარული პიროვნება. მან ღირსეულად განვლო ცხოვრების გზა, წარუშლელი და თბილი კვალი დატოვა თითოეული ჩვენგანის გულში.
მოულოდნელი იყო მისი ამქვეყნიდან წასვლა. უზომოა მისი კოლეგების სევდა და ნაღველი.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.**

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ ბელაშვილი, ზურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ქობულია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რაინიგზის ჩიხი 20.